# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 19 იანვარი 2002 №5 (1527) | ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ივო შუშაკი

## დინამოს ხორვატმა მწვრთნელმა თბილისელებს კვიპროსზე ჩააკითხა და საქმეშიც ნახა



ივო შუშაკი



ნოდია: გივი იყო, ახლა ივო

გოჩა ფოლადაშვილის ფოტო

## უსტატუსონი: ჩივაძე და შვიდი ჯუჯა

გუშინ კვიპროსიდან ცნობის ფურცელი მივიღეთ – თბილისის „დინამოს" ნედლმა ხელმძღვანელობამ, მათივე ცნობილი სიტყვებით რომ ვთქვათ, ახალი ფურცელი გადაშალა: თბილისის „დინამოს" ხორვატი სპეციალისტი ივო შუშაკი განწვრთნის.

ეს ის კაცია, ვინც საფრანგეთ-98-ზე გვერდში ედგა ამაგდარ მიროსლავ ბლაჟევიჩს და ხორვატთა ბრინჯაოში თავისი წილი დაიდო, რისთვისაც ქვეყნის აწგანსვენებული პრეზიდენტის, ფრანიო ტუჯმანისგან სახელმწიფო ჯილდოც მიიღია.

თუ საბჭოეთის სივრციდან გავიჭრებით, ივო შუშაკი მესამე უცხოელია, თბილისის „დინამოს" რომ უთავკაცებს. 1936 წელს ჩეხი ჟიულ ლიმბეკის დამოძღვრილი იყო „დინამო", 1999 წლის მაის-აგვისტოში ჰოლანდიელი იოჰან ბოსკამპისა და აჰა, გივი ნოდიას ხანმოკლე მძვინვარების შემდეგ ჩვენს ყველაზე ტიტულოვან და სახელიან კლუბს მესამედ ჩაიბარებს უცხო ტომის კაცი.

შუშაკი გუშინვე დაესწრო „დინამოს" საკონტროლო მატჩს მოსკოველ სეხნიასთან. ოფიციალურად კი გუნდის სამსახურში კვიპროსული შეკრების შემდეგ, 30 იანვრიდან ჩადგება.

გივი ნოდიას კლუბის დირექტორატში გაამწესებენ, თუმც „დინამოში" მისი სამომავლო ფუნქცია, ასევე კვიპროსზე მყოფი ეროვნული ნაკრების დამრიგებლის დარად, ჯერჯერობით უცნობია – ალექსანდრე ჩივაძის სტატუსიც კვლავ გაურკვეველია.

და კიდევ. გუშინვე, ღამით „დინამოს" კვიპროსზე შვიდმა ბრაზილიელმა ჩააკითხა. მცველი ვანდერლეი, ნახევარმცველები ედუარდო და ევანდრო, ფორვარდები კარლოსი, ელდსონი, დევისი და დანილო დღეს პირველად ივარჯიშებენ დინამოელებთან ერთად. ევროპაში უცნობი ბრაზილიელებისთვის „დინამოც" შანსია...

**ივან შუშაკი**

55 წლის

| სეზონი | გუნდი | ადგილი |
|---|---|---|
| 92-93 | ზაგრები (ხორვატია) | 3 |
| 93-94 | იჟოლა (სლოვენია) | 10 |
| | ოსიეკი (ხორვატია) | 8 |
| 94-95 | ოსიეკი (ხორვატია) | 3 |
| 95-96 | მარსონია სლავონსკი ბროდი (ხორვატია) | 14 |
| 96-97 | ჰრვატსკი დრაგოვოლიაცი ზაგრები (ხორვატია) | 3 |
| 96-00 | ხორვატიის ახალგაზრდული ნაკრები | |
| 99-00 | ზაგრები (ხორვატია) | 8 |
| 00-01 | მარიბორი ბრანიკი (სლოვენია) | 1 |
| 01-02 | მარიბორი ბრანიკი (სლოვენია) დინამო თბილისი | |



# ნოდიას საკონტროლო გასროლა

**ახალი** დამრიგებლის, თანაც უცხოელის დანიშვნა, ცხადია, საკმაოდ დიდი სტიმული იყო დინამოელთათვის კვიპროსული შეკრების პირველივე საკონტროლო მატჩისთვის. მოსკოვის „დინამო" ხელწამოსაკრავი გუნდი სულაც არ არის და არც ქართველ დინამოელებს შეურცხვენიათ თავი. პირველი გოლიც ჩვენმა „დინამომ" გაიტანა — ვიტალი დარასელიამ 25-ე წუთზე ცაციათი კუთხურიდან ჩაახვია ბურთი მოსკოველთა კარში. რუსებმაც კუთხურით იხეირეს, როცა 43 წუთზე მათმა შემტევმა ხაზოვმა თავურით გაუტანა ირაკლი ზოიძეს. მეორე ტაიმის ჰაწყისი მონაკვეთი ჯერაც გივი ნოდიას სამწყოსი იყო, მატჩის ბოლო 20-25 წუთს მოსკოვურმა „დინამომ" მარწუხი კი შემოუჭირა თბილისურს, მაგრამ ვერაფერს გამორჩა. საქართველოს ათგზის და ორგზის საბჭოთა ჩემპიონმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **ზოიძე (მამალაძე), ხვანაძე, კანდელაკი, ვაშაკიძე, მაშიაშვილი, მანწკავა (შალამბერიძე), ამისულაშვილი, დარასელია, გოგობერიშვილი (ჩივაძე), ბობოხიძე (სამხარაძე), ბურდული (მიკუჩაძე).**

თბილისის „დინამოს" შეკრებაზე მიმავალი გუნდიდან შინ გამობრუნებულ ზაზა ზირაქიშვილთან დაკავშირებით ოფიციალური პოზცია დააფიქსირა. — ამ ფეხბურთელის საქციელით გაოგნებულნი ვართ. მან თანაგუნდელებისა და მთლიანად კლუბის მიმართ უპატივცემულობა გამოხატა. კლუბი უფლებას იტოვებს, შესაბამისი სანქციები განახორციელოს — ასეთია „დინამოს" ხელმძღვანელობის პოზიცია.

ჩვენის მხრივ იმასაც დავძენთ, რომ სათქმელი ზაზა ზირაქიშვილსაც აქვს, თუმც საქართველოს წინა ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი და მეგოლე ჯერჯერობით კონკრეტულს არაფერს ამბობს.

**დავით თავართქილაძე**



ვიტალი დარასელია

# 50 000 და წერეთელი ლოკომოტივისაა

**31 იანვარს** კვიპროსს მიემგზავრება თბილისური „ლოკომოტივი". მანამდე კი ვიცე-ჩემპიონები დედაქალაქში ვარჯიშობენ. გუნდის ძირითად ბირთვთან დაახლოებით 40-მდე ფეხბურთელიც ვარჯიშობს. ძირითადად ახალგაზრდები.

სამუშაო დღე დილით იპოდრომზე იწყება. რკინიგზელები საშუალოდ 9-10 კილომეტრს დარბიან. შუადღისას ასკ-ის დარბაზში იკრიბებიან. მოთელვა, ტრენაჟორები და მინი-ფეხბურთი, ვარჯიში საათნახევარში მთავრდება. ასე გაგრძელდება თვის ბოლომდე, მერე კი კვიპროსი, სითბო და კომფორტი ელით რკინიგზელებს.

რა ცვლილებებია „ლოკომოტივში"? ბევრიც არაფერი. ქუთაისელი დავით ჯანაშია რომ წავიდა, ადრეც გაუწყეთ. ძირითადში ვერდამკვიდრებული დავით გოდერძიშვილი „გორდას" შეეხიზნა, ასევე გათავისუფლებულია მცველი აქვსენტი გილაურიც, რომელმაც საშემოდგომო ეტაპი ტრავმის გამო გააცდინა.

გიორგი ანჩაბაძე ფაქტობრივად ექსლოკომოტიველია. უცხოეთში თამაშის მოსურნე ნახევარმცველი რკინიგზელებს არ ეკარება და ინდივიდუალურად ვარჯიშობს. კარიერის უცხოეთში გაგრძელება დავით დათვაძესაც ამოუჭრია გულში, მაგრამ, ანჩაბაძისგან განსხვავებით, ის „ლოკომოტივთან" ერთად ემზადება.

ცხადაძის გუნდში ვარჯიშობს საქართველოს ნაკრების ყოფილი მცველი, ბელგიური „ლიერსის" ფეხბურთელი მამუკა წერეთელი. აშკარაა, მას ტრავმა არ აწუხებს, არც სამუშაო ვიზაა პრობლემა, მაგრამ... „ლოკომოტივს" სურს, წერეთელი გუნდში იყოლიოს, წინააღმდეგი არც ფეხბურთელია. მთავარია, ბელგიელებმა საკომპენსაციო თანხა, 50 ათასი დოლარი მიიღონ და გ

წერეთელი „ლოკომოტივის" საკუთრება გახდება, არადა, იქნებ იჯარამ გაჭრას.

საშემოდგომო ეტაპზე „მერანის" მეგოლე სულიკო დავითაშვილი რკინიგზელებთან შინაურ კაცად გრძნობს თავს. ფაქტია, ავჭალა და ფინანსური პრობლემები უკან დარჩა „ლოკომოტივთან" ერთად მოვარჯიშე კიდევ ერთ მერანელს მოპკრავთ თვალს. ოთარ როსტიაშვილი, რომელსაც საშემოდგომო ეტაპზე ვერც ერთი უმაღლესლიგელის შემადგენლობაში შეამჩნევდით, ბოლომდე იხარჯება.

ორიოდ დღეა არ უვარჯიშია კახა გოგიჩაიშვილს. ფეხის ტრავმის გამო მცირე ხნით დაისვენა. კახა გუშინწინ შეუერთდა გუნდს და მსუბუქად ივარჯიშა.

მამუკა რუსია უკვე საკმაო დატვირთვით ვარჯიშობს, ბურთსაც გვარიანი სიძლიერით ურტყამს.

„ლოკომოტივს" დაუბრუნდა ტრავმამოშუშებული მერაბ ძოძუაშვილიც. ახალგაზრდა ფორვარდს ახლახან კიდევ ერთი ოპერაცია დასჭირდა. ექიმებმა ტერფიდან მეტალი ამოუღეს და ჯერჯერობით მხოლოდ ტრენაჟორებზე ვარჯიშის ნება დართეს.

**მამუკა ძგანტალიანი**

# მსაჯები გამოცდებამდე ითამაშებენ

**ქართულ** კლუბთა მსგავსად, საგაზაფხულო ეტაპისთვის ემზადებიან მსაჯებიც, რომლებიც ჯერჯერობით ინდივიდუალურად ვარჯიშობენ და იმ შენიშვნების გამოსწორებაზე მუშაობენ, სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარე ანატოლი მილჩენკოსგან რომ მოისმინეს. თებერვლამდე ასე გაგრძელდება. მერე კი არბიტრები ითამაშებენ მსაჯთა ხსოვნის ტრადიციულ ტურნირში, რომელიც 4-8 თებერვალს თბილისის ასკ-ის დარბაზში ჩატარდება.

ისინი არც ამის შემდეგ შეწყვეტენ ინდივიდუალური პროგრამით მზადებას, 20-23 თებერვალს კი ტესტირება და გამოცდები ელით. წარმატების შემთხვევაში, როგორც აქამდე, ახლაც შესაბამისი ლიცენზიები დაურიგდებათ და ფედერაციასთან ხელშეკრულებასაც გააფორმებენ.

გამოცდების შემდეგ მსაჯები ბორჯომს ეწვევიან ხუთდღიან მოსამზადებელ შეკრებაზე.

**კახა ზალამბერიძე**

# მეტალურგი და შეყრილაძე ვერ შეიყარნენ

**საშუასეზონო** არდადეგები დაუმთავრდა და მე-13 ეროვნულის საგაზაფხულო ეტაპისთვის მზადებას შეუდგა უმაღლესი ლიგის დებიუტანტი ზესტაფონის „მეტალურგი", რომელმაც ჩემპიონატში მეტად უხეირო (ზედიზედ ხუთჯერ დამარცხდა) სტარტის შემდეგ ასე თუ ისე მოახერხა სატურნირო მდგომარეობის გამოსწორება, „სამგურალი" და „გურია" ჩამოიტოვა და, ცხადია, ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძოლებს. „მეტალურგის" მესვეურნი სწორედ საამისოდ ამზადებენ გუნდს.

„მეტალურგი" 16 იანვარს შეიკრიბა თბილისში, დიახ, ზესტაფონელებმა ადგილზე მზადების დედაქალაქში ჩასვლა, გაცილებით უკეთეს პირობებში წვრთნა არჩიეს. ისინი დიღუბეში, „მანეჟში" დაბინავდნენ. გუშინ ზესტაფონური კლუბის პრეზიდენტს ნუგზარ მდივანს შევეხმიანეთ:

— „მეტალურგი" თბილისში 12 დღეს დაჰყოფს და ამ დროს წვრთნისთვის მაქსიმალურად გამოიყენებს. მთავარი მწვრთნელის ზაურ ჩუბინიძის განკარგულებაში ახლა ოცამდე ფეხბურთელია. ძირითადი ყურადღება მათ ფიზიკურ მომზადებას დაეთმობა.

ამჟამად გუნდთან რამდენიმე ახალწვეული ვარჯიშობს. „გურიიდან" წამოსული გოჩა სულაკაური ზესტაფონელი გახლავთ. დავით ბაქრაძეს და დავით ვარდიაშვილს კი ადრეც უთამაშიათ ჩვენთან, პირველი „ლოკომოტივიდან" დაგვიბრუნდა, მეორე „თორიდან". ორ-სამ ფეხბურთელს, ალბათ, კიდევ დავიმატებთ.

გუნდი გოჩა თავბერიძემ დატოვა. მან „გორდაში" თამაში ისურვა. თავბერიძე მხოლოდ ერთხელ, „ბათუმთან" ჩემპიონატის სასტარტო მატჩში დაგვეხმარა, მერე სამკურნალო შეიქნა, ოპერაციაც გადაიტანა. ერთი სიტყვით, ჩვენთან ფორმალურად ირიცხებოდა. შეკრებაზე გუნდს არ ახლავს დიმიტრი ფირცხალაიშვილი. მისით „ბათუმია" დაინტერესებული და ახლა იქ ვარჯიშობს. ფირცხალაიშვილი ბათუმელია, დიდი ხანი არ არის, რაც დაოჯახდა და არ გაემატყუნება, მშობლიურ ქალაქში რომ უჯობს თამაში. მართალია, კონტრაქტით იგი კიდევ წელიწადნახევრით გვეკუთვნის, მაგრამ თუკი „ბათუმი" საკომპენსაციოს გადაგვიხდის, ფეხბურთელს არჩევანში ხელს არ შევუშლით. გეტყვით იმასაც, რომ გასარკვევია ალეკო შეყრილაძის საკითხიც, რომელიც შეკრებაზე ჯერ არ გამოცხადებულა — გვითხრა მდივანმა.

**იუზა ძაძიტაძე**

ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მოგებაში საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელს კობა ჟორჟიკაშვილს ბრალს დებენ. ცხადია, წარმატებას არავინ საყვედურობს, თუმცა მაინც ედავებიან და არცთუ უსაგნოდ.

ამდენი საფეხბურთო სტუმარი, გუშინ რედაქციაში რომ გვეწვია, „სარბიელს" ერთ დღეს მგონი არც ჰყოლია. „ნორჩი დინამოელის", „ყაზბეგის" და 35-ე საფეხბურთო სკოლების თავკაცებისა და მწვრთნელების ნაუბარმა საქართველოს 17-წლამდელთა თავკაცის სტუმრობაც მოითხოვა.

# გამყვანი წამყვანია

## კობა ჟორჟიკაშვილს სკოლები უჩივიან

— საქართველოს 17-წლამდელთა გუნდის მთავარი მწვრთნელი ნაკრებისა და ჩვენი ფეხბურთელების ერთ-ერთი კლუბის მიერ გადაბირებაში მონაწილეობს.

მოთამაშეებს სწორედ კობა ჟორჟიკაშვილი ურჩევს ამ კლუბთან საქმის დაჭერას და კლუბის წარმომადგენლებისა და მათ შეხვედრაშიც თავადვე მონაწილეობდა.

თავად კლუბის მიმართ საპრეტენზიო არაფერი გვაქვს, გარდა ერთისა, ჩვენთან თანხმობის გარეშე ფეხბურთელებთან მოლაპარაკების წამოწყება არაკორექტულია.

ჩვენ უფრო ის ფაქტი გვაშფოთებს, რომ ამ საქმეში ნაკრების მწვრთნელია გარეული. ნაკრების მწვრთნელი კი ნებისმიერი კლუბის, საფეხბურთო სკოლისა თუ მოთამაშის ინტერესებზე მაღლა ნაკრების ინტერესებს უნდა აყენებდეს — დაახლოებით ასე გამოხატეს საკუთარი გულისტკივილი ოთარ გაბეჭკორმა, ოთარ შენგელიამ, ბორის სიჭინავამ, რევაზ გაგუამ, გურამ ჩომახიძემ და გია გაგნიძემ.

ცხადია, მათი გასტუმრებისთანავე კობა ჟორჟიკაშვილთან დაკავშირება და მისი აზრის მოსმენა მოვინდომეთ, მაგრამ ვიდრე ჟორჟიკაშვილიც გვესტუმრებოდა, ამ საკითხზე აზრის გამოთქმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელს, ბავშთა ფეხბურთის განყოფილების უფროსს, ლევან ყიფიანს ვთხოვეთ. ჩვენი თავდაპირველი სტუმრებისგანვე შევიტყვეთ, რომ ყიფიანის განყოფილებაში ამ საკითხზე ჟორჟიკაშვილისვე მონაწილეობით გუშინ უკვე უმსჯელიათ და ყიფიანს პოზიციით სწორედ ამიტომ დავინტერესდით.

— პასუხს არ გავურბივარ, მაგრამ ვამჯობინებ არ აჩქარდე, ამ გაუგებრობაში კარგად გავერკვე და საკუთარი პოზიცია მერელა დავაფიქსირო — იყო ლევან ყიფიანის პასუხი.

თავად ჟორჟიკაშვილმა კი თავი ასე იმართლა, „ნორჩ დინამოელში", 35-ე საფეხბურთო სკოლასა და „ყაზბეგში" ამ ფეხბურთელებს წლობით გაუსაძლისი პირობები ჰქონდათ. მათ დღეს, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მოგების შემდეგ არაერთი კლუბი სთავაზობს ახალ სამსახურს და მე, როგორც ნაკრების მწვრთნელს, განა, არ მაქვს მორალური უფლება, ჩემს აღსაზრდელებს საუკეთესო ვარიანტის ამორჩევა ვურჩიო.

ჟორჟიკაშვილის არგუმენტი წყალგაუვალი იქნებოდა, მას რომ ნაკრების მწვრთნელისთვის შეუფერებელი ზედმეტი ინიციატივა არ გამოეჩინა და ფეხბურთელთა დაბინავებაზე ზრუნვა თავად კი არ დაეწყო, სავარჯიშოდ უნაკლო პირობების შექმნა ფედერაციისთვის მოეთხოვა, კლუბებისთვის კი მიეთითებინა, მე რა შუაში ვარ, კეთილი ინებეთ და მოთამაშეთა აღმზრდელ სკოლებს მიმართეთო.

ნაკრების მწვრთნელს ყველაფრის და მათ შორის იმის გათვლა-გათვალისწინებაც ევალება, რომ საკუთარი ჩარჩოებიდან გასვლით დაეჭვების საბაბიც არავის მისცეს, მწვრთნელი დაინტერესებული პირიაო.

სხვათა შორის, სამიოდ დღის წინ ჟორჟიკაშვილმა „სარბიელს" განუცხადა, გუნდებისგან სრული გაგებაა, ისინი თანახმანი არიან, ფეხბურთელები შარშანდელის მსგავსად მთელი პერიოდით დაგვითმონ ფინალური ეტაპისთვის უკეთ მოსამზადებლადო. ასეთ ნდობას და გაგებასაც, ცხადია, გათვალისწინება სჭირდება და არა, ვინმეს კონკრეტული მიზნით გამოყენება.

მთავარი სათქმელი, ცხადია, მაინც ფედერაციისაა: მან დროულად უნდა მოახერხოს მოდავეთა მორიგება, რადგან წინ ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპია და დარჩენილი დრო საამისოდ მზადებას უნდა მოხმარდეს, და არა, ურთიერთობათა რკვევას.

**ვახტანგ მჭედლიშვილი**



კობა ჟორჟიკაშვილი


იტალია
სერია B. XXI ტური
კოზენცა 0:0 სამპდორია

პორტუგალია
I ლიგა. XIX ტური
ბიმარაეში 3:1 ფარენსე

თურქეთი
XVIII ტური
სამსუნსპორი ჰო ფენერბაჰჩე



იყიდება
ერთოთახიანი ჩეხური პროექტის ბინა
ვაზისუბნის IV მ/რ. II კვ. მე-5 სართული
ტელ: 75 99 49



# მოსკოვი ზამთარში: მწვანეა ფეხქვეშ, მწვანეა ჯიბეში

**დღეს** მოსკოვში იწყება „თანამეგობრობის თასის" მეათე, საიუბილეო გათამაშება. რუსეთის დედაქალაქში ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერია ჩასული. ტრადიციას არ უღალატა უეფას პრეზიდენტმა ლენარტ იუჰანსონმაც. ისიც დაესწრება საზეიმო გახსნის ცერემონიალს.

„თანამეგობრობის თასი" დღემდე მხოლოდ ორ კლუბს მოუგია. „სპარტაკი" ექვსჯერ გახდა ჩემპიონი, ზედიზედ სამჯერ კი (1996-98) კიევის „დინამო". თავისებური რეკორდი დაამყარა რიგის „სკონტომ". იგი ერთადერთია, წინა ცხრა ტურნირში რომ უთამაშია და წლეულს მეათედ ცდის ბედს. თანაც ლატვიელები შვიდჯერ ზედიზედ მოხვდნენ ოთხ საუკეთესოს შორის. მათ ფონზე ვერაფრით დაიტრაბახებს საქართველოს ჩემპიონი, თბილისის „დინამომ" ერთადერთხელ შეძლო ფინალში გასვლა და მაშინაც უსახურად (1:5) დამარცხდა „სახალხო გუნდთან".

შარშან „დინამოსგან" ესტაფეტა ქუთაისის „ტორპედომ" ჩაიბარა და ქართული ფეხბურთის შელახული რეპუტაციაც აღადგინა „ესენგეს" მასშტაბით. ქუთათურებმა B ლიგაში სამივე მატჩი მოიგეს (ბურთების საერთო შეფარდებით 8:1) და სამერმისოდ A ლიგაში თამაშის უფლება დაუბევეს საქართველოს ჩემპიონს, რაც საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლის საშუალებას იძლევა. მოგვიანებით კი გაირკვა, „ტორპედოს" რომ ვერ ემარჯვა B ლიგაში, წლეულს მაინც ექნებოდა პირველობისთვის ბრძოლის შესაძლებლობა, რადგან მასპინძლებმა გათამაშების ფორმატი შეცვალეს. მიზეზი ნათელია, შარშან კიევის „დინამომ" მეორე გუნდი ჩაიყვანა მოსკოვში, შედეგად B ლიგაში ჩაქვეითდა, რაც წლეულს პირველობისთვის ბრძოლის შანსს უსპობდა. რუსებმაც ტურნირის რეგლამენტი სასწრაფოდ გადააკეთეს, საყოველთაო აზრით ხომ „თანამეგობრობის თასი" „სპარტაკისა" და „დინამოს" საჯილდაოდაა ქცეული.

ისე, თუ „ტორპედოს" თავკაც რევაზ ძოძუაშვილს ვერწმუნებით, საქართველოს ჩემპიონი პირველობისთვის იბრძოლებს. უარეს შემთხვევაში ოთხეულში მოხვედრას დაჰპირდა ქომაგს და არც იმის თქმა დავიწყებია, ჩემპიონობაც არ გვაწყენდაო. ვნახოთ, „ტორპედოს" ჯერ ჯგუფური ბარიერი აქვს დასაძლევი. საამისოდ, რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებთან, „სკონტოსთან" და ყაზახურ „ჟენისთან" წარმატებით თამაშია საჭირო. ჩვენებურთა ამოცანას ქვეჯგუფში ისიც აიოლებს, რომ რუსი ახალგაზრდები უკონკურსოდ მონაწილეობენ.

ბოლოს ვთქვათ, რომ ტურნირის საპრიზო ფონდი 100 ათასი დოლარია.

გამარჯვებულს 35 ათასი ერგება, ვიცე-ჩემპიონს 15 ათასი, ხოლო ნახევარფინალისტები 8-8 ათასი დოლარით დასაჩუქრდებიან. სიმწვანეა სპორტკომპლექს „ოლიმპიურშიც"- საგანგებოდ საიუბილეო გათამაშებისთვის მასპინძლებმა ახალი ხელოვნური საფარი დააგეს.

**ბაჩა ძგანტალიანი**

| თანამეგობრობის თასი 2002 (მოსკოვი, 19-27 იანვარი) |
| --- |
| **A ჯგუფი** |
| სპარტაკი (რუსეთი), ნეფთჩი (უზბეკეთი), შერიფი (მოლდოვა), პიუნიკი (სომხეთი) |
| **B ჯგუფი** |
| სკონტო (ლატვია), ჟენისი (ყაზახეთი), ტორპედო (ქუთაისი, საქართველო), რუსეთის ახალგაზრდული ნაკრები |
| 19 იანვარი<br>სკონტო – ჟენისი<br>რუსეთის ახ. ნაკრები – ტორპედო 16.00 |
| 20 იანვარი<br>ტორპედო – სკონტო 16.00<br>ჟენისი – რუსეთის ახ. ნაკრები |
| 22 იანვარი<br>ტორპედო – ჟენისი 16.00<br>სკონტო – რუსეთის ახ. ნაკრები |
| **C ჯგუფი** |
| დინამო (უკრაინა), კაუნასი (ლიტვა), შამქირი (აზერბაიჯანი), რეგარ-ტადაზი (ტაჯიკეთი) |
| **D ჯგუფი** |
| ბელშინა (ბელარუსი), ფლორა (ესტონეთი), ასკ პვო (ყირგიზეთი), ნისა (თურქმენეთი) |
| **მეოთხედფინალი 23 იანვარი** |
| D1 — C2 (I); B1 — A2 (II); C1 — D2 (III); A1 — B2 (IV) |
| **ნახევარფინალი 25 იანვარი** |
| II წყვილის გამარჯვებული — III წყვილის გამარჯვებული<br>IV წყვილის გამარჯვებული — I წყვილის გამარჯვებული |
| **ფინალი. 27 იანვარი** |

„თანამეგობრობის თასზე" ქართული ფეხბურთის ღირსებას მოსკოვის მანეჟებში, ისევე როგორც შარშან, ქუთაისის „ტორპედო" დაიცავს. ჯგუფში ჩვენებურთ სამი მეტოქე ჰყავთ: „ტორპედოს" მწვრთნელის რევაზ ძოძუაშვილის ძველი ნაცნობი რიგის „სკონტო", სადაც ამჟამად ოთხი ქართველი ირიცხება, ტურნირში უკონკურსოდ მონაწილე რუსეთის ახალგაზრდული ნაკრები და ყაზახეთის ჩემპიონი „ჟენისი".

ქუთაისელები პირველ მატჩს ხვალვე „სპარტაკის" მანეჟში ითამაშებენ. მათი მეტოქე რუსი ახალგაზრდები იქნებიან და მატჩი 4 საათზე დაიწყება.

როგორ მოემზადა „ტორპედო" ტურნირისთვის? რა გეგმები და რა პრობლემები აქვს რევაზ ძოძუაშვილს? ვინ არის ტურნირის ფავორიტი? სწორედ ამ კითხვებით მივმართეთ გუშინ ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის მწვრთნელს, რომელსაც მოსკოვში, სასტუმრო „კოსმოსში" შევეხმიანეთ:

# რევაზ ძოძუაშვილი კოსმოსიდან ჰაერი, ჰაერი გვინდა!



ნუკრი მარდალეიშვილის ფოტო

რევაზ ძოძუაშვილი: ჩვენს წინ რუსეთია

— კმაყოფილი ბრძანდებით გუნდის მომზადების დონით?

— მგონი, ნორმალურად ვართ მომზადებულნი. ორი კვირაა, რაც მოსკოვში ჩამოვედით და დღეში ორჯერ ჩერკიზოვოში, „ლოკომოტივის" ბაზაზე ვვარჯიშობდით. მოსამზადებლად იდეალური პირობები გვქონდა და ვატყობ, ბიჭები მონდომებულნი არიან, ტურნირზე ღირსეულად თამაში სურთ და დარწმუნებული ვარ, ქართული ფეხბურთი „თანამეგობრობის თასზე" უწინდებურად აღარ შერცხვება.

**— გუნდში ყველა ჯანმრთელადაა? არავინ გამოგაკლდებათ?**

— ორ ფეხბურთელს თბილისში მოუწევს გამომგზავრება. მოსამზადებელი პერიოდისას მცველი ვახტანგ ხვადაგიანი და თავდამსხმელი პაატა გვირჯიშვილი დაშავდნენ, მათ მუხლი სტკივათ და ამჟამად გუნდისთვის უსარგებლონი არიან.

**— „ტორპედოს" თანაჯგუფელი „სკონტო" თქვენთვის უცხო გუნდი არ არის. მით უმეტეს, იქ ახლაც ოთხი ქართველი ითამაშებს.**

— დიახ, ასეა, მაგრამ „სკონტოს" თამაში კარგა ხანია, აღარ მინახავს. თუმც არა მგონია, იქიდან ჩემი წამოსვლის შემდეგ გუნდის ტაქტიკური მონახაზი მნიშვნელოვნად შეცვლილიყოს. ვნახოთ, ხვალ ტურნირის პირველი დღეა, „სკონტო" „ჟენისს" ეთამაშება და დავაკვირდები ორივე გუნდს. ხომ იცით, დარბაზის ფეხბურთი მაინც სხვაა. დარბაზში სხვანაირად უნდა ითამაშო.

**— რას გეგმავთ? აქვს „ტორპედოს" იმისი ძალა, ფინალამდე, თუნდაც ნახევარფინალამდე გააღწიოს?**

— რა თქმა უნდა, ძალა გვაქვს, თუმც საკითხავი ისაა, ბოლომდე თუ გაგვყვება. დარბაზის ჩახუთულობას დიდი ენერგია მიაქვს და მეშინია, ბიჭებს ძალა შუა გზაზე არ გამოეცალოთ.

**— ფავორიტებად ვინ მიგაჩნიათ?**

— რა თქმა უნდა, მოსკოვის „სპარტაკი" და კიევის „დინამო". ეს გუნდები ყოველთვის ფავორიტებად ითვლებოდნენ და ახლაც ასეა.

**— და შეძლებთ მათთან მეტოქეობას?**

— უნდა შევძლოთ. „ტორპედოს" საკმაოდ დიდი პოტენცია აქვს და კარგად თამაში შეუძლია. ახლა ამის დამტკიცების კარგი შანსი გვაქვს.

**— ახალგაზრდა ფეხბურთელების გარდა მოსკოვში ყოფნისას გამოცდილი არავინ შეგიმატებიათ?**

— არა, არავინ. როგორც ვთქვი, პირიქით, ხვადაგიანი და გვირჯიშვილი გამოგვაკლდნენ. ტურნირის მიმდინარეობისას კი შევხედავთ, თუ რომელიმე ჩვენი ფეხბურთელით სოლიდური გუნდი დაინტერესდა, მათ წინადადებას სერიოზულად მივუდგებით.

**— და მაინც, „ტორპედოს" ამ თასის გათამაშებისას რისი ძალა შესწევს?**

— ჯგუფიდან, ალბათ, გავაღწევთ და მერე ვნახოთ. ძალა კი, ხომ ვთქვი, იმისაც გვაქვს, რომ ტურნირი მოვიგოთ.

**ძობა ინასარიძე**

| თანამეგობრობის თასის ყველა ფინალი 1993-2001 | |
| --- | --- |
| 1993 | სპარტაკი (რუსეთი) 8:0 ბელარუსი (ბელარუსი) |
| 1994 | სპარტაკი (რუსეთი) 7:0 ნეფთჩი (უზბეკეთი) |
| 1995 | სპარტაკი (რუსეთი) 5:1 დინამო (თბილისი, საქართველო)<br>1:0 პისარევი (13), 2:0 ალენიჩევი (58), 3:0 მუხამადიევი (61), 3:1 ქინქლაძე (63), 4:1 კეჩინოვი (83), 5:1 ტიხონოვი (85) |
| 1996 | დინამო (კიევი, უკრაინა) 1:0 სპარტაკ-ალანია (რუსეთი) |
| 1997 | დინამო (კიევი, უკრაინა) 3:2 სპარტაკი (რუსეთი) |
| 1998 | დინამო (კიევი, უკრაინა) 1:0 სპარტაკი (რუსეთი) |
| 1999 | სპარტაკი (რუსეთი) 2:1 დინამო (კიევი, უკრაინა) |
| 2000 | სპარტაკი (რუსეთი) 3:0 ზიმბრუ (მოლდოვა) |
| 2001 | სპარტაკი (რუსეთი) 2:1დ.დ. (1:1) სკონტო (ლატვია) |

# ბერძნებმა გაგუა კუნძულზე დატოვეს

## ხუჯაძე ბოლო სიტყვას ელის

**გუშინდლამდე** საბერძნეთის საფეხბურთო ლიგებში 6 ქართველი თამაშობდა. გუშინ კი გიორგი მეგრელაძეს, ლევან ბერიშვილს, გოდერძი ნატროშვილს, დავით პეტრიაშვილს, მიხეილ ხუციშვილსა და გიორგი ქიქავას მერანელი ვალერი გაგუა დაემატა.

ასეა, სანამ „მერანის" თავკაცები გაუცემელ ხელფას-პრემიებზე ფიქრობენ და ფეხბურთელებს დღემდე მხოლოდ დაპირებებით ასაზრდოებენ, მანამ ზოგიერთები გაქცევით შველიან თავს.

ვალერი გაგუასაც მობეზრდა უქმად ყოფნა, ბათუმელი შალვა ხუჯაძე შეიამხანაგა და საბერძნეთის გზას დაადგა. ქართველების ბოლო გაჩერება კუნძული კრეტა და იქაური ქალაქის, ნიკოლაოსის საფეხბურთო კლუბი „აგიოსია".

„აგიოსი" დავით პეტრიაშვილის და მიხეილ ხუციშვილის „კალამატას" 4 ქულით ჩამორჩება და სატურნირო ცხრილის ბოლოშია დალექილი ერთი მოგება, სამი ფრე, 4 გატანილი და 18 გაშვებული გოლი აშკარად თავდასხმის სისუსტეზე მეტყველებს. ალბათ, ამიტომაც მოუვიდა თვალში „აგიოსის" მოთამაშე-მწვრთნელს იანის ხაჯინიკოლაუს ტექნიკური და ზუსტი დარტყმის მქონე ქართველი. რამდენიმე დღეც დააკვირდა მწვრთნელი გაგუას და წელიწადნახევრიანი ხელშეკრულებაც გაფორმდა. გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან გაგუას სატრანსფერო ფურცელიც გაიგზავნა. არ არის გამორიცხული, მან დღესვე ითამაშოს ჩემპიონატის მატჩში.

რაც შეეხება შალვა ხუჯაძეს, იანის ხაჯინიკოლაუ არც მის მიმართაა გულგრილი, მაგრამ „აგიოსის" დაცვაში ორი ლეგიონერია, რომელთაგან ერთ-ერთს მწვრთნელი გაშვებას უპირებს და...

შალვა ერთი კვირით დაეთხოვა „ბათუმს", რომელთანაც მაისის ბოლომდეა კონტრაქტით დაკავშირებული, თუმც ასლან ბალაძის თქმით, თუ ხუჯაძეს საბერძნეთში საქმეები კარგად წაუვიდა, კლუბი მას არ შეაფერხებს.

**ბაჩუკა ძგანტალიანი**



ლევან მელქაძე

# მელქაძემ ვეტერინარობა იუარა

**„ვიტ ჯორჯია"** რომ ბაკურიანშია შეკრებაზე, ალბათ გაუწყეთ. ვიტელები იქ ფიზმომზადებას გადიან და ამინდიც ხელს უწყობთ. მზე და სუფთა ჰაერი იქით იყოს და ფეხბურთელები დატკეპნილ თოვლზე აწყობენ გრძელ კროსებს, თუმც ხანდახან გზის გაკვალვაც უწევთ.

ერთი იალღიშიც მოსვლიათ ვიტელებს. გუნდის დამრიგებელ გოჩა ტყებუჩავას განზრახული ჰქონდა, ბიჭებს თხილამურებითაც დაევარათ შორი დისტანციები, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, ისინი ბაკურიანში ვერ იშოვეს. უფრო სწორად, კურორტზე მხოლოდ დაშვებისთვის განკუთვნილი თხილამურებია, ვაკეზე სასრიალოს კი ვერ ნახავთ.

არის ერთი სიახლეც. გუნდთან ერთად ბაკურიანში იტალიური „სიენიდან" გამობრუნებული ლევან მელქაძე და დავით დიღმელაშვილიც უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ „ვიტ ჯორჯიას" მხოლოდ დიღმელაშვილი დაუბრუნდა. ლევან მელქაძე კი ფიქრობს და იცდის — ეგებ, მას რომელიმე უცხოურ კლუბში გადასვლის ვარიანტი გამოუჩნდეს.

**დავით თაგართქილაძე**

Cup of Nations 2002

# აფრიკის ეროვნებათა თასი 2002 (მალი). 19 იანვარი — 10 თებერვალი

*აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციაში ასეთი რამ მოიფიქრეს: კონტინენტის პირველობის ნახევარფინალისტები კვალიფიკაციაგაუვლელად მივავლინოთ მსოფლიოს ჩემპიონატებზეო. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აფრიკის ეროვნებათა თასი უნდა დაკნინდეს და მუნდიალის შესარჩევ ეტაპად იქცეს. ითქვა, 2006 წლიდან მოხდება ეს ამბავიო.*

*იქამდე, მოგეხსენებათ, კიდევ ოთხი წელია და მანამ არაფერი გეტკინოთ, ქვემოთ კი D ჯგუფის ამბები მიმოვიხილოთ, დღეს საღამოს კი ჩემპიონატის გახსნას დაველოდოთ.*



დღეს მალიში ბეჰემოტებიც ფეხბურთით ცხოვრობენ

## არწივს, ფარაონს და ლომს ტყვია რას დააკლებს

**შორიდან** მოვყვეთ. როცა მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წილისყრა მოეწყო და ერთ-ერთ აფრიკულ ჯგუფში ალჟირი, ეგვიპტე და მაროკო — აფრიკული ფეხბურთის სამი ბობოლა მოხვდა, ითქვა, „სიკვდილის ჯგუფიაო". ალჟირი, ეგვიპტე თუ მაროკო? რომელს უნდა რგებოდა ჯგუფიდან კორეა-იაპონიის ერთადერთი საგზური? საგზური... სენეგალს ერგო, რომელიც ამავე ჯგუფში იყო და თავიდან არავის გახსენებია. ერთი სიტყვით, ბობოლები ერთმანეთს შეასკდნენ, ბლომად ქულები დაკარგეს, სენეგალელი „ლომები" კი გაძვრნენ.

თუმცა მერე გაიხსენეს, რომ სენეგალის ნაკრები არც ისე ხელწამოსაკრავი იყო — ორი წლის წინანდელ აფრიკის ეროვნებათა თასის გათამაშებაში ნახევარფინალში გასაღწევად მას სულ ოთხი წუთი დააკლდა, 86-ე წუთამდე იგებდა და მაინც დამარცხდა. ისიც გავიხსენოთ, ვინ იყო სენეგალელთა მაშინდელი მეტოქე — ნიგერია, რომელიც იქამდე შინ არასდროს დამარცხებულიყო და წინა გათამაშება კი სწორედ ნიგერიაში გაიმართა.

ესე იგი, შევთანხმდით, სენეგალი ძლიერი გუნდია, რომელიც ტურნირს ჩინებული განწყობით ხვდება და როგორც მცოდნენი ამბობენ, „ლომებს", როგორც არავის, შეუძლიათ გადამწყვეტ მომენტში სრულად მობილიზება.

აი, რას ამბობს მათი ვარსკვლავი ელ ჰაჯი დიუფი: „ნახევარფინალში თუ ვერ გავაღწიეთ, ეს ჩვენთვის უდიდესი იმედგაცრუება იქნება".

ისე, ძალიანაც ნუ გავიკვირვებთ, სენეგალმა ფინალშიც რომ გააღწიოს.

როგორც ჩანს, ტუნისელებმა, ბოლოს და ბოლოს, იპოვეს ისეთი მწვრთნელი, როგორიც სჭირდებოდათ! — ფრანგი ანრი მიშელი.

სამი მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე მწვრთნელის გამოცდილება და ცოდნა გუნდს დიდად რომ წაადგება, თქმაც არ უნდა, ამასთანავე, ფიფა-კოკა კოლას რეიტინგში ტუნისი აფრიკელთაგან საუკეთესოა (28 ადგილი მსოფლიოში), მაგრამ ეგებ ისეც მოხდეს, „არწივებმა" მნიშვნელოვან წარმატებას ვერ მიაღწიონ, რის გამოც, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ქომაგებს გული დიდად არ დასწყდებათ. საქმე სადმი ამგვარი მიდგომის მიზეზი ანრი მიშელი გახლავთ. საქმე კი ისაა რომ ფრანგი ნაკრების მწვრთნელად სულ რაღაც ორი თვის წინ დაინიშნა და გუნდს ხეირიანად არც იცნობს. ფედერაციამ მას მსოფლიოს ჩემპიონატის ჯგუფიდან გასვლა მოსთხოვა (H ჯგუფი: იაპონია, ბელგია, რუსეთი, ტუნისი) და ახლანდელი აფრიკის თასიც მიშელისთვის და მისი „არწივებისთვის" კორეა-იაპონიისთვის მოსამზადებელ შეკრებას წარმოადგენს, მოსამზადებელ ეტაპზე კი გამორჩეულ შედეგს, აბა, ვინ ითხოვს.

ტუნისელთა შემადგენლობიდან კი გამოსარჩევია კონტინენტზე საუკეთესოდ მიჩნეული მეკარე ჩოკრი ელ ოუაერი და ალი ზიდუნი, ვისაც ძალუძს, მეგობრები მოსაგებად დაგეშოს.

ეგვიპტის ნაკრებში ახლა თაობათა ცვლა მიდის, რაც, მოგეხსენებათ, ერთობ მტკივნეული პროცესია. ვეტერანები, ჰოსამ ჰასანი, ჰანი რამზი და მეკარე ნადირ ელ საიედი, ლამის ძველეგვიპტელ ფარაონთა ხნისა მოყრილან და „ფარაონთა" ახალ გუნდს ახალი სისხლი სჭირდება.

ეგვიპტელთა საბედნიეროდ, მათ ნიჭიერი თაობა ეზრდებათ. გავიხსენოთ, რომ შარშან, ივლისში, არგენტინაში გამართულ ოცწლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ეგვიპტელი ჭაბუკები ნახევარფინალში გავიდნენ, რაც უბრალო საქმე არ არის. ელიან, რომ აიაქსელი თავდამსხმელი აჰმედ ჰოსამი მეორე ჰოსამ ჰასანად იქცევა. ბარემ ისიც გავიხსენოთ, რომ ჰოსამ ჰასანი მსოფლიოს რეკორდსმენია სანაკრებო მატჩების რაოდენობით.

ისე კი შიშობენ, ერთ იმედგაცრუებას მეორე არ მოჰყვესო. პირველი, მოგეხსენებათ, მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერმოხვედრაა და რაკი ეგვიპტეს ჯგუფში მეტოქეებად სენეგალი და ტუნისი ერგო, შესაძლოა, მალიშიც მეოთხედფინალს მიღმა დარჩეს.

მაჩაჩალებს ბოლოსთვის იტოვებენ და ჩვენც ახე მოვიქცეთ — D ჯგუფის მეოთხე წევრი ზამბიის ნაკრებია.

რაც კალუშა ბვალიამ თხუთმეტწლიანი სანაკრებო კარიერა დაასრულა, ზამბიელები ვერა და ვერ გაიმართნენ წელში, თუმცა, კაცმა რომ თქვას, ციდან ვარსკვლავებს არც ბვალიას დროს წყვეტდნენ.

ისიც ვთქვათ, რომ „ჩიპოლოჩიპოლო" (ტყვიები), სხვა აფრიკული ნაკრებებისგან განსხვავებით, მეტწილად ადგილობრივი ფეხბურთელებისგანაა შედგენილი და ზამბიური ფეხბურთის დონე რაც არის, წარმოდგენა არ უნდა გაგიჭირდეთ.

ერთი ეგაა, რომ ზამბია თითქმის მუდმივად ხვდება აფრიკის თასის ფინალურ ეტაპზე და მისთვის ესეც კარგი შედეგია.

**გიორგი დარჯანია**



ანრი მიშელი

## მონაწილეთა განაცხადები. D ჯგუფი

### ეგვიპტე

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | ნადერ ალ-საედი | გოლდი |
| 16 | ესამ ალ-ჰადარი | ალ აჰლი |
| 22 | მოჰამედ აბდელ მონსეფი | ზამალეკი |
| | **მცველები** | |
| 2 | ამირ ფაჰიმი | ისმაილია |
| 3 | მოჰამედ ემარა | ჰანზა, გერმანია |
| 5 | აბდელ ალ-ზაჰერ საკა | გენჩლერბირლიგი, თურქეთი |
| 6 | ჰანი საიდი | ბარი, იტალია |
| 8 | იასერ რადვანი | ჰანზა, გერმანია |
| 13 | ვაელ გომაა | ალ აჰლი |
| 15 | იბრაჰიმ საიდი | ალ აჰლი |
| 21 | ტარეკ საედი | ზამალეკი |
| | **ნახევარმცველები** | |
| 4 | ჰანი რამზი | კაიზერსლაუტერნი, გერმანია |
| 11 | ტარეკ საიდი | ანდერლეხტი, ბელგია |
| 12 | მოჰამედ ბარაქათი | ისმაილია |
| 14 | ჰაზემ ემამი | ზამალეკი |
| 19 | აჰმედ ჰასანი | გენჩლერბირლიგი, თურქეთი |
| 20 | მოჰამედ აბულ-ელა | ზამალეკი |
| | **თავდამსხმელები** | |
| 7 | ხალიბ ბიბო ალ-ამინი | ალაჰლი |
| 10 | ჰანზა გამალი | ზამალეკი |
| 18 | აჰმედ ჰოსამი | აიაქსი, ჰოლანდია |
| 19 | აჰმედ სალაჰ ჰოსნი | გენტი, ბელგია |

მწვრთნელი: მაჰმუდ ალ-გოჰარი

### სენეგალი

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | ტონი სილვა | მონაკო, საფრანგეთი |
| 16 | ოუმარ დიალო | ხურიბგა, მაროკო |
| | **მცველები** | |
| 2 | ომარ დაფი | სოშო, საფრანგეთი |
| 4 | პაპე მალიკ დიოპი | ქსამაქსი, შვეიცარია |
| 5 | ალასან ნდური | სენტ ეტიენი, საფრანგეთი |
| 6 | ალიუ სისე | მონპელიე, საფრანგეთი |
| 13 | ლამინა დიატა | რენი, საფრანგეთი |
| 17 | ფერდინანდ კოლი | ლანსი, საფრანგეთი |
| 21 | ჰაბიბ ბეიე | სტრასბური, საფრანგეთი |
| | **ნახევარმცველები** | |
| 3 | პაპე სარი | ლანსი, საფრანგეთი |
| 10 | ხალილუ ფადიგა | ოსერი, საფრანგეთი |
| 12 | მუსტაფა ფეიე | ოსერი, საფრანგეთი |
| 14 | მუსა ნდიაე | სედანი, საფრანგეთი |
| 15 | სალიფ დიაო | სედანი, საფრანგეთი |
| 19 | პაპე ბუბა დიოპი | ლანსი, საფრანგეთი |
| 20 | სილვენ ნდიაე | ლილი, საფრანგეთი |
| 22 | მახტარ ნდიაე | რენი, საფრანგეთი |
| | **თავდამსხმელები** | |
| 7 | ანრი კამარა | სედანი, საფრანგეთი |
| 8 | ამარა ტრაორე | გენიონი, საფრანგეთი |
| 9 | სულეიმან კამარა | მონაკო, საფრანგეთი |
| 11 | ელ-ჰაჯი დიუფი | ლანსი, საფრანგეთი |
| 18 | პაპე ტიავუ | ლოზანა, შვეიცარია |

მწვრთნელი: ბრუნო მეტიუ (საფრანგეთი)

### ტუნისი

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | ჩოკრი ელ-უარი | ესპერანსი |
| 16 | ჰასენ ბეიაუი | ბიზერტე |
| 22 | ჰაბიბ იაუაჩი | ეტოილ შაჰელი |
| | **მცველები** | |
| 2 | ხალედ ბადრა | ჯენოა, იტალია |
| 4 | მუნირ ბუკადიდა | ვალდჰოფი, გერმანია |
| 6 | ჰატემ ტრაბელსი | აიაქსი, ჰოლანდია |
| 12 | რაუფ ბუზაენი | ჯენოა, იტალია |
| 14 | ჰამდი მარზუკი | კლუბ აფრიკანი |
| 15 | რაჯი ჟაიდი | ესპერანსი |
| 17 | ვალიდ აზაიეზი | ესპერანსი |
| 19 | ემირ მკადემი | ეტოილ შაჰელი |
| | **ნახევარმცველები** | |
| 3 | ზუბეირ ბაია | ბეშიქთაში, თურქეთი |
| 5 | მეჰდი ნაფტი | რასინგი, ესპანეთი |
| 8 | ჰასან გაბსი | ჯენოა, იტალია |
| 10 | კაის გოდბენე | ეტოილ შაჰელი |
| 11 | ანის ბუჟელბენე | სფაშიენი |
| 13 | რიად ბუაზიზი | ბურსასფორი, თურქეთი |
| 18 | აჩურ ბენ სლიმანი | მარტიგი, საფრანგეთი |
| | **თავდამსხმელები** | |
| 7 | იმედ მჰაჯები | ჯენოა, იტალია |
| 9 | ჯამელ ზაბი | ბიზერტე |
| 20 | მურად მელკი | ესპერანსი |
| 21 | ბასემ დაასი | სტად ტუნისიენი |

მწვრთნელი: ანრი მიშელი (საფრანგეთი)

### ზამბია

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | დევის პირი | კაბვე უორიორზი |
| 16 | კოლინზ მბულო | გრინ ბაფალო |
| | **მცველები** | |
| 2 | ლოგტერ ჩილემბე | ნჩანგა რეინჯერსი |
| 3 | ჩარლზ ბვალე | ნკანა |
| 4 | მოზეს სიხონე | კიოლნი, გერმანია |
| 5 | ელია ტანა | ნჩანგა რეინჯერსი |
| 6 | ჯონს მოვევა | პაუერ დინამოსი |
| 7 | მარკს სინიანგვე | ნკანა |
| 21 | პილარი მაკასა | რია სტარზი |
| | **ნახევარმცველები** | |
| 8 | ჩარლზ ლოტა | კაბვე უორიორზი |
| 12 | ბოსტონ მვანზა | ნკანა |
| 13 | ნუმბა მუმამბა | ზანაკო |
| 14 | ფრანსის კასონდე | კაბვე უორიორზი |
| 15 | იან ბაკალა | კაბვე უორიორზი |
| 17 | გიფტ კამპამბა | მამელოდი სანდაუნზი, სამხ. აფრიკა |
| 19 | ენდრიუ სინკალა | კიოლნი, გერმანია |
| 22 | მიშეკ ლუნგუ | ნჩანგა რეინჯერსი |
| | **თავდამსხმელები** | |
| 9 | კოსმას ბანდა | ზანაკო |
| 10 | დენის ლოტა | ორლანდო პაირატსი, სამხ. აფრიკა |
| 11 | პარი მილანზი | ატლეტიკო ზამორა, მექსიკა |
| 18 | ჩასვე ნსოფვა | ზანაკო |
| 20 | ფილემონ ჩიპეტა | ლუსაკა დინამოსი |

მწვრთნელი: როალდ პოულსენი (დანია)



გიო ახვლედიანის

სვეტი

# ბექჰემის საკითხი

სექტემბრიდან ამ ამბავშია ჩაფლული ფეხბურთის უამრავი საქმოსანი და მედიის კაცი: თურმე, ზაფხულში დევიდ ბექჰემს კონტრაქტი უმთავრდება „მანჩესტერ იუნაიტედთან" და ახალ კონტრაქტზე ლაპარაკი მის აგენტსა და კლუბის უფროსობას შორის თვეებია გრძელდება.

ბექჰემი ბოლო ხანს, ცოტას თამაშობს და ოფიციალური ვერსიით, ხან ზურგი სტკივა, ხან დასვენება სჭირდება, ხანაც ცოლს მიჰყვება სადღაც. კაბინეტებიდან გამოსული ხმებით, მთავარი საჭიდაო კვირის ხელფასია, რომელიც ოთხმოცდაათ და ას ათას გირვანქას შორის მერყეობს. თავის გუნდში ბექჰემი მეშვიდე-მერვე იქნება ხელფასის სიდიდით. ხუან ვერონს, ბარტეზს, ვან ნისტელროის, როი კინს, პოლ სქოულზს, რაიან გიგზს, მის მეგობარ გარი ნევილს, გასამრჯელოდ ბევრად მეტი ეძლევათ. კინს საერთოდაც ორჯერ მეტი, ვერონს ორჯერ მეტზე მეტი და ბექჰემი ახლა იმას ითხოვს, რომ ამათზე ორჯერ მეტი ჰქონდეს.

გასაგებია. ხელფასი კოსმოსისკენ მიდის. ამას მივეჩვიეთ.

ალბათ, ბექჰემი უფრო დარჩება, ვიდრე წავა. მისი ინტერესის ქალაქად მილანია ცნობილი, სადაც ორი მილიარდერი საერთაშორისო დიდების აღსადგენად იბრძვის, მაგრამ როცა ბექჰემის საქმე ასე გაჯანჯლდა, „იუნაიტედმა" ახალი ოთხწლიანი კონტრაქტი და ზედაც 14 მილიონი გირვანქა შესთავაზა როი კინს ანუ, გუნდის მეთაურის საკითხი გაარკვია. ნოემბრის მიწურულიდან მოედანიც კინმა დაიპყრო და „იუნაიტედიც" ხუთი ნახევარმცველით თამაშს შეეშვა. შედეგი ცნობილია, გუნდი მერვედან პირველ ადგილზე ავარდა.

„ვიღაცას ძალიან გაუგრძელდა მანჩესტერში ყოფნა" — ჩაილაპარაკა მაშინ ალექს ფერგიუსონმა და მალე ბექჰი სკამზე აღმოჩნდა „ზურგის ტკივილის" გამო. მან დაინახა, რომ უმისოდაც იგებენ.

ეს კონტრაქტისთვის ჭიდაობაა. ოთხმოცდაათი ათასი გირვანქა კვირაში მართლაც წარმოუდგენელი ხელფასია და საჭიდაოც ბევრია.

მაგრამ კონტრაქტი კვლავ ხელმძღვანელია. წინა შაბათს კი ბექჰემმა ჯარიმიდან გაიტანა გოლი, მისთვის მნიშვნელოვანი. ის ფორმაშია, ერთი საგოლე პასიც მიათვალა. ესეც საჭიდაო ქულაა. საერთოდ, ასეთ დროს, ყველაფერი საჭიდაოა. ბექჰემი ინგლისის ნაკრების კაპიტანი და ლიდერია. მისი კონტრაქტის პრობლემების ერთგვარი უკანა პლანი ისიცაა, რომ „იუნაიტედში" ბექჰემის ადგილი გაირკვეს.

ყველას მოგვისმენია: კინი „მანჩესტერის" ჯიგარია, გიგზი „მანჩესტერის" გულია, ბარტეზი „მანჩესტერის" შოუა, ვან ნისტელროი „მანჩესტერის" გოლია, სქოულზი „მანჩესტერის" მხსნელია და ასე შემდეგ. ფილ ნევილიც ვიღაც გამოვა. და ვინღაა ბექჰემი „მანჩესტერისთვის"?

მგონია, რომ ის მთავარია ამ გუნდში. წავა, თუ დარჩება, მაინც ასეა.

„მანჩესტერი" კი დიდი გუნდია და ცხადია, უმისოდაც მოიგებს თამაშებს, მაგრამ ის, რაც მას შეუძლია, არ შეუძლია „იუნაიტედის" არც ერთ ფეხბურთელს.

ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.



ტიერი ანრი და პატრიკ ვიეირა მარკ როჟერს ხომ არ ესაუბრებიან?

# აქაცა რეკავს?!

## არსენალი ჭურში ზის, ვიეირა მადრიდში

„მარკ როჟერი ჩვენი კლუბისთვის მიუღებელი პერსონაა" — განაცხადა „არსენალის" თანათავმჯდომარემ დევიდ დინმა. მართალია, იგი თითქმის სამი წელიწადია, კლუბის ბაზაზე ალარავის უნახავს, მაგრამ საწვრთნელი ბაზის მახლობელ ავტოპარკში ტელეფონით მოსაუბრე ხშირად შეუმჩნევიათ, ბუნებრივია, ეჭვიც გაჩნდა, რომ იგი რომელიმე არსენალელს ელაპარაკებოდა. ასეთმა სატელეფონო საუბრებმა კი ის შედეგი გამოიღო, რაც უკვე რამდენიმე დღეა, ინგლისური და ესპანური გაზეთების წამყვან თემად იქცა — პატრიკ ვიეირა და მარკ როჟერი ერთად ჩავიდნენ მადრიდში...

თუ რა შედეგს მოიტანს ეს ვიზიტი, ჯერჯერობით მხოლოდ ვიეირამ და „რეალის" ლიდკაცობამ იციან. ისე კი, ზოგიერთ ფრანგულ გაზეთშიც უკვე გაჩნდა ცნობა, რომ პატრიკმა რაღაც დოკუმენტებს უკვე მოაწერა ხელი.

იმედს არ კარგავს და გავრცელებულ ინფორმაციას წმინდა წყლის ჭორს უწოდებს „მეთოფეთა" თავკაცი არსენ ვენგერი: „მჯერა, რომ ეს ხმები, ბოლოს და ბოლოს, ჩაცხრება. ყველაფერი კი იმ ხალხის გავრცელებულია, ვისაც სურს, „არსენალის" საქმეები აირიოს. მერწმუნეთ, ყველაფერი ვიღაცის ავადმყოფური ფანტაზიაა და მეტი არაფერი. ვიეირა კლუბის კაპიტანია და „არსენალს" პატივს სცემს, მან ეს წინა კვირასაც დამიდასტურა".

მოლაპარაკებაში ჩაბმული ვიეირას კიდევ ერთი აგენტი, ესპანელი სანტოს მარკესი არსენ ვენგერის ოპტიმიზმს იმედს ურყევს. მან გაზეთ „მარკას" განუცხადა: „თუ ფლორენტინო პერესმა ვიეირას ხელში ჩაგდება მოინდომა, ეჭვიც არ მეპარება, რომ იგი ამას მოახერხებს. წინა სეზონში ზიდანი მოისურვა და გადაიყვანა, იმის წინ კი — ფიგუ. „რეალი" მართლაც დაინტერესებულია ვიეირას შეძენით, მაგრამ ჯენტლმენური კლუბია და სანამ თავად ფეხბურთელთან გააფორმებს რაიმე საბუთს, მანამდე „არსენალს" აუცილებლად აცნობებს ამის შესახებ".

აქვე ერთიც ვთქვათ: „მარკამაც" და „დარიო ასმაც" გუშინ პირველ გვერდზე გამოაქვეყნეს ცნობა, რომ ძალიან მალე დადგება ის დრო, როცა ვიეირა „რეალთან" გააფორმებს კონტრაქტს, აბა, მადრიდში ტურისტად ხომ არ ჩასულაო — ირონიულ კითხვასაც სვამს „მარკა". „დარიო ასი" კი, რომელიც „რეალს" სპონსორობს და სხვებზე მეტადაცაა ჩახედული კლუბის შიდა სამზარეულოში, წერს: „კლუბი ფეხბურთელს 3,5 მილიონ ევროს გადაუხდის, ხოლო თავიდან გასამრჯელოდ წელიწადში 6 მილიონ ევროს დაუნიშნავს. თავად კონტრაქტი 5 წლის ვადით გაფორმდება და ფეხბურთელს ჯამაგირი ყოველწლიურად მოემატება".

ნიკა შუბლაძე



SunSport SunSport SunSport

£50k a week to keep Dyer

DON'T COME BACK

Arsenal fury as Vieira's banned agent sneaks in

„არსენალმა" ვიეირას აგენტს „სანის" პირით შეუთვალა: არ გაგვეკარო!

**პატრიკ ვიეირას** „არსენალიდან" „რეალში" შესაძლო გადასვლის თემა განავრცოთ. თავიდან ორიოდე სიტყვა მარკ როჟერზე ვთქვათ, რომელიც ფრანგი ფეხბურთელის აგენტია. საგულისხმოა, რომ სწორედ მან გახერხა 1999 წელს კიდევ ერთი ფრანგის, ნიკოლა ანელკას გადასვლა „არსენალიდან" „რეალში", რის შემდეგაც ლონდონურმა კლუბმა როჟერი პერსონა ნონ გრატად გამოაცხადა და „ჰაიბერიზე" და „არსენალის" საწვრთნელ ბაზა „კოლნიზე" ფეხის შედგმა აუკრძალა. მიზეზს, ალბათ, მიხვდით — არსებობს იმის საფრთხე, რომ ამ აგენტის მეოხებით „არსენალს" სხვა წამყვანი მოთამაშეებიც დატოვებენ, რაც, ცხადია, კლუბს ხელს არ აძლევს.

# მანჩესტერი სკამს იგრძელებს

**„მანჩესტერ იუნაიტედმა"** ამ სეზონის დასაწყისში ცოტა წაიფორხილა, შემდეგ თითქოს წაიჩოქა კიდეც, მაგრამ დღეს „წითელი ეშმაკები" ისევ მძლავრობენ და დიდების ახალ მწვერვალებს უმიზნებენ.

მოკლედ, მანჩესტერელები, როგორც სჩვევიათ ხოლმე, ერთდროულად რამდენიმე კურდღელს დასდევენ და ამიტომაც სათანადო „გრძელი სკამი" სჭირდებათ. სერ ალექს ფერგიუსონმა, მოგეხსენებათ, ამას წინათ იაპ სტამი უცნაურად მოკვეთა, მის ნაცვლად ლორან ბლანი გადაიბირა „ინტერიდან", ახალგაზრდა უესლი ბრაუნსაც ენდო და დაცვის ხაზმა მანჩესტერელთათვის შეუფერებელი სახე მიიღო. თუმცა, როგორც ბოლოს აღმოჩნდა, ეს დროებითი ჩავარდნა იყო. ბლანი რომ ბლანია, ვიცით, თავგზააბნეული ყმაწვილი ბრაუნიც ტრავმამ კარგა ხანს დაასვენა, დაცვაც დალაგდა და „იუნაიტედიც" ძველ „იუნაიტედს" დაემსგავსა. თუმცა სერ ალექსი შორს იხედება და უკანა ხაზის გაძლიერებას აპირებს. შოტლანდიელს თვალი „ბარსელონას" 28 წლის მცველისთვის, მიხაელ რაიციგერისთვის დაუდგამს — ეს ბიჭი გამოცდილია, კარგი იქნება, თუ მას გადმოვიბირებთ, პრემიერლიგაში და ასოციაციის თასზე მისი დახმარება დიდად წაგვადგებაო — უთქვამს ფერგიუსონს.

„იუნაიტედის" ჰოლანდიელით დაინტერესებას ფეხბურთელის აგენტიც ადასტურებს. ცნობილია იმ თანხის ოდენობაც ბრიტანელებმა კატალონიელებს რაიციგერის სანაცვლოდ რომ უნდა გადაუხადონ. „აიაქსის" და „მილანის" ყოფილი მოთამაშე ოლდტრეფორდელებს, ალბათ, ხუთი მილიონი გირვანქა დაუჯდებათ. რაიციგერიც მოწადინებული ყოფილა „მანჩესტერში" გადასასვლელად.

საქმე ისაა, რომ კატალონიური გუნდის მწვრთნელი კარლოს რექსაჩი რაიციგერს ამ ბოლო დროს არ სწყალობს. მისი ადგილი „ბარსას" ძირითადში კარლეს პუიოლსა და ფილიპ კრისტენვალს აბარია. მიუხედავად იმისა, რომ ჰოლანდიელს „ბარსასთან" კონტრაქტი ორი წლის შემდეგ უმთავრდება, კლუბიდან წასასვლელად მზადაა: „შარშან, გაზაფხულზე სამწლიან კონტრაქტს მოვაწერე ხელი, რაც კარლოს რექსაჩმა გადამაწყვეტინა. დღეს კი გაურკვეველ ვითარებაში აღმოვჩნდი. მიხარია, რომ „მანჩესტერი" ჩემით დაინტერესდა, „იუნაიტედი" დიდი გუნდია და მის რიგებში თამაში ყველა ფეხბურთელისთვის დიდი პატივია".



მიხაელ რაიციგერი

გიორგი გაგარდაშვილი



ნიკი ბათი

# მე ვხედავ ბათს!

**„მანჩესტერ იუნაიტედში"** თამაშს და კვირაში 25 ათას გირვანქა ჯამაგირს, სხვა მრავალ სიკეთესთან ერთად კიდევ ერთი რამ აქვს დადებითი — შენს გამო ქალებმა, შესაძლოა, ერთმანეთი თმით ითრიონ. აგერ, ბატონო, „წითელ ეშმაკთა" ნახევარმცველ ნიკი ბათს რა შეემთხვა.

მოკლედ, ნიკიმ ვარჯიშისგან თავისუფალ დროს გადაწყვიტა, რამდენიმე მეგობართან ერთად ერთ-ერთ მანჩესტერულ ბარში მოელხინა. იგი ბარ „რევოლუშენს" ეწვია და კათხა ლუდიც შეუკვეთა. ისხდნენ ძმაკაცები თავიანთთვის და მუსაიფობდნენ, ამ დროს კი მეზობელ მაგიდასთან ორმა თინეიჯერმა გოგონამ ერთმანეთს ლამის თმა დააწნეს — ჩხუბობდნენ და, როგორც მოგვიანებით გაირკვა, სწორედ ბათის გამო.

თვითმხილველები აცხადებენ, ლამის თვალები დასთხარეს ერთმანეთს და მერე დაცვამ ორივე ბარიდან გააძევაო. ნიკი სხვებივით გაკვირვებული უყურებდა ამ ალიაქოთს, ის კი არ იცოდა, რომ ამ ჩხუბის მიზეზი თავად იყო. გოგონებს ბარში ფეხბურთელი რომ შეუმჩნევიათ, ერთმანეთში დავა მოსვლიათ, არა მე დავინახე პირველი და მე უნდა მივიდე მასთან, არა მეო. არ გეგონოთ, ბარიდან გაგდებამ მოჩხუბრები დააშოშმინა. ქუჩაშიც გაუგრძელებიათ თმის წეწვა.

# ამოიღო, კიდევ ამოიღო... 504-ჯერ ამოიღო!

**კვირას** პრემიერლიგის ტურის ცენტრალური მატჩია — „ლიდსი" „არსენალს" მასპინძლობს. გაზეთმა „სანმა" ლავთრები გადაქექა, იქ ნანახი და წაკითხული შეაჯერა და დაასკვნა, რომ შეხვედრის არბიტრს მარკ ჰალის დიდი ჯაფა დაადგება, წამდაუწუმ მოუწევს ჯიბეზე ხელის გაკვრა და იქიდან წითელი ან ყვითელი ბარათების ამოღება.

ერთ რამეზე აქვდანვე შევთანხმდეთ — თუ ამ მცირე წერილის წაკითხვის მერე მახლობელ საბუქმეიკერო კანტორაში მისვლის და იქ ზემოთხსენებულ მატჩში მეტ ყვითელ ბარათზე ფსონის დადების სურვილი გაგიჩნდებათ, ღმერთმა გაშოროთ და, რომ არ გამართლდეს, ჩვენ ნუ დაგვაბრალებთ. თუ ასე მოიქცევით, მაშინ ჯობია, კითხვა აქვე დაასრულოთ და სხვა საქმეზე გადახვიდეთ. გამოგიტყდებით, წარმოდგენაც არ მაქვს, რამდენჯერ ააფრიალებს ჰალი ყვითელ ბარათს, ისე კი, ფაქტები ასეთია:

— „არსენალისა" და „ლიდსის" ბოლო შვიდ შეხვედრაში მსაჯებს 48 ყვითელი და 5 წითელი ბარათის ჩვენება მოუხდათ.

— არსენალელი პატრიკ ვიეირა და მარტინ კიოუნი 14 თვის წინ „ელანდ როუდზე" უმსგავსო საქციელისთვის ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ მკაცრად დასაჯა.

— ამ გუნდების პირველ მატჩში მსაჯმა ჯეფ ვინტერმა წითელი ბარათი უჩვენა და ორი ლიდსელი — ლი ბოიერი და დენი მილსი გააძევა.

— არბიტრმა მარკ ჰალიმ, რომელიც ზემოხსენებულ მატჩს უნდა გაუძღვეს, 1997-98 წლების სეზონიდან მოყოლებული 226 შეხვედრაში 474 ყვითელი და 30 წითელი ბარათი ამოიღო ჯიბიდან.

— 18 თვის წინ ჰალი ისტორიაში შევიდა, როცა „შეფილდ უენსდეისა" და „ვულვერჰემპტონის" შეხვედრაში შეფილდელთა მეკარე კევინ პრესმანი საჯარიმოს გარეთ ხელით თამაშისთვის მე-13 წამზე (!!) გააძევა მოედნიდან.



მარკ ჰალი

# მიირთვით იმპერატორი ბურთით

**მსოფლიოს** მთავარი საფეხბურთო ფორუმის წინა ციებ-ცხელება კორეაში უკვე დაიწყო. სეულის რესტორნებში ახალი ცივი და ცხელი კერძებიც გამოჩნდა. აგერ, ოფიციანტს ნეოავანგარდისტული ქმნილება მიაქვს კლიენტისთვის. კორეელს გვერდულად ეღიმება და, ალბათ, კლიენტისგან კითხვას ელოდება: „ვარგისია თუ არა ბურთი საჭმელად?" — პასუხი არც ჩვენ ვიცით, თუმც კერძის სახელს გეტყვით: „იმპერატორი ტუნა".



REUTERS სურათიდან



REUTERS სურათიდან

# ის მაინც ბრუნავს

**სახელი** ყველას და ყველაფერს სჭირდება, მათ შორის ბურთსაც. „ადიდასის" ფირმის ამ მრგვალი ნაწარმისთვის „ფევერნოვა" დაურქმევიათ. მისი ფასი 150 ათასი კორეული ვონი, უფრო გასაგებად კი, 114 ამერიკული დოლარია. ეტყობა, კორეელებს ცხოვრება აწყობილი აქვთ, რადგან ბურთების პირველი პარტია მოკლე ვადაში გასაღებულა. „ადიდასსაც" ეს უნდოდა, მეორე პარტიას აპრილში ჩაიტანს. კორეელი მამაკაცი გულმოდგინედ აკვირდება „ფევერნოვას", მაგრამ არა გვგონია, ჯადოსნური ბრუნისავით ახალი რამე აღმოაჩინოს — ბურთია და მრგვალია.

# რა მადლიანად ანათებს

**არ ვიცით,** საორგანიზაციო კომიტეტის დავალებით თუ როგორ, მუნდიალის მონაწილე ქვეყნებს თავ-თავიანთი დროშების გვერდით თითო ბოთლი ლიქიორი დაუდგამთ. წინა პლანზე კარგად მოჩანს აშშ-ის დროშაზე განთავსებული ვარსკვლავები. ქართველებს, ალბათ, გვერჩივნა, ამ ფოტოზე ქართული სამარკო კონიაკი გვეხილა, თავისი ხუთი ვარსკვლავით. ოდესმე ჩვენც ჩავვარსკვლავდებით?

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN



REUTERS სურათიდან

# ფოგთსმა, მამაცი გული მაქვსო

**ბერტი ფოგთსს** კარგი ნაკრების გაწვრთნის ახალი შესაძლებლობა მიეცა. ქვეყნიში ჩაკარგული გერმანელი მწვრთნელი ზედიზედ მეორე შესარჩევი ციკლის ჩამგდებ შოტლანდიელებს გაახსენდათ და შესაძლოა სქოთური ფეხბურთის ისტორიაში პირველი უცხოელი მწვრთნელი სწორედ გერმანიის ნაკრების ბოლო ტრიუმფის შემოქმედი გახდეს.

შოტლანდიელთა გაწვრთნის პერსპექტივა, ცხადია, თავად ფოგთსსაც ხიბლავს, მით უფრო, რომ იგი სქოთთა ყოფილი თავკაცის კრეიგ ბრაუნის მეგობარიცაა, რომელიც, თავის მხრივ, ნაკრების მწვრთნელის პოსტზე საუკეთესო კანდიდატურად სწორედ მას მიიჩნევს. გარდა ამისა, ფოგთსს ბევრი რამ აქვს დასამტკიცებელი, უპირველეს ყოვლისა, თანამემამულეებისათვის. კერძოდ კი ის, რომ ევროპის ჩემპიონი მწვრთნელი სამშობლოში უმუშევრად არ უნდა დაეტოვებინათ.

ფეხბურთელობისას ის კაიზერ ფრანცის ჩრდილში იმყოფებოდა და ასეა ახლაც, მწვრთნელობისას. 1990 წელს ბეკენბაუერის გაჩემპიონებული გერმანული მანქანა ფოგთსმა გადაიბარა და მას რვა წელი ედგა სათავეში. ამ ხნის მანძილზე უფრო მეტი იმედგაცრუება იყო, ვიდრე წარმატება. შვედეთსა და აშშ-ში (შესაბამისად ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე) ჩავარდნის შემდეგ, 1996 წელს, ინგლისში ფოგთსმა გერმანელთა ჯგუფურობით ბოლო გამარჯვება მოიპოვა, შემდეგ კი საფრანგეთის მუნდიალზე ხორვატთაგან თავისი მობერებული გუნდის უმოწყალო რბევის შემდეგ კარისკენ მიუთითეს. მერე იყო „ლევერკუზენში", საიდანაც 2001 წლის მაისში გაუშვეს.

საბოლოოდ ევროპაში ხეირიანი წინადადების გარეშე დარჩენილი ფოგთსი ქუვეითის ნაკრებს ჩაუდგა სათავეში და აი, ხანმოკლე აზიური გასეირნების შემდეგ იგი, შესაძლოა, კვლავ ამბიციური ევროპული გუნდის სათავეში აღმოჩნდეს. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ყველაფერი აქეთ მიდის. სქოთებს, ინგლისელთა მსგავსად, ალბათ, მართლაც რომ უცხოელი მწვრთნელი სჭირდებათ.



ბერტი ფოგთსი

**სერგი ტორიძე**

# სკალა დიდ ფეხბურთს მაღაროში დაემალა

**ცნობილი** იტალიელი სპეციალისტი ნევიო სკალა დონეცკის „შახტარის" თავკაცად დაინიშნა. ამის შესახებ გუშინ უკრაინული კლუბის პრეზიდენტმა რინატ ახმეტოვმა განაცხადა. გუშინვე მან ახალი მწვრთნელი გუნდს წარუდგინა, ხოლო წარსულში „პარმას", „დორტმუნდისა" და „ბეშიქთაშის" დამრიგებელმა „შახტარის" აწ უკვე ყოფილ თავკაც ვალერი იარემჩენკოსთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა.

შეგახსენებთ, რომ ნევიო სკალას „შახტარში" დანიშვნის თაობაზე უკვე დიდი ხანია, ლაპარაკობენ, თუმც მისი უკრაინულ კლუბში მისვლა მაინც საეჭვოდ ჩანდა, მაგრამ საქმე ისე წავიდა, რომ „შახტარის" ხელმძღვანელობამ უკან არ დაიხია და სკალას დაყოლიება შეძლო. იტალიელმა კონტრაქტი 2003 წლის 30 ივნისამდე გააფორმა. მას კლუბის გაწვრთნაში კიდევ ორი თანამემამულე დაეხმარება.

ნევიო სკალას პირველი შახტარული შეკრება კი არაბთა გაერთიანებულ საამიროებში მოეწყობა.

**კახა ზალამბერიძე**



ნევიო სკალა

## ფეხბურთის რუკასთან



**ესპანური** „რეალის“ 28 წლის ნახევარმცველი, ბრაზილიელი სავიო ვარჯიშის დროს დაშავდა და ოთხი კვირა ვერ ითამაშებს. ფეხბურთელისთვის ეს სეზონი წარუმატებელი გამოდგა. ტრავმის გამო პრიმერადივიზიონის მხოლოდ სამ მატჩში მიიღო მონაწილეობა და სამივეში შეცვლაზე შევიდა. გავრცელდა ხმები, რომ მადრიდული კლუბი მზადაა, ეს უიღბლო მოთამაშე რომელიმე ფრანგულ კლუბს მიჰყიდოს.

**იტალიური „ფიორენტინას“ 32 წლის თავდამსხმელი ენრიკო კიეზა ბელგიის ქალაქ ანტვერპენში იმყოფება და სამედიცინო შემოწმებას გადის. შეგახსენებთ, რომ ფეხბურთელი 30 სექტემბერს „ვენეციასთან“ მატჩში დაშავდა. ანტვერპენში კიეზასთან ერთად თანაგუნდელი ტადეი იმყოფება და ორივე მოთამაშე, მორეტისთან და ჩეკარელისთან ერთად, კლუბში უახლოეს ვარჯიშებს გამოტოვებს.**

**არგენტინელი** ფერნანდო რედონდოს მოედანზე დაბრუნება ჯერაც საეჭვოა. შეგახსენებთ, რომ 32 წლის ნახევარმცველი 2000 წლის აგვისტოში დაშავდა და ამის გამო „მილანს“ დღემდე ვერ ეხმარება. მის დაბრუნებას იანვრის შუა რიცხვებისთვის ვარაუდობდნენ, თუმცა არ გამართლდა. ახლა რედონდოს სრულ გამოჯანმრთელებას ერთ თვეში ელიან. ამჟამად იგი არგენტინაში იმყოფება და ინდივიდუალურად ვარჯიშობს. „მილანის“ ხელმძღვანელობის თქმით, ფეხბურთელს იმ შემთხვევაში ათამაშებს, თუ თავად დარწმუნებული იქნება, რომ მზადაა.

**იაპონიის ფეხბურთის ასოციაციამ მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადების პროგრამაში რვა ამხანაგური მატჩი შეიტანა. პირველად იაპონელები უკრაინას გაეჯიბრებიან 21 მარტს ოსაკაში. შემდეგ „ამომავალი მზის“ ქვეყნის წარმომადგენლები პოლონეთს ეწვევიან (27 მარტს), 17 აპრილს კი მინ გვატემალას ნაკრებთან მოსინჯავენ ძალებს. აპრილის ბოლოს აზიელები კირინის თასზე მიიღებენ მონაწილეობას, სადაც მათი მეტოქეები ჰონდურასი და სლოვაკეთი იქნებიან.**

**ინგლისის** ფეხბურთის ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტმა არ მიიღო „ლიდსის“ თავდამსხმელ ალან სმიტის აპელაცია. შეგახსენებთ, რომ ინგლისის თასის მესამე რაუნდში კარდიფელი ენდი ლეგის წინააღმდეგ უხეშობისთვის სმიტს წითელი ბარათი აუფრიალეს. სადისციპლინო კომიტეტმა დამნაშავე ოთხი მატჩით დასაჯა.

**ესპანურ მადრიდის „ატლეტიკოს“ მომავალი სეზონიდან რუმინელი ადრიან ილიეს საკუთარ რიგებში ხილვა სურს. ილიე წელიწადში ხელფასის სახით 2,2 მილიონ ევროს ითხოვს, თუმცა მადრიდული კლუბი არც ამაზე იხევს უკან. რუმინელ თავდამსხმელს „ვალენსიასთან“ კონტრაქტი მიმდინარე წლის 30 ივნისს უმთავრდება, თანაც კლუბის თავკაც რაფაელ ბენიტესთან ურთიერთობაც გაურთულდა. „ატლეტიკოს“ გარდა ილიეს გადაბირებას „ბეტისი“ და რამდენიმე ევროპული კლუბი ცდილობს.**

**ინგლისის** უზენაესმა სასამართლომ ნება დართო ლონდონურ „ფულემს“, მშობლიურ სტადიონ „კრივენ კოტეჯს“ რეკონსტრუქცია ჩაუტაროს. ლონდონური კლუბი 70 მილიონ გირვანქას დახარჯვას აპირებს, თუმცა ადგილობრივი მოსახლეობა ახალ პროექტს დღესაც ეწინააღმდეგება. შეგახსენებთ, რომ რეკონსტრუქციის შედეგად სტადიონის ტერიტორია 20,787 კვადრატული მეტრიდან 30 000-მდე გაიზრდება.

**იტალიური „იუვენტუსის“ ორი თავდამსხმელი — ურუგვაელი დანიელ ფონსეკა და არგენტინელი ხუან ესნაიდერი „რივერ პლეიტში“ გადავიდნენ. ესნაიდერი „ბებერ ქალბატონს“ პორტუგალიურ „პორტოში“ ჰყავდა განათხოვრებული. 28 წლის არგენტინელს ადრე ესპანურ „რეალში“, „ატლეტიკოსა“ და „სარაგოსაში“ უთამაშია. 32 წლის ფონსეკა კი „იუვენტუსის“ ძირითად შემადგენლობაში თითქმის არ ჩნდებოდა.**

**ინგლისური** „ჩელსის“ იტალიელმა თავკაცმა კლაუდიო რანიერიმ განაცხადა, რომ დიდი სურვილი აქვს, თანამემამულე ჯანფრანკო ძოლამ კარიერის დასრულების შემდეგ კლუბის მწვრთნელთა შტაბში გადაინაცვლოს. 35 წლის თავდამსხმელის კონტრაქტს ვადა ერთი წლის შემდეგ გადის.

**ხორვატი სპეციალისტი მიროსლავ ბლაჟევიჩი ბოსნია-ჰერცოგოვინის ნაკრების თავკაცად დაინიშნა, თუმცა ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციამ ეს ინფორმაცია არც დაადასტურა და არც უარყო. შეგახსენებთ, რომ ბოლოს ბლაჟევიჩი ირანის ნაკრებს წვრთნიდა, თუმცა მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ გაიყვანა და გუნდიც დატოვა. 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე კი მან ხორვატიის ნაკრებს ბრინჯაო მოაპოვებინა.**

**შოტლანდიელ** ფსიქოლოგ ჯაკ ბლექის თქმით, „რეინჯერსის“ ნორვეგიელ თავდამსხმელ ტორე ანდრე ფლოს ფსიქოლოგიური დახმარება სჭირდება. ბლექის აზრით, 12 მილიონ გირვანქად ნაყიდ თავდამსხმელს ჯერაც ვერ გაურკვევია, რატომ ვერ ხვდება რეგულარულად ძირითად შემადგენლობაში და ამის გამო დიდი წნეხის ქვეშაა მოქცეული. გლაზგოელთა თავკაც ალექს მაკლიშს ფლოს საკითხი სწორედ ჯაკ ბლექისთვის მიუნდია. „გულშემატკივართა აზრით, ის მხოლოდ ფულის საკეთებლად თამაშობს“ — განაცხადა ფსიქოლოგმა.

**ბელარუსში შედგა ფიფას არბიტრ გენადი იაკუბოვსკის სასამართლო პროცესი. საქმე ისაა, რომ გამოძიების თანახმად, 2000 წლის შემოდგომაზე ვიტებსკის „ლოკომოტივი 96“-ის ფეხბურთელ მიხაილ პაცკოს რუსულ „სოკოლში“ გაყიდვიდან მიღებული თანხა სწორედ იაკუბოვსკის პირად ანგარიშზე ჩაირიცხა ლატვიაში. ფიფას არბიტრს 8-დან 15 წლამდე პატიმრობა ემუქრებოდა, თუმცა სასამართლომ სხვაგვარად განსაჯა და იგი გაამართლა. იაკუბოვსკის ორწლიანი პირობითი პატიმრობა მიუსაჯეს. შეგახსენებთ, რომ გამოძიების დასრულებამდე თემიდელმა 10 თვე გაატარა ციხეში.**

**ინგლისის** ნაკრების შვედ თავკაც სვენ გორან ერიკსონს სურს, თავისი შეგირდები ოჯახებითურთ ერთკვირიან შვებულებაში გაუშვას რომელიმე ქვეყანაში. ბრიტანელები სავარაუდოდ არაბეთის გაერთიანებულ საამიროებს ეწვევიან. ერიკსონის აზრით, ამან დათვური სამსახური უნდა გაუწიოს ფეხბურთელებს. გუნდი მოგზაურობაში პრემიერლიგის დასრულებიდან ორიოდ დღეში, 13 მაისს, გაემგზავრება.

**ესპანური „ვალენსიას“ არგენტინელი მცველი რობერტო აიალა მადრიდის „რეალთან“ მატჩის შემდეგ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს. „მე ქოლერი არ ვარ. თავადაც საკმაოდ მირტყამენ კოჭებში. „სანტიაგო ბერნაბეუზე“ აზრადაც არ მომსვლია ზიდანთან განზრახ უხეშობა, მით უმეტეს, მსოფლიოს ჩემპიონატის წინ“ — თავი იმართლა აიალამ.**

**გერმანული** კლუბები ბუნდესლიგის განახლებამდე ამხანაგურ მატჩებს თამაშობენ. ერთ-ერთი აუტსაიდერი „ნიურნბერგი“ 3:3 ეთამაშა ჩეხურ „ტეპლიცეს“. ბუნდესლიგის ლიდერებმა კი სულაც მარცხი განიცადეს უსახელო კლუბებთან მატჩში. კერძოდ, „ბაიერნმა“ „ლაიპციგთან“ 1:2 წააგო, „დორტმუნდმა“ კი „აახენთან“ ვერ გააწყო ვერაფერი და 0:1 დამარცხდა.

**იტალიურმა „მილანმა“ ბრაზილიური „კამპო გრანდედან“ 700 000 ევროდ 18 წლის მცველი კლეიტონი შეიძინა. მისი სრული სახელი მაჩადო დუშ სანტუშ კლეიტონია და „მილანთან“ კონტრაქტი 2006 წლამდე გააფორმა. წინა სეზონში კლეიტონმა „ბოლონიაში“ ითამაშა იჯარით, თუმცა მოგვიანებით ტრავმა მიიღო და კლუბმა მის შესყიდვაზე უარი განაცხადა.**

## იტალია

**თასის მეოთხედფინალი**
**საპასუხო მატჩი**

**ატალანტა 2:1 იუვენტუსი (2:4)**

0:1 ზალაიეტა (12), 1:1 ბიანკი (72), 2:1 პია (76)

**ნახევარფინალის წილისყრა**

**მილანი — იუვენტუსი**

**ბრეშა — პარმა**

პირველი მატჩები გაიმართება 23 იანვარს, საპასუხოები — 6-7 თებერვალს

**„იუვენტუსი“** იტალიის თასის ნახევარფინალში გავიდა. „ბებერ ქალბატონს“ „ატალანტასთან“ პირველი შეხვედრა 4:2 ჰქონდა მოგებული და მეორე შეხვედრაში 1:2 წაგების მიუხედავად, ორი თამაშის ჯამში 5:4 გამოუვიდა.

შავმა ლრუბელმა თავიდანვე „იუვეს“ საჯარიმოს ცაზე მოიყარა თავი. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა, ფრანგმა ლილიან ტურამმა, შეხვედრის მე-4 წუთზე ჯანი კომანდინი წააქცია საკუთარ მოედანზე, რისთვისაც პენალტი დაინიშნა. თერთმეტმეტრიანი კრისტიან დონიმ დაარტყა, მაგრამ ბურთი ძელს გაარტყა. აღსანიშნავია, რომ როდესაც დონი პენალტს არტყამდა, „იუვენტუსის“ ფეხბურთელები ჯგუფად შევარდნენ საჯარიმოში, რისთვისაც მსაჯს წესით პენალტი ხელახლა უნდა დაენიშნა, მაგრამ ვეღარ გაბედა.

ამ ამბიდან რვა წუთის შემდეგ ტურინელები დაწინაურდნენ: კრისტიან ძანონის ჩაკიდებული ბურთი მარსელო სალაიეტამ შეაგდო ბერგამოელთა ბადეში.



ედგარ დავიდსმა ატალანტელები ახლოს არ გაიკარა

აქ „ატალანტამ“ თითქოს კაპიტულაცია გამოაცხადა. ყოველ შემთხვევაში, „იუვენტუსის“ დამარცხებას გაცილებით მეტი დაყინება სჭირდება და როდესაც ბურთის დაუცველ კარში შეგორების საშუალება გეძლევა (როგორც ფაბიო პიას) უნდა გამოიყენო.

მაგრამ, თამაშის დამთავრებამდე 18 წუთით ადრე პიას მარცხნიდან ჩაწოდებულს ბიანკიმ მიუჩინა სწორი ადგილი, ხოლო კიდევ სამ წუთში კომანდინის პასით იმავ პიამ დააწინაურა თავისიანები.

ეს იყო და ეს, ახლა, ნახევარფინალში „იუვენტუსი“ „მილანს“ შეხვდება, „ბრეშა“ კი „პარმას“. პირველი შეხვედრები 23 იანვარს გაიმართება.

**ბაკურა ძიძია**

# ელირსება ბაბელსა...



**დაახლოებით** ოთხი თვის წინ იყო, მარკუს ბაბელს მეტად უცნაური და საშიში ვირუსი რომ შეეყარა. ვირუსმა ფეხბურთელს დამოუკიდებლად მოძრაობის უნარი წაართვა და ინვალიდის ეტლს მიაჯაჭვა. იგი მთელი ამ ხნის განმავლობაში მიუნხენის ერთ-ერთ კლინიკაში მკურნალობდა.

შეგახსენებთ, რომ „ლივერპულში“ ბაბელმა ბოლოს 27 აგვისტოს ითამაშა „ბოლტონთან“. მკურნალობის წარმატებით მიმდინარეობაზეც ვწერდით.

საბედნიეროდ, მკურნალობამ კარგად ჩაიარა და ბაბელი უკვე ფეხზე წამოდგა, ნელ-ნელა დადის კიდეც. რა თქმა უნდა, ლივერპულელები თავიანთ ფეხბურთელს გამუდმებით აქცევენ ყურადღებას და სიტყვითაც ამხნევებენ. „ყოველთვის ვგრძნობდი, რომ ისინი ჩემს გვერდით იყვნენ, ყველანაირად მეხმარებოდნენ, რის გამოც უღრმეს მადლობას ვუხდი“ — განაცხადა ტანჯვაგამოვლილმა ბაბელმა.

გახარებულია „ლივერპულის“ მწვრთნელი ჟერარ ჟოლიეს ასისტენტი ფილ ტომპსონიც: „კარგია, რომ ეს კოშმარი დასრულდა. იგი ჯერ 29 წლისაა და კიდევ შეძლებს ფეხბურთის თამაშს. მართალია, ყველაფერ ამას დროს სჭირდება და იქნებ მარკუსმა ამ სეზონში ვეღარც მოასწროს ბურთის გაგორება, მაგრამ მოედანს უეჭველად დაუბრუნდება“.

**მაია ხუციშვილი**

# მგლის ლუკმა დაბრუნდა

**შარშან,** ნოემბერში, საფრანგეთის ნაკრები ავსტრალიას ეწვია — ამხანაგურად გავეჯიბროთო. მასპინძელთა რიგებში კაცი თამაშობდა — კევინ მუსკატი. იგი ინგლისის პირველდივიზიონურ „ვულვერჰემპტონში“ გამოდის. ამ გუნდს მეტსახელად „მგლებს“ ეძახიან და იქ ერთ დროს ჩვენი თემურ ქეცბაია თამაშობდა. კევინ მუსკატს, ჩანს, მგლური ჩვევები დაჰყვება და ავსტრალიაშიც ჩაჰყვა.

ეს შესავალი იმიტომ დაგვჭირდა, რომ იმ ამხანაგურ მატჩში მუსკატმა ფრანგი კრისტოფ დუგარი ტრავმით უზრუნველყო. თანაც ისეთი ტრავმით, მწვანე მინდორს ორი თვით ჩამოაცილა.

დუგარი „ბორდოს“ ფორვარდია და შედეგად, ფრანგულ გუნდს მეგოლის პრობლემა შეუქმნა. ახლა კი ეს ორი თვე გასულა, დუგარი ფორმაში ჩამდგარა და „ლილთან“ გასვლით შეხვედრაში 87 წუთიც უთამაშია: „ფეხის ტკივილს ხანდახან ცოტათი კიდევ ვგრძნობ, მაგრამ თამაში შემიძლია. ვგრძნობ, პრაქტიკა მაკლია და სათანადო ფიზიკურ კონდიციებსაც უნდა მივაღწიო“ — თქვა 29 წლის ფრანგმა, რომელსაც ნაკრების მაისურა 47-ჯერ მოურგია. დუგარი ასევე თვლის, რომ „ბორდომ“ რეალობას თვალებში უნდა ჩახედოს, რადგან ამ სეზონში გაჩემპიონების შანსი არ გვაქვსო.

**მაია ხუციშვილი**



კრისტოფ დუგარი (შუაში) კოჭებში რტყმის დაჩვეულია

## ინგლისი

**I დივიზიონი. XXX ტური**

**პორტსმუთი 2:3 ვულვერჰემპტონი**

1:0 ქრომბი (11), 1:1 ა. რაგ (16), 1:2 ნ. ბლეიქი (61), 2:2 პრისიანჩუკი (79), 2:3 სტაროკი (86)

## ესპანეთი

**თასის 1/2ფინალის წილისყრა**

ბილბაო — რეალი; ფიგერესი (?) — დეპორტივო

პირველი მატჩები გაიმართება 23 იანვარს, საპასუხოები — 30 იანვარს. ფინალი კი 6 მარტს, მადრიდში „სანტიაგო ბერნაბეუზე“

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

## იტალია

პაპუა კალია

# ვაგონი მიქრის

| XIX ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| ბრეშა | - | ტორინო |
| ხვალ | | |
| იუვენტუსი | - | ატალანტა |
| ბოლონია | - | კიევო |
| ფიორენტინა | - | მილანი |
| ინტერი | - | პარმა |
| ლაციო | - | პერუჯა |
| ლეჩე | - | პიაჩენცა |
| უდინეზე | - | რომა |
| ვერონა | - | ვენეცია |

| საძიებო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რომა | 18 | 11 | 6 | 1 | 28:11 | 39 |
| ინტერი | 18 | 11 | 5 | 2 | 33:16 | 38 |
| იუვენტუსი | 18 | 9 | 7 | 2 | 32:14 | 34 |
| კიევო | 17 | 10 | 3 | 4 | 32:22 | 33 |
| მილანი | 18 | 8 | 7 | 3 | 26:18 | 31 |
| ბოლონია | 18 | 8 | 4 | 6 | 17:18 | 28 |
| ლაციო | 17 | 6 | 7 | 4 | 21:13 | 25 |
| ვერონა | 18 | 7 | 4 | 7 | 25:27 | 25 |
| პერუჯა | 18 | 6 | 4 | 8 | 20:23 | 22 |
| ატალანტა | 18 | 6 | 4 | 8 | 24:31 | 22 |
| პიაჩენცა | 18 | 6 | 3 | 9 | 24:25 | 21 |
| უდინეზე | 18 | 6 | 3 | 9 | 25:31 | 21 |
| ტორინო | 18 | 5 | 5 | 8 | 21:24 | 20 |
| ბრეშა | 18 | 4 | 7 | 7 | 20:30 | 19 |
| პარმა | 18 | 4 | 6 | 8 | 22:28 | 18 |
| ლეჩე | 18 | 4 | 6 | 8 | 19:26 | 18 |
| ფიორენტინა | 18 | 4 | 3 | 11 | 20:37 | 15 |
| ვენეცია | 18 | 2 | 4 | 12 | 16:31 | 10 |

**ამ უქმეებზე** „ლაციო“ და „მილანი“ სკუდეტოსკენ მიმავალი მატარებლის ბოლო ვაგონს თუ არ შეახტებიან, მერე შეიძლება ძალიან გვიან იყოს. ჩემპიონატის ნახევარი გავლილია, სცენაზე კი მხოლოდ ოთხი გუნდი ჩანს — „რომა“, „ინტერი“, „იუვენტუსი“ და „კიევო“.

გასაგებია, რომ ამ ჩამონათვალმა ყური მოგჭრათ. ვასახელებთ „კიევოს“, „მილანს“ და „ლაციოს“ კი სადღაც ბოლო ვაგონში ვიხსენიებთ, მაგრამ ეს არც თქვენი ბრალია, არც ჩვენი და, მოგვიტევეთ და, არც „კიევოსი“. „მილანი“ და „ლაციო“ (თუ გნებავთ „ლაციო“ და „მილანი“), როგორც ქლერს, ისე ვერ თამაშობენ. ფეხბურთი — მართალია მას ხშირად ხელოვნებას ადარებენ — ის დარგია, სადაც გამარჯვებულს დაგროვილი ქულების რაოდენობით ასახელებენ.

ერთი სიტყვით, „ლაციოსა“ და „მილანს“ მე-19 ტურში გამარჯვება სჭირდებათ, მათი მეტოქეები კი გახლავან „პერუჯა“ და „ფიორენტინა“. „მილანი“ ფლორენციაში თამაშობს, რომაელები პერუჯელებს მასპინძლობენ.

„მილანი“ ლიდერს, „რომას“ რვა ქულით ჩამორჩება („რომამ“ 18 შეხვედრაში მხოლოდ ერთხელ წააგო). „შავ- წითლების“ ვიზიტი ფლორენციაში კი იმით იქნება საინტერესო და ვინ იცის სახიფათოც, რომ „ფიორენტინას“ ახლადანიშნული ოტავიო ბიანკი წვრთნის. შეგახსენებთ, ეს ის ბიანკია, რომელიც 1986-87 წლების სეზონში დიეგო მარადონას დროინდელ „ნაპოლის“ ედგა სათავეში და ჩემპიონობა მოიპოვა. და კიდევ, ეს ის ბიანკია, რომელიც კარგი თითქმის წელიწადია მწვრთნელობას ჩამოშორებული გახლდათ.

„ფიორენტინას“ პლუსი „ინტერისგან“ ნასესხები თუ ნათხოვი ბრაზილიელი ადრიანოც გახლავთ. ადრიანო თავდამსხმელია და ყველა ღონეს იხმარს, კარლო ანჩელოტის რაზმს ისტორიაში მე-17-სკუდეტოს მოპოვების იმედი რომ მოუშალოს.

„ლაციო“ „მილანზე“ უარეს დღეშია. მართალია, თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული, მაგრამ „რომას“ მთელი 14 ქულით ჩამორჩება. გარდა ამისა, „პერუჯა“ კარგა კერკეტი კაკალია და „სტადიო ოლიმპიკოზე“ დიდ წინააღმდეგობას გასწევს. ამრიგად, მასპინძელთა თავკაცს ალბერტო ძაკერონის გვარიანი დაფიქრება მართებს, სანამ ამასწინათ ნათქვამს გაიმეორებს — ჩემპიონობის იმედი ჯერ არ გადაგვიწურავსო.

სხვათა შორის, „ლაციოს“ ფეხბურთელებს წინა კვირას კლუბის პრეზიდენტი, სერჯო კრანიოტი ეწვია და თავის მოჯამაგირეებს (თუნდაც ჯამაგირი მილიონები იყოს) განუმარტა, რომ „პერუჯასთან“ უმნიშვნელოვანესი მატჩი ელით.

აქ ჩავურთოთ: ამ შეგონების შემდეგ რომაელებმა იტალიის თასის მეოთხედფინალში შინ „მილანთან“ წააგეს.

ხოლო რომაელების თემა „რომაში“ [illegible] დღეს მათი ამოცანა „უდინეზეს“ დამარცხებაა, ხოლო „უდინეზე“ ის გუნდია, რომელმაც [illegible] წინ ინგლისელი მწვრთნელი როი ჰოჯსონი დაიფერინა. ჰოჯსონის განთავისუფლების შემდეგ კლუბის ძირითადმა მეწილემ ჯამპაოლო პოცომ გუნდის ახალ თავკაცს ჯამპიეტრო ვენტურას გამოუცხადა სრული ნდობა, თუმცა ვეჭვობთ, ეს ამაღელვებელი ამბავი „რომას“ თავკაცს ფაბიო კაპელოს ჩირად ულირდეს.

„ინტერი“ „პარმას“ მასპინძლობს და თავისი გამარჯვების გარდა „რომას“ დამარცხებასაც ნატრობს, ხოლო „იუვენტუსი“ — ტურინის გუნდი ჩინებულ ფორმაშია — „ატალანტას“ ელის და 26-ე სკუდეტოზე ოცნებობს.

და „კიევო“, რომელსაც „ლაციოს“ დარად თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული, საკუთარ მოედანზე „ბოლონიას“ დამარცხებას შეეცდება, „ბოლონია“ კი ხუმრობა საქმე არ არის, მეექვსე ადგილზეა.



ტრიო „კიევო“: ერიბერტო, ეუჯენიო კორინი და ბერნარდო კორადი (აკომპანიატორი) წინა ვაგონში მღერიან

## ინგლისი

გიგა კობახიძე

# დამარცხება თუ დაამარცხება?

**თუ ჩემპიონი** და ლიდერი „მანჩესტერ იუნაიტედი“ დღეს ენდი კოულის „ბლექბერნს“ ვერ დაამარცხებს, შეგვეძლება ვთქვათ, რომ სერ ალექსის გუნდი დაცხრა; თუ საწინააღმდეგო და აშკარად უფრო რეალური შედეგი დაფიქსირდა, ვიტყვით, რომ სერ ალექსის გუნდი „ბლექბერნს“ ისევე დააცხრა, როგორც წინა რვა მოწინააღმდეგეს. მოკლედ, „ოლდ ტრეფორდზე“ დღეს ზედიზედ მეცხრე გამარჯვებას ელიან.

| XXIII ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| დერბი | - | იფსვიჩი |
| ლესტერი | - | ნიუკასლი |
| ლივერპული | - | საუთჰემპტონი |
| მანჩესტერი | - | ბლექბერნი |
| მიდლსბრო | - | ბოლტონი |
| სანდერლენდი | - | ფულემი |
| ტოტენჰემი | - | ევერტონი |
| ხვალ | | |
| ჩელსი | - | ვესტ ჰემი |
| ლიდსი | - | არსენალი |
| ზეგ | | |
| ჩარლტონი | - | ასტონ ვილა |

| საძიებო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 22 | 13 | 3 | 6 | 54:32 | 42 |
| ნიუკასლი | 22 | 13 | 3 | 6 | 42:29 | 42 |
| ლიდსი | 22 | 11 | 8 | 3 | 34:20 | 41 |
| არსენალი | 21 | 11 | 7 | 3 | 42:25 | 40 |
| ლივერპული | 22 | 11 | 6 | 5 | 31:23 | 39 |
| ჩელსი | 22 | 8 | 10 | 4 | 35:22 | 34 |
| ასტონ ვილა | 22 | 8 | 8 | 6 | 29:27 | 32 |
| ტოტენჰემი | 22 | 9 | 4 | 9 | 33:29 | 31 |
| ფულემი | 21 | 7 | 9 | 5 | 22:21 | 30 |
| ჩარლტონი | 22 | 7 | 8 | 7 | 28:28 | 29 |
| ვესტ ჰემი | 22 | 7 | 7 | 8 | 26:34 | 28 |
| სანდერლენდი | 22 | 7 | 6 | 9 | 18:24 | 27 |
| ევერტონი | 22 | 7 | 5 | 10 | 24:29 | 26 |
| ბლექბერნი | 22 | 6 | 7 | 9 | 29:27 | 25 |
| საუთჰემპტონი | 22 | 8 | 1 | 13 | 26:36 | 25 |
| ბოლტონი | 22 | 5 | 9 | 8 | 26:34 | 24 |
| მიდლსბრო | 21 | 6 | 4 | 11 | 20:30 | 22 |
| იფსვიჩი | 22 | 5 | 6 | 11 | 28:32 | 21 |
| დერბი | 22 | 5 | 4 | 13 | 16:38 | 19 |
| ლესტერი | 21 | 3 | 7 | 11 | 14:37 | 16 |

დიახ, სულ რაღაც თვენახევრის წინ მერვე ადგილზე ჩაქვეითებულმა „მანჩესტერმა“ სასწაული შობა-ახალი წელი მოიწყო და ზედიზედ რვა მოგებით პრემიერლიგას სათავეში მოექცა. მაშინ, როცა ბექემის ვესტჰემელმა სახიძომ ქერმან დეფომ ბარტეზს გაუტანა და ჩემპიონის კვლავ გაჩემპიონების შანსები 1-10-ზე დასცა, ლიდერი „ლივერპული“ გახლდათ. და რა ჰქნა „ლივერპულმა“ შემდგომ რვა თამაშში? მხოლოდ ერთხელ იმარჯვა! შეიძლება არაფერ შუაშია, მაგრამ ეს მას შემდეგ მოხდა, რაც მერსისაიდელებმა კლუბის სიმბოლოდ ქცეული (სხვაგან არსად უთამაშია) რობი ფაულერი იორკშირში გაყიდეს, სანაცვლოდ კი ათას კლუბზე გადამხტარი ანელკა შეიძინეს...

კარგით, წასულ ამბებს თავი ვანებოთ და უახლოესი მომავლისა ვთქვათ: ენდი კოული „ოლდ ტრეფორდზე“ მტრად ჩადის, თუმცა ყველა თვალი მაინც რუუდ ვან ნისტელროის მიაჩერდება, რადგან ჰოლანდიელ ფორვარდს პრემიერლიგის რეკორდის დამყარების შანსი აქვს — მიყოლებით რვა თამაშში გოლის გატანა ჯერ ვერავის მოუხერხებია.

გამარჯვებას და რევანშს დაწყურებული „ლივერპული“ დღესვე სამხრეთელ წმინდანებს მასპინძლობს. „საუთჰემპტონმა“ სულ ცოტა ხნის წინ დაამარცხა ფილ ტომპსონის გუნდი, მანამდე „ჩელსისაც“ სძლია „სტემფორდ ბრიჯზე“, მაგრამ მერე „მანჩესტერმა“ დაჯაბნა, თანაც ისე, რომ სტრაჩანის შეგირდებმა აზრზე მოსვლა ვერც პირველდივიზიონელ „როტერჰემთან“ მოახერხეს და თასის გათამაშებას გამოეთიშნენ. ზღვისპირელების უიღბლობას ისიც დაერთო, რომ კუდიჩინის, დუდეკისა და ბარტეზის კარის ოთხჯერ ამღებმა ჯეიმს ბიტიმ ტრავმა მიიღო და ლატვიელი პარტნიორი მარიან პახარსი ეულად დატოვა.

დიდი მატჩია დერბიშიც (ოღონდ, ცხადია, ადგილობრივი მასშტაბით): უმწვრთნელოდ დარჩენილი „ქაუნთი“ ბოლო ხუთ მატჩში ოთხის მომგებ „იფსვიჩს“ ხვდება ეგრეთ წოდებულ ექვსქულიან მატჩში. სტუმრები, როგორც ხედავთ, აღმავლობის გზას აუყვნენ, თანაც საუკეთესო მეგოლე მარკუს სტიუარტიც დაუბრუნდათ, მაგრამ მასპინძლებს რომ თითქმის ბოლო შანსი აქვთ?

მოკლედ, ლიდერისაც ვთქვით და ცხრილის სარდაფშიც ჩავიხედეთ, თუმცა არ დაგვავიწყდეს, რომ დერბული მატჩის მონაწილეთა ქვევით „ლესტერია“ ჩარჩენილი. „მანჩესტერს“ კი ერთპიროვნული ლიდერი სულაც არ ეთქმის: თანალიდერი და კიდევ ერთი „იუნაიტედი“ დღეს სწორედ ლესტერში ჩადის. შირერი ავად გამხდარაო, ეს ცნობა ადრე „ნიუკასლს“ თავზარს დასცემდა, თუმცა ახლა ჯორდებს კრეიგ ბელამი და აბობოქრებული კირონ დაიერი ჰყავთ, ამიტომ გრიპშეყრილ ლეგენდას შეუძლია ასპირინი მშვიდად სვას.

ტურის მთავარი ამბები კი, ტრადიციულად, კვირას დატრიალდება: დედაქალაქში დერბია, „ელანდ როუდზე“ კი პოტენციური ლიდერი „არსენალი“ იბრძოლებს.

ჯერ პირველზე ვთქვათ: „ვესტ ჰემი“ ბოლო რვა შეხვედრაში მხოლოდ ერთხელ დამარცხდა და თანაც პაოლო დი კანიო ჯერაც ამ გუნდში იღწვის, მასპინძელ „ჩელსის“ კი ჯიმი ფლოიდი გამოუჯანმრთელდა, თუმცა გარისკავს თუ არა რანიერი მის სრულ დატვირთვას, ჯერაც საკითხავია. შეგახსენებთ, რომ შუა კვირაში იტალიელის გუნდმა თასზე 4:0 მოუგო „ნორვიჩს“, მწვრთნელის თანამემამულე ჯანფრანკო ძოლამ კი ისეთი გოლი შეაგდო, სეზონის საუკეთესო გოლის ავტორობა გაინაღდა.

ლიდსში კი ალბათ აყალ-მაყალსა და წითელყვითელ ბარათებს ვიხილავთ. ყოველ შემთხვევაში ასეთი იყო ამ გუნდების პირველი შეხვედრა „ჰაიბერიზე“ სეზონის პირველივე კვირას. მაშინ 9 კაცით დარჩენილმა „არსენალმა“ 1:2 წააგო და ახლა შურისძიება განუზრახავს. მართალია, ვენგერს აფრიკის თასზე წასული კანუ და ლორენი არ ჰყავს, მაგრამ დევიდ ოლირის პრობლემებთან შედარებით ეს სათქმელადაც არ ღირს: ირლანდიელს დაშავებულები (დაკური, რობი კინი, ბაკე, კოუელი) არ ეყოლოდა, რომ ალან სმიტმა კვლავ აიშვა და შედეგად, ასოციაციის ხუთთამაშიანი დისკვალიფიკაცია გამოსტყუა. თუმცა ერთი სასიხარულო ამბავი ლიდსშიც გაცხადდა — ტრავმა დაგეგმილზე გაცილებით ადრე მოუშუშდა რიო ფერდინანდს.



არსენალელ რობერ პირესს ლიდსელი ოლივიე დაკური ხვალ ველარ ჩაუწვება

## ესპანეთი

გიორგი დარჯანია

# სხვა ფეხბურთი

**XXI ტური**

| | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| სოსიედადი | - | ალავესი |
| მალაგა | - | რეალი |
| **ხვალ** | | |
| ესპანიოლი | - | ბეტისი |
| ვალენსია | - | ვალიადოლიდი |
| დეპორტივო | - | ლას პალმასი |
| მალიორკა | - | ბილბაო |
| ტენერიფე | - | სელტა |
| ოსასუნა | - | ვილიარეალი |
| რაიო ვალეკანო | - | ბარსელონა |
| სევილია | - | სარაგოსა |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 20 | 11 | 5 | 4 | 37:22 | 38 |
| ბილბაო | 20 | 9 | 7 | 4 | 29:26 | 34 |
| სელტა | 20 | 8 | 9 | 3 | 37:23 | 33 |
| ბარსელონა | 20 | 9 | 6 | 5 | 30:18 | 33 |
| ალავესი | 19 | 10 | 3 | 6 | 20:12 | 33 |
| ვალენსია | 20 | 8 | 9 | 3 | 23:17 | 33 |
| დეპორტივო | 20 | 10 | 3 | 7 | 33:28 | 33 |
| ბეტისი | 20 | 9 | 5 | 6 | 21:19 | 32 |
| ვალიადოლიდი | 20 | 8 | 4 | 8 | 23:33 | 28 |
| სევილია | 20 | 7 | 6 | 7 | 30:25 | 27 |
| ლას პალმასი | 20 | 7 | 6 | 7 | 22:17 | 27 |
| მალაგა | 20 | 6 | 7 | 7 | 23:25 | 25 |
| ესპანიოლი | 20 | 7 | 4 | 9 | 24:31 | 25 |
| სარაგოსა | 20 | 7 | 3 | 10 | 18:27 | 24 |
| ვილიარეალი | 20 | 6 | 5 | 9 | 20:23 | 23 |
| ოსასუნა | 20 | 6 | 5 | 9 | 18:25 | 23 |
| ტენერიფე | 20 | 6 | 3 | 11 | 14:23 | 21 |
| მალიორკა | 20 | 5 | 5 | 10 | 20:29 | 20 |
| სოსიედადი | 20 | 5 | 4 | 11 | 24:29 | 19 |
| რაიო | 19 | 3 | 5 | 11 | 19:33 | 14 |

**ერთხანს** „მანჩესტერ იუნაიტედიც" მერვე ადგილზე იყო და ახლა პრემიერლიგის ლიდერია — ახალ წელს „ბარსელონაც" მერვე ადგილზე შეხვდა, მას მერე ზედიზედ ორი მატჩი მოიგო და პირველზე ვერა, მაგრამ მეოთხე ადგილამდე კი აიწია. ეს ორი და სხვა ბევრიო, ამბობს კატალონიელთა კაპიტანი სერხი: „ახალი წლის მერე სულ სხვა ფეხბურთს ვთამაშობთ და შედეგიც სახეზეა. „რაიო ვალეკანო" მართალია, აუტსაიდერია, მაგრამ მუშა და შეუპოვარი გუნდია, ამიტომ მძიმე თამაში გველის. თუმც ვიმეორებ, ახალი წლის მერე „ბარსა" შეიცვალა."

ისე, თუ გავიხსენებთ, კათოლიკური შობის დღეებში პრეზიდენტი ხუან გასპარიც ამტკიცებდა, ნაახალწლევს „ბარსელონა" მოუმატებსო და მართალიც გამოდგა. ამის უმთავრეს მიზეზად კი რივალდოს ძველებურად ათამაშება გვგონია.

„ბარსელონაზე" კიდევ დავუმატოთ, რომ ფრანჩესკო კოკოს რაღაც ვირუსი შეჰყრია და ექიმებმა სასწრაფოდ გაარიდეს საწვრთნელ ბაზას, ავადმყოფობა სხვებს არ გადასდოსო. კოკო რამდენიმე დღეს შინ გაატარებს და მადრიდშიც შესაბამისად ვერ ითამაშებს.

პირველ წრეში „მალაგამ" „რეალს" „სანტიაგო ბერნაბეუზე" ფრე გაუხერხა და ახლა თავადაა მასპინძელი. მალაგელებს არ ეყოლებათ ნახევარმცველი მარსელო რომერო, რომლის ამბავიც ამ კვირაში უკვე გვეწერა — ვალენსიელ რობერტო ფაბიან აიალას თავში იდაყვი ისე ჩასცხო, ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს. „რეალთან" მატჩი მისთვის პირველი გამოტოვებული იქნება.

შუა კვირაში, ესპანეთის სამეფო თასზე მატჩისას, კოჭი დაიშავა მადრიდელმა მიჩელ სალგადომ, თუმცა არცთუ სერიოზულად და მალაგაში თამაშს, ალბათ, შეძლებს.

„სამეფო კლუბს" დაუბრუნდა ფლავიო კონსეისაოც, რომელსაც ტრავმის გამო მთელი ოთხი თვე გაუცდა, სამეფო თასზე ნახსენებ მატჩში კი 90 წუთი ითამაშა.

„მეორე ტაიმში დაღლა ვიგრძენი, უთამაშებლობამ თავისი გაიტანა, მაგრამ მთლიანობაში კმაყოფილი ვარ" — თქვა კონსეისაომ, ვისაც იმედი მისცემია, ეგებ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ბრაზილიის ნაკრებშიც დამიძახონო.

„რეალ სოსიედადისთვის" ბასკური დერბების კვირეული გრძელდება. წინა უქმეებზე „ბილბაოსთან" დამარცხებული სანსებასტიანელები ახლა „ალავესს" მასპინძლობენ. ჩვენთვის ჯერაც გიორგი დემეტრაძისად წოდებულ გუნდში სიახლეა, 4,8 მილიონ დოლარად იქ თურქი ნიჰათი გადადის. გავიხსენოთ, რომ ამ ტრანსფერზე ადრეც იყო ლაპარაკი, მაგრამ ფეხბურთელს მუხლი გაუხდა საოპერაციო და ბასკებმა მოცდა არჩიეს. ახლა, ოპერაციის შემდეგ, „ბეშიქთაშმა" დაადასტურა, რომ ნიჰათს უშვებს.

ზედიზედ ორმა მარცხმა „დეპორტივო" გვარიანად დააქვეითა და ახლა შინაც თუ ვერ მოიგო, გაავებული ფანების ლუკმა გახდება. საერთოდ, მშობლიურ „რიასორზე" „სუპერდეპორს" თამაში არ უჭირს, მით უმეტეს, მეტოქე „ლას პალმასს" ხუთი გაფრთხილების გამო ინგლისელი ნახევარმცველი ვინსენტ სემვისი დისკვალიფიცირებული ჰყავს.

ბარსელონაში „ესპანიოლი" მასპინძლობს „რეალ ბეტისს". გავიხსენოთ: ბოლო საშინაო მატჩში „ესპანიოლმა" „ბარსელონა" დაამარცხა, სევილიელებმა კი წინა სამი თამაშიდან ერთიც ვერ მოიგეს. მათ დისკვალიფიკაციის გამო ნახევარმცველი კაპი და ფორვარდი ხესარი დააკლდებათ.

მიუხედავად იმისა, რომ სტუმრად თამაშობენ, ბილბაოელები მაინც ფავორიტებად ითვლებიან, რაკი ამ სეზონში საუცხოო შედეგები აქვთ გასვლაზე. მათმა მასპინძელმა „მალიორკამ" კი წინა ტურში „ლას პალმასთან" შერცხვენის მერე გასავარდნთა ზონაში დაიდო ბინა.

უცნაურად თამაშობს „სელტა". მესამე ადგილზე კი არის, მაგრამ ბოლო ორ მატჩში მაჩანჩალებს შეხვდა და ფრეებს დასჯერდა. ვიგოელთა ხვალინდელი მეტოქეც მაჩანჩალაა — მეჩვიდმეტე ადგილოსანი „ტენერიფე".

„ვალიადოლიდმა" წინა ორი თამაში მოიგო, მათ შორის „დეპორტივოს" 3:0-ით გაუმასპინძლდა, მაგრამ ახლა „მესტალიაზე" კბილებალესილი „ვალენსია" ელის, რომელსაც წინა ტურში მსაჯის უხეშმა შეცდომამ წააგებინა „რეალთან" და თუ რაფაელ ბენიტესის გუნდი ხვალ ისეთივე აგრესიულობით ითამაშებს, „ვალიადოლიდს" უმძიმესი გამოცდა ელის.



„რეალმა" ფლავიო კონსეისაო გაიხსენა, კონსეისაომ კი ბრაზილია

ინგლისურ პრემიერლიგაში ბევრი ჩინებული თავდამსხმელი თამაშობს, მაგრამ რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, შემტევთა ყველაზე შედეგიანი წყვილი მოკრძალებულ „საუთჰემპტონს" ჰყავს. ჯეიმს ბიტიმ და მარიან პახარსმა უკვე 10-10 გოლის გატანა მოასწრეს და ბომბარდირთა შორისაც არიან. ლატვიელი პახარსი ქართველი გულშემატკივრისთვის უცნობი ნამდვილად არ არის, თავის დროზე „შინდისფერებიც" გაუწვალებია და რახან ყოფილი საბჭოელია, ჩვენი ფეხბურთელების დღევანდელი თაობის ბედსაც იზიარებს. ვფიქრობთ, დაგაინტერესებთ მისი საუბარი გაზეთ „იზვესტიასთან", რომელსაც შემოკლებით გთავაზობთ.

# ნამდვილი ლატვიელის ამბავი



მარიან პახარსი

**— წლევანდელი სეზონი ყველაზე წარმატებულია შენთვის?**

— შესაძლოა, ასეც იყოს. თუმცა, მართალი გითხრათ, ამაზე საგანგებოდ არც მიფიქრია. დრო არ მაქვს. თვეში ხომ შვიდი მატჩის ჩატარება გვიწევს. ამ საზეიმო თვეშიც კი, როცა ყველა ნაცნობ-მეგობარი საჩუქრებზე და სუფრებზე ფიქრობს. სამი წელიწადია ინგლისში ვარ და დეკემბერ-იანვრის ასეთ გრაფიკს ჯერაც ვერ შევეგუე.

**— პრემიერლიგის ფეხბურთელები ახალ წელს ფორთოხლის წვენით ხვდებით?**

— სხვა რა გზა გვაქვს. პირველ იანვარს ხომ უკვე მატჩები გვაქვს. წლეულს საახალწლო ღამეს ადრე დავიძინე, რეჟიმი რომ არ დამერღვია. ოღონდ არ იფიქროთ რომ ვწუწუნებ. ასეთი რამ არ მჩვევია. თანაც უცხო საყდარში საკუთარი წესებით ვერ იცხოვრებ. ინგლისის ჩემპიონატში ზამთარი, ფაქტობრივად, ყველაზე საპასუხისმგებლო მონაკვეთია, ვინც მას ვერ გაუძლებს, გაზაფხულზე ველარაფერს გააწყობს.

**— შენმა „საუთჰემპტონმა" ბოლო დროს საქმეები თითქოს გამოაკეთა...**

— ასეა. ცუდი დასაწყისის მერე ცოტა წელში გავსწორდით, თუმცა „საუთჰემპტონი" ერთობ შეზღუდული შესაძლებლობების კლუბია და რაღაც სერიოზულ გეგმებზე ლაპარაკი უადგილოა. მთავარია არ გავვარდეთ. ახლა საქმეს ისიც ართულებს, რომ აუტსაიდერთა ჯგუფი ვერაფრით გამოიკვეთა და გავარდნა ბოლო ათეულის ყველა გუნდს ემუქრება. არადა, ცხრილის ამ ნაწილში ძალიან სოლიდური გუნდები მოგროვდა. მარტო თავდამსხმელების ჩამოთვლა რად ღირს: რავანელი „დერბიდან", კოული „ბლექბერნიდან", ბოკშიჩი „მიდლსბროდან", რაძინსკი „ევერტონიდან", ფილიპსი „სანდერლენდიდან" – ესენი ნებისმიერი ქვეყნის საუკეთესო კლუბებს დაამშვენებდნენ.

**— „საუთჰემპტონში" ასეთი ვარსკვლავი შენ ხარ?**

— მართალი გითხრათ, ვარსკვლავობის არანაირი შეგრძნება არ მაქვს. ის გოლები მე და ბიტის რომ გაგვაქვს, გუნდის სტრატეგიიდან გამომდინარეა, 8-9 ფეხბურთელი დაცვაში დგა , ჩვენ კი წინ რაღაც უნდა მოვახერხოთ.

**— წლეულს „მანჩესტერს" ვინმე შეაჩერებს?**

— მგონი არა. ახლა მათ საკუთარი ძალის ირწმუნეს, კონკურენტები კი დაფრთხნენ. არ მოგატყუებთ, ეს კითხვა შვიდი ტურის წინ რომ დაგესვათ, სხვაგვარად გიპასუხებდით. მაშინ ათრთლაც ყველას ეჩვენებოდა, რომ „მანჩესტერის" დრო წავიდა.

**— ლიდერთაგან ვინ უფრო მოგწონს?**

— „ლიდსი". მართალია ეს გუნდი იმდენად ჟინიანია, რომ მაინტერესებს ხოლმე გასახდელში რომელ აბებს ყლაპავენ. გულშემატკივრებიც გუნდივით გადარეულები ჰყავთ, მაგრამ მაინც ძალიან დიდ პატივს ვცემ. ინგლისში 110 პროცენტით უნდა გაიხარჯო, ამ ბიჭებისგან კი ლამის დენმა დაგარტყას.

**— საუთჰემპტონში ლატვიელ ოუენს გეძახიან...**

— ევროპის საუკეთესო ფეხბურთელთან შედარება, ცხადია, ძალიან გადამეტებულია, თუმც სასიამოვნო კია.

**— ბოლო დროს „საუთჰემპტონმა" ახალი ფეხბურთელების შეძენაში გვარიანი თანხა დახარჯა. შემადგენლობის შერჩევისას ფულის ფაქტორი მოქმედებს?**

— თავიდან ცხადია, მოქმედებს. მწვრთნელი ვალდებულია ყველა ძვირადღირებულ ახალწვეულს თავის გამოჩენის საშუალება მისცეს. მერე კი... მერე სკამზე ნებისმიერი შეიძლება აღმოჩნდეს, თუნდაც 16 მილიონიანი სერგეი რებროვი, „ტოტენჰემის" ყველაზე ძვირი ფეხბურთელი.

**— შენი მშობლები უკრაინელები არიან, რუსულად ლაპარაკობ, პასპორტი ლატვიური გაქვს, ინგლისურ კლუბში თამაშობ. მაინც სადაური ხარ?**

— ლატვიელი. ჩერკასთან ახლოს დავიბადე, მაგრამ პატარაობიდანვე რიგაში ვცხოვრობდი, იქ გავხდი ფეხბურთელი და ლატვიის ნაკრებშიც ყოველთვის დიდი სიამოვნებით ვთამაშობ. თუმც ბოლო დროს უფრო მეტი იმედგაცრუება გამოვიარეთ. გასულ შესარჩევ ციკლში საშინლად ვითამაშეთ.

**— ინგლისელი გარი ჯონსონის ლატვიის ნაკრების მწვრთნელად მიწვევამ არ გაამართლა?**

— სასარგებლო გამოცდილება მივიღეთ. მასთან მუშაობაც საინტერესო იყო. აი, შედეგი კი... ჯონსონი ერთთავად შემტევ თამაშს გვიქადაგებდა, თუნდაც მეტოქე უფრო ძლიერი ყოფილიყო. ჩვენს ნაკრებს კი დაცვიდან თამაში სჩვევია. ბოლოს ჩვეულ სტილს დავუბრუნდით და საქმეც გამოსწორდა.


**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი**

**კარდიოექსპრესდიაგნოსტიკა**

გულის დაავადებების თანამედროვე სრულფასოვანი არაინვაზიური დიაგნოსტიკა

- კვალიფიციურ კარდიოლოგთა კონსულტაცია
- გულის ტრანსეზოფაგური და ტრანსთორაკალური ექოსკოპია, ფერადი დოპლერი, სტრესექოსკოპია
- ფიზიკური დატვირთვის ტესტი ტრედმილით
- ტრანსეზოფაგური ელექტროფიზიოლოგიური კვლევა და სტრეს-ტესტი
- გულის რიტმის 24-საათიანი მონიტორირება (ჰოლტერის მეთოდით)
- არტერიული წნევის 24-საათიანი მონიტორირება
- ელექტროკარდიოგრაფია
- ლაბორატორიული კვლევა
- ულტრათანამედროვე აპარატურა, მონაცემების კომპიუტერული დამუშავება

თბილისი, ვაჟა-ფშაველას 83/11 (III და IV კვარტალს შორის, №1 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრის შენობა)

☎ 53-73-00; 95-00-33

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 20 იანვარი | | | |
| 20.00 | 249 | სტრასბურგი-ტროა | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| | | ინგლისის თასი. (მალიში) | | | |
| | | 19 იანვარი | | | |
| 20.00 | 272 | [illegible] | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| | | 20 იანვარი | | | |
| 19.30 | 273 | [illegible] | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 21.30 | 274 | [illegible] | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 23.30 | 275 | [illegible] | 6,0 | 3,5 | 1,5 |
| | | 21 იანვარი | | | |
| 20.00 | 276 | [illegible] | 4,0 | 3,2 | 1,75 |
| 20.00 | 277 | [illegible] | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 22.00 | 278 | [illegible] | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 23.00 | 279 | [illegible] | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| | | კალათბურთი. | | | |
| | | 19 იანვარი | | | |
| 22.00 | 531 | ნიუჯერსი-ვაშინგტონი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 22.00 | 532 | სან ანტონიო-ლეიკერსი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 04.00 | 533 | ფილადელფია-ნიუ იორკი | 1,45 | 12,0 | 2,1 |
| 04.00 | 534 | ატლანტა-მილუოკი | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 04.30 | 535 | დეტროიტი-ბოსტონი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 04.30 | 536 | შარლოტი-ტორონტო | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 05.00 | 537 | ნიუ ჯერსი-ჰიუსტონი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 06.00 | 538 | მაიამი-ინდიანა | 1,9 | 12,0 | 1,55 |
| 06.00 | 539 | დალასი-იუტა | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 06.00 | 540 | მემფისი-ორლანდო | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 07.00 | 541 | პორტლენდი-კლიპერსი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 07.00 | 542 | სიეტლი-დენვერი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 07.30 | 543 | გოლდენ სტეიტი-მინესოტა | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| | | 21 იანვარი | | | |
| 22.00 | 544 | ნიუ იორკი-შარლოტი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 23.00 | 545 | ატლანტა-ჰიუსტონი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 23.00 | 546 | ფილადელფია-სიეტლი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 24.00 | 547 | დეტროიტი-მილუოკი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 24.00 | 548 | დალასი-ნიუ ჯერსი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 00.30 | 549 | ნიუჯერსი-ინდიანა | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 01.00 | 550 | გოლდენ სტეიტი-იუტა | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 03.00 | 551 | მინესოტა-ვაშინგტონი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 04.00 | 552 | კლივლენდი-მაიამი | 1,4 | 12,0 | 2,0 |
| 04.30 | 553 | ბოსტონი-ტორონტო | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 07.00 | 554 | საკრამენტო-მემფისი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 07.30 | 555 | კლიპერსი-დენვერი | 1,25 | 12,0 | 3,1 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | ჰოკეი. | | | |
| | | 19 იანვარი | | | |
| 22.00 | 602 | ნიუ ჯერსი-კაროლინა | 1,8 | 4,0 | 2,2 |
| 01.00 | 603 | ლოს ანჯელესი-[illegible] | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 04.00 | 604 | ტორონტო-ფილადელფია | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| 04.00 | 605 | ოტავა-მინესოტა | 1,45 | 4,0 | 3,2 |
| 04.00 | 606 | ვაშინგტონი-ვანკუვერი | 1,8 | 4,0 | 2,2 |
| 04.00 | 607 | ტამპა ბეი-მონრეალი | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| 04.30 | 608 | ფლორიდა-ატლანტა | 1,75 | 4,0 | 2,3 |
| 05.00 | 609 | სტ. ლუისი-ბოსტონი | 1,8 | 4,0 | 2,2 |
| 05.00 | 610 | ნეშვილი-კოლუმბუსი | 1,65 | 4,0 | 2,5 |
| 06.00 | 611 | კალგარი-ანაჰაიმი | 1,5 | 4,0 | 3,0 |
| 06.00 | 612 | ფინიქსი-ბუფალო | 1,65 | 4,0 | 2,5 |
| 07.00 | 613 | ედმონტონი-პიტსბურგი | 1,65 | 4,0 | 2,5 |
| 07.30 | 614 | სან ხოსე-კოლორადო | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| | | 20 იანვარი | | | |
| 04.00 | 615 | დეტროიტი-ოტავა | 1,5 | 4,0 | 3,0 |
| 05.00 | 616 | ნიუ-იორკი-დალასი | 1,7 | 4,0 | 2,4 |
| | | 21 იანვარი | | | |
| 22.00 | 617 | ბოსტონი-სტ. ლუისი | 1,8 | 4,0 | 2,2 |
| 24.00 | 618 | ფლორიდა-მონრეალი | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 04.00 | 619 | კაროლინა-ვანკუვერი | 1,75 | 4,0 | 2,3 |
| 04.00 | 620 | კოლუმბუსი-დალასი | 2,2 | 4,0 | 1,8 |
| 04.30 | 621 | პიტსბურგი-ფილადელფია | 2,2 | 4,0 | 1,8 |
| 04.30 | 622 | ტამპა ბეი-ნიუ ჯერსი | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 05.00 | 623 | ნეშვილი-ფინიქსი | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| 05.00 | 624 | სან ხოსე-ედმონტონი | 1,8 | 4,0 | 2,2 |
| 06.00 | 625 | კოლორადო-ბუფალო | 1,45 | 4,0 | 3,2 |
| 07.30 | 626 | ანაჰაიმი-ლოს ანჯელესი | 2,2 | 4,0 | 1,8 |

# თასის აღება

| 901 ჩემპიონთა თასი | | 902 უეფას თასი | |
|---|---|---|---|
| რეალი | 3,5 | მილანი | 3,5 |
| მანჩესტერი | 3,5 | ინტერი | 3,5 |
| იუვენტუსი | 4,0 | ლიდსი | 3,5 |
| რომა | 5,0 | ვალენსია | 4,0 |
| ლივერპული | 5,0 | პარმა | 6,0 |
| ბაიერნი | 5,0 | დორტმუნდი | 6,0 |
| ბარსელონა | 5,0 | რეინჯერსი | 15,0 |
| არსენალი | 7,0 | ლიონი | 15,0 |
| დეპორტივო | 7,0 | ლილი | 15,0 |
| ლევერკუზენი | 20,0 | პსვ | 20,0 |
| გალათასარაი | 30,0 | ფეიენოორდი | 20,0 |
| ბოავიშტა | 50,0 | აეკ | 40,0 |
| პანათინაიკოსი | 50,0 | როდა | 50,0 |
| პორტუ | 50,0 | ჰაპოელი | 50,0 |
| სპარტა | 50,0 | სერვეტი | 50,0 |
| ნანტი | 75,0 | ლიბერეცი | 50,0 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 19 იანვარი | | | | | | | | | |
| 19.00 | 701 | დერბი-იფსვიჩი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 19.00 | 702 | ლესტერი-ნიუკასლი | 5,0 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,7 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,8 |
| 19.00 | 703 | ლივერპული-საუთჰემპტ. | 1,8 | 15,0 | 30,0 | 3,3 | 5,3 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 19.00 | 704 | მანჩესტერი-ბლექბერნი | 1,6 | 15,0 | 30,0 | 3,0 | 5,6 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| 19.00 | 705 | მიდლსბრო-ბოლტონი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,7 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 19.00 | 706 | სანდერლენდი-ფულემი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 19.00 | 707 | ტოტენჰემი-ევერტონი | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 5,0 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 23.30 | 708 | ბრეშა-ტორინო | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 00.30 | 709 | მალაგა-რეალი | 5,3 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,7 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,8 |
| | | 20 იანვარი | | | | | | | | | |
| 18.00 | 710 | ჩელსი-ვესტ ჰემი | 2,1 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,0 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 20.00 | 711 | ლიდსი-არსენალი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,7 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 18.00 | 712 | ბოლონია-კიევო | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,7 |
| 18.00 | 713 | ინტერი-პარმა | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,0 | 5,0 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 18.00 | 714 | იუვენტუსი-ატალანტა | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,0 | 5,0 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 18.00 | 715 | ლაციო-პერუჯა | 1,8 | 15,0 | 30,0 | 3,2 | 5,0 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 18.00 | 716 | ლეჩე-პიაჩენცა | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 18.00 | 717 | უდინეზე-რომა | 5,3 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,7 | 4,0 | 20,0 | 10,0 | 3,0 |
| 18.00 | 718 | ვერონა-ვენეცია | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,2 | 5,0 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 23.30 | 719 | ფიორენტინა-მილანი | 4,7 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,7 | 4,2 | 20,0 | 10,0 | 3,2 |
| 20.00 | 720 | ესპანიოლი-ბეტისი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 20.00 | 721 | ვალენსია-ვალიადოლ. | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,0 | 5,0 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 20.00 | 722 | მალიორკა-ბილბაო | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,7 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 20.00 | 723 | სოსიედადი-ალავესი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,7 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 20.00 | 724 | ოსასუნა-ვილიარეალი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,7 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 20.00 | 725 | რაიო-ბარსელონა | 5,6 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 5,0 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,6 |
| 20.00 | 726 | სევილია-სარაგოსა | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 21.00 | 727 | ტენერიფე-სელტა | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,4 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 23.00 | 728 | დეპორტივო-ლ.პალმასი | 1,8 | 12,0 | 25,0 | 3,0 | 5,0 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |

**ტურში გატანილი გოლები**

**19.01 19.00 781 ინგლისი (23-ე) ------------- 25 და ნაკლები -1,9; ------- 27 და მეტი -1,9**
**19.01 23.30 782 იტალია (მე-20) ------------- 23 და ნაკლები -1,9; ------- 25 და მეტი -1,9**
**19.01 20.00 783 ესპანეთი (21-ე) ------------- 25 და ნაკლები -1,9; ------- 27 და მეტი -1,9**


# გაიხსნა «კროკოს» ახალი ბიურო
## ხელვაჩაური ალმაშენებლის ქუჩა №50


**921 მსოფლიო ჩემპიონატი**

| | | | |
|---|---|---|---|
| არგენტინა | 4,0 | ირლანდია | 50,0 |
| ბრაზილია | 4,0 | დანია | 50,0 |
| იტალია | 5,0 | ხორვატია | 50,0 |
| ინგლისი | 5,0 | ბელგია | 50,0 |
| საფრანგეთი | 6,0 | სამხრეთ აფრიკა | 50,0 |
| გერმანია | 8,0 | მექსიკა | 50,0 |
| ესპანეთი | 10,0 | იაპონია | 75,0 |
| პორტუგალია | 15,0 | თურქეთი | 75,0 |
| ნიგერია | 25,0 | ეკვადორი | 75,0 |
| პარაგვაი | 40,0 | სლოვენია | 100,0 |
| შვედეთი | 40,0 | კორეა | 100,0 |
| კამერუნი | 40,0 | აშშ | 100,0 |
| რუსეთი | 50,0 | ჩინეთი | 100,0 |
| პოლონეთი | 50,0 | სენეგალი | 150,0 |
| ურუგვაი | 50,0 | ტუნისი | 150,0 |
| | | კოსტა რიკა | 150,0 |
| | | საუდის არაბეთი | 250,0 |

**922. I ადგილი ჯგუფში**

| A ჯგუფი | |
|---|---|
| საფრანგეთი | 1,2 |
| ურუგვაი | 5,0 |
| დანია | 5,0 |
| სენეგალი | 20,0 |
| **923. B ჯგუფი** | |
| ესპანეთი | 1,4 |
| პარაგვაი | 4,0 |
| სამხრეთ აფრიკა | 8,0 |
| სლოვენია | 8,0 |
| **924. C ჯგუფი** | |
| ბრაზილია | 1,15 |
| თურქეთი | 5,5 |
| კოსტა რიკა | 10,0 |
| ჩინეთი | 15,0 |
| **925. D ჯგუფი** | |
| პორტუგალია | 1,5 |
| პოლონეთი | 3,2 |
| კორეა | 6,0 |
| აშშ | 10,0 |

| 926. E ჯგუფი | |
|---|---|
| გერმანია | 1,55 |
| კამერუნი | 3,8 |
| ირლანდია | 4,0 |
| საუდის არაბეთი | 20,0 |
| **927. F ჯგუფი** | |
| არგენტინა | 1,6 |
| ინგლისი | 2,4 |
| ნიგერია | 6,0 |
| შვედეთი | 8,0 |
| **928. G ჯგუფი** | |
| იტალია | 1,4 |
| ხორვატია | 5,0 |
| მექსიკა | 6,0 |
| ეკვადორი | 7,0 |
| **929. H ჯგუფი** | |
| რუსეთი | 2,5 |
| ბელგია | 2,5 |
| იაპონია | 3,0 |
| ტუნისი | 7,0 |

ჩემპიონისა და ჯგუფში გამარჯვებულის განაკვეთები არ შეიძლება

# ჩემპიონობა

| 903 გერმანია | | 904 ინგლისი | | 905 საფრანგეთი | | 906 იტალია | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 1,6 | მანჩესტერი | 1,7 | ლანსი | 1,75 | ინტერი | 2,5 |
| ლევერკუზენი | 2,8 | ლივერპული | 3,0 | ლიონი | 2,5 | რომა | 2,5 |
| დორტმუნდი | 2,8 | ლიდსი | 3,0 | პსჟ | 3,0 | იუვენტუსი | 3,0 |
| კაიზერსლაუტერნი | 7,0 | არსენალი | 3,0 | ლილი | 5,0 | მილანი | 4,0 |
| ვერდერი | 10,0 | ნიუკასლი | 5,0 | ოსერი | 5,0 | ლაციო | 5,0 |
| ჰერტა | 20,0 | ჩელსი | 10,0 | ბორდო | 7,0 | კიევო | 12,0 |
| შალკე | 30,0 | | | მარსელი | 50,0 | | |

| 907 ესპანეთი | | 908 პორტუგალია | | 909 ჰოლანდია | | 910 ბელგია | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 1,4 | სპორტინგი | 2,2 | აიაქსი | 2,0 | ბრიუგე | 1,4 |
| ბარსელონა | 3,0 | პორტუ | 2,8 | ფეიენოორდი | 2,0 | ანდერლეხტი | 2,5 |
| დეპორტივო | 3,0 | ბენფიკა | 3,0 | პსვ | 2,5 | სტანდარდი | 4,0 |
| ვალენსია | 6,0 | ბოავიშტა | 3,0 | ჰერენვენი | 30,0 | გენტი | 6,0 |
| სელტა | 10,0 | ბელენენსეში | 50,0 | ბრედა | 30,0 | გენკი | 6,0 |
| ალავესი | 10,0 | ლეირია | 50,0 | ვიტესი | 50,0 | | |
| ბილბაო | 10,0 | | | უტრეხტი | 50,0 | | |
| ბეტისი | 20,0 | | | | | | |

| 911 საბერძნეთი | | 912 ჩეხეთი | | 913 პოლონეთი | | 914 თურქეთი | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 1,6 | სპარტა | 1,1 | ვისლა | 1,75 | გალათასარაი | 1,4 |
| პანათინაიკოსი | 2,2 | ქოუკოვი | 6,0 | ლეგია | 2,0 | ფენერბაჩე | 2,5 |
| აეკ | 2,2 | ბოჰემიანსი | 6,0 | პოლონია | 4,0 | ბეშიქთაში | 3,0 |
| პაოკ | 7,0 | სლავია | 8,0 | პოგონი | 4,0 | | |
| ირაკლისი | 25,0 | ლიბერეცი | 8,0 | ამიკა | 4,0 | | |
| არისი | 25,0 | | | ოდრა | 6,0 | | |
| | | | | რუხი | 10,0 | | |
| | | | | კატოვიცე | 20,0 | | |

| 915 შოტლანდია | | 916 ავსტრია | | 917 შვეიცარია | | 918 დანია | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 1,01 | ტიროლი | 1,02 | გრასჰოპერი | 2,0 | ბრონდბიუ | 1,05 |
| რეინჯერსი | 7,0 | შტურმი | 5,0 | სტ. გალენი | 3,0 | კოპენჰაგენი | 4,0 |
| | | გრაცერი | 10,0 | ბაზელი | 3,0 | აგდემიკე | 4,0 |
| | | | | სერვეტი | 4,0 | ოლბორგი | 10,0 |
| | | | | ლუგანო | 5,0 | | |
| | | | | იანგ ბოისი | 8,0 | | |
| | | | | სიონი | 8,0 | | |
| | | | | ციურიხი | 10,0 | | |

# ქართველები ხვალიდან: ყველაფერი ან არაფერი

**ხვალ** ამსტერდამში საქართველოს ხელბურთელთა ნაკრები მსოფლიოს ჩემ…ნატის შესარჩევი ეტაპის საპასუხო მატჩს გამართავს ჰოლანდიელებთან.

შეგახსენებთ, ეს გუნდები გუშინწინ თბილისის სპორტის სასახლეში შეხვდნენ ერთმანეთს. მთელი თამაშის მა… ლზე საგრძნობი უპირატესობის მიუხედავად, მასპინძლები მხოლოდ ორბურთიანი სხვაობით გამარჯვებას დასჯერდნენ. თუმც საქმისთვის ხომ მთავარი ისაა, რომ ზაზა დოლიძის ბიჭებმა სატურნირო ცხრილში პირველი მოგება ჩაიწერეს და ჯგუფში პირველობის შანსიც შეინარჩუნეს. სამი ტურის შემდეგ ხუთი ქულით ავსტრიელები ლიდერობენ, ქართველ და ფინელ ხელბურთელებს სამ-სამი დაუგროვდათ, ხოლო ჰოლანდია ერთადერთი ქულით ბოლო, მეოთხე ადგილზეა.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ჩვენს ჯგუფში პირველობის მოსაპოვებლად იქნებ ცხრა ქულაც საკმარისი აღმოჩნდეს. ბევრია დამოკიდებული ფინეთ — ავსტრიის მატჩზე, რომელიც ასევე ხვალ ჰელსინკიში შედგება. ისეც შეიძლება მოხდეს, რომ ამ ზღვარმა ერთი ქულით დაიწიოს კიდეც, თუმც ჩვენ მაინც ჩვენსას უნდა ვეცადოთ და სამივე თამაშის მოსაგებად ვიბრძოლოთ. მით უმეტეს, რომ გუნდი გუშინწინდე… წარმატების შემდეგ ჰოლანდიაში ოპტიმისტური განწყობით გაემგზავრა.

ისე, ქართველ ხელბურთელთა თამაშში წუნიც საკმაოდ შეინიშნებოდა. სწორედ ხარვეზებზე გაამახვილა ყურადღება ჩვენთან საუბრისას 80-იანი წლების ერთ-ერთმა საუკეთესო ფორვარდმა ამბერკი ტაბიძემ: „უპირველესად უნდა აღინიშნოს ჩვენი ბიჭების სუსტი თამაში დაცვაში, განსაკუთრებით პირველ ტაიმში. მცველთა შეუთანხმებელი მოქმედება და შეცდომები არ იძლეოდა სწრაფი, შედეგიანი კონტრიერიშების განხორციელების საშუალებას. შესვენების შემდეგ, როცა დაცვა შედარებით მოწესრიგდა, შედეგიანობამაც მკვეთრად იმატა. გუნდის შეტევებს ერთფეროვანს ხ… ის, რომ ფლანგების გამოკვეთი… ოთამაშეები არ გვყავს. ჰოლანდიელებმა კი სწორედ კუთხეებიდან გაგვიტანეს ხუთი ბურთი. ნაკრებს სადღეისოდ მაღალი დონის გამთამაშებელი აკლია, რომელიც კრიტიკულ სიტუაციაში შეძლებს ბურთის დაჭერას და თამაშის სწორად წარმართვას. ერთი სიტყვით, მოედანზე აუცილებელია ისეთი კაცი, როგორიც ორიოდე წლის წინ გუნდის კაპიტანი ვახტანგ მეიფარიანი იყო. ყოველივე ამის გამო ჰოლანდიე…თან საპასუხო მატჩში ძალიან გაგვი…რდება, მაგრამ მაინც მოგების იმედი მაქვს".

ხვალინდელ შეხვედრას შვეიცარიელი მსაჯები — დობლერი და მეიერი მოემსახურებიან. ხელბურთის საერთაშ…ისო ფედერაციის დელეგატია დანიელი პედერსენი. ორშაბათს საქართველოს ნაკრები ავსტრიაში გაემგზავრება, სადაც 24-ში ქალაქ ტრაუნში მასპინძლებს დაუპირისპირდება, შესარჩევ ციკლს კი 27 იანვარს თბილისში, ავსტრიელებთან საპასუხო მატჩი დაასრულებს.

**გია ახალაძე**



ჰოლანდიელებთან თბილისურ მატჩში ქართველთაგან საუკეთესოს, მეკარე შოთა თევზაძეს ამსტერდამში დიდი ჯაფა დაადგება





REUTERS სტამფოტოს ფოტო

ეფესი — შლიონსკი. კასპარას კამბალა (მარცხნივ) შლიონსკელ მაციე ზიელინსკის გასაქანს არ აძლევს

# ოო, რა ცუდია

## ქართველი ქართველს არ ეომება

**პირველი** ჯგუფური ეტაპის დამთავრებამდე ბევრი არაფერი დარჩა. სამი ტურიც და ევროლიგის ოთხ ჯგუფში მოქიშპე 32 გუნდი განახევრდება. ოთხეულისკენ მლტოლველთა ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შედის. არიან ისეთებიც, თავი შემდეგ ეტაპზე რომ დაიგულეს, მაგრამ მათ გული არ დაუარხეინებიათ, პოზიციებს იმაგრებენ.

„პანათინაიკოსი", „მაკაბი", „ბენეტონი", „კინდერი" — ქვეყანა რომ დაიქცეს, ამ გუნდებს ჯგუფიდან გასვლაში ვერავინ შეუშლის ხელს. ქვედა ეშელონებში კი თავპირისმტვრევაა, რისი თვალსაჩინო მაგალითიც D ჯგუფია, მაგრამ სანამ ამ ჯოჯოხეთში გავისეირნებთ, ერთ საინტერესო დაპირისპირებაზე ვთქვათ, მით უმეტეს, მოშუღართა ბანაკებში თითო ქართველია.

B ჯგუფში „ბარსელონასა" და „სკაილაინერზს" ერთი გამარჯვებაც ჰყოფნით საქმის მოსათავებლად. ეს თუ ასე მოხდა, „ულქერი" ან „ოლიმპია" ევროლიგას უნდა დაემშვიდობონ. ისინი მეოთხე-მეხუთე ადგილებს იყოფენ და ყველაფერს დარჩენილი მატჩები გაარკვევს.

ბოლო ტურში ეს გუნდები ლიუბლიანაში შეხვდნენ. ვერც ამჯერად შედგა ქართული ჯახი. პირველ წრეში ოლიმპიელი ვლადიმერ ბოისა არ თამაშობდა, ამჯერად კი მოედანზე არც ერთი ქართველი არ გამოჩენილა. ბოისას მხრის მძიმე ტრავმა აქვს, რომელიც ადრიატიკის ლიგის მატჩში, ტუზლის „ბოსნასთან" მიიღო და ვარჯიშს ჯერაც არ შესდგომია. ფაჩულია კი იყო თურქულ კლუბის სათადარიგოებში, მაგრამ მწვრთნელ მურათ დიდინის ამბავი ხომ მოგეხსენებათ — ზაზას მხოლოდ სტამბოლში ენდობა.

ლიუბლიანელები ამ თამაშამდე სტამბოლელებს მოგებით სჯობდნენ და თუ გაიმარჯვებდნენ, ცალი ფეხით შემდეგ ეტაპზე იყვნენ. მთავარი ძალა ორივე მწვრთნელმა შემოინახა — ჰარუნ ერდენაი თურქთაგან, ირჟი ველში კი სლოვენიელთაგან პირველ მეოთხედში მოედანზე არ გამოჩენილან. მასპინძლები მყისვე ეკვეთნენ მომხდურებს და 6:0 დაწინაურდნენ.

ოკეანისგაღმელებმა — კვადრე ლოლისმა და ბად ელიმ დროზე აუღეს ალღო ოლიმპიელთა თამაშს და სამ წუთში ახლა „ულქერი" გალიდერდა — 7:6. მეოთხედი კი ფრედ დასრულდა — 14:14.

ვერც მეორე ათწუთეულმა გაარკვია ლიდერი, რის შემდეგაც სტუმრებმა აიწყვიტეს. მათ ამ მატჩის მნიშვნელობა კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული, რაც დამატებითი სტიმული აღმოჩნდა მუდამ გამორჩეული ლოლისისთვის. მან მეტოქის ფარი დაიპყრო, რითაც ისედაც ტყვიის ტყვიაში ჩამჯენ თანაგუნდელებს განმეორებით სროლის შანს ჩუქნიდა. ჰალუკ ილდირიმმა და ერდენაიმ რამდენიმე წუთით სამქულიანების ალღუმი მოაწყვეს, მეტოქეს 59:43 მოსწყდნენ, რითაც 3 000 ფერწასულ სლოვენიელში ჩაკარგული 150 თურქი ქომაგი უზომოდ გაახარეს.

თითქოს ყველაფერი გარკვეული იყო, ბოლო მეოთხედი „ულქერის" 16-ქულიანი უპირატესობით დაიწყო. მოულოდნელად მასპინძლები აბობოქრდნენ, ვა-ბანკზე წავიდნენ და სროლის იოტისოდენა შანსსაც არ უშვებდნენ ხელიდან. მათ ხშირად უმართლებდათ — დროის მონაკვეთი 21:7 მოიგეს, მოგების იმედიც გაუჩნდათ, მაგრამ ბოლო წუთზე ბენო უდრიჰის გამთანაბრებელმა ტყორცნამ „ულქერის" კალათში" ადგილი ვერ იპოვა.

ახლა კი იმ ჯგუფზე, სადაც 6 გუნდს თითქმის თანაბარი შანსები აქვს, როგორც მასში ჩარჩენის, ისე გასვლის.

„ტაუ", აეკი და „სკავოლინი" D ჯგუფში პირველ-მესამე ადგილებს იყოფენ. შემდეგ კი მეოთხე-მეექვსე საფეხურების მოზიარენი — „ურალ-გრეიტი", „ვილერბანი" და „პარტიზანი" მოდიან.

ღმერთმა უწყის, მათ შორის წაღილს ვინ აიხდენს, მაგრამ თუ ბოლო ტურით ვიმსჯელებთ, იტალიურ „სკავოლინის" სხვებზე უკეთესი შანსები აქვს. პესაროელები შინ დაუმარცხებელ აეკ-ს სტუმრობდნენ. განსაკუთრებით დრამატული მატჩის ბოლო წუთები გამოდგა. ბერძნები -5 ქულას აგებდნენ, ორწუთიანი მონაკვეთი 9:0 მოიგეს და 68:64 დაწინაურდნენ. დამთავრებამდე 80 წამი რჩებოდა, როცა მელვინ ბუკერს თავში გენიალური აზრი მოუვიდა, მატჩის გმირობა მოისურვა. მან ჯერ საჯარიმო ჩააგდო, მას გამთანაბრებელი სამქულიანი მიაყოლა, შემდეგ კი სირენასთან ერთად გამარჯვებისა ისროლა.

**ირაკლი ბერტაია**

# ევროლიგა

### პირველი ჯგუფური ეტაპი. XI ტური. 16-17 იანვარი

## A ჯგუფი

**ოლიმპიაკოსი 81:80 უნიკახა**

**ოლიმპიაკოსი:** ბუდურისი, პაპალუკასი (5), პაპანიკოლაუ (8), ამანატიდისი (4), რიზაშე (10), ფორდი (20), ტომიჩი (2), ნიკაგბატსე, ფემერლინგი (8), ჯ. ფორესტი (17), დე მიგელი (7)

**უნიკახა:** ბ. როდრიგესი (9), მრშიჩი (23), ფილიპი (2), აბრამსი (17), ვასკესი (3), კაბესასი (2), კორნგაი (3), ვეისი (11), სონკო (10)

**ეფესი 63:51 შლიონსკი**

**ეფესი:** არსლანი (2), ბრაუნი (17), ონანი (2), შტომბერგასი (5), თუჩერი (4), ილმაზი, ოქური (4), პეკერი (6), კამბალა (23)

**შლიონსკი:** ბიგუსი (4), რაიტი (14), ჰოკინსი (12), ზიელინსკი (10), ვიეკიერა (2), ადომაიტისი (9), ადამეკი, კოჟნეცი, სკიბინევსკი

**ბენეტონი 100:71 ალბა**

**ბენეტონი:** ნიკოლა (6), იდენი (16), სტოიჩი (19), პიტისი (8), მარკონატო (9), ბულერი (12), ჩიკალკინი (4), ტომიდი (2), ნახბარი (18), ბაზეი (1), გარბახოსა (5)

**ალბა:** ი. ლუტკე (9), შულცე (1), პეშიჩი (9), პელფსი (5), ოზთურქი, კოტუროვიჩი (17), გარისი (7), ალექსისი (14), პაპიჩი (6), დემირელი (3)

**მაკაბი 94:78 შარლერუა**

**მაკაბი:** ჰენფელდი (4), ბრისკერი (14), შარფი (3), ჰაფმანი (18), პარკერი (24), შულეფი (4), ბურშტეინი (9), სადარი (2), მაკდონალდი (14), ბეშოქი (2)

**შარლერუა:** ელისი (20), ჯეროში (18), ტისონი (2), დეფო (3), ჰოუგინსი (6), ქნეილანტი (2), სტასი (20), ბოტერი (7), ეუიჩი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მაკაბი | 11 | 9 | 2 | 854:775 | 20 |
| ბენეტონი | 11 | 9 | 2 | 950:890 | 20 |
| ოლიმპიაკოსი | 11 | 8 | 3 | 952:862 | 19 |
| ეფესი | 11 | 6 | 5 | 836:825 | 17 |
| უნიკახა | 11 | 5 | 6 | 839:847 | 16 |
| ალბა | 11 | 3 | 8 | 836:898 | 14 |
| შლიონსკი | 11 | 2 | 9 | 773:837 | 13 |
| შარლერუა | 11 | 2 | 9 | 828:936 | 13 |

## C ჯგუფი

**კრკა 107:93 ცსკა**

**კრკა:** გნიდიჩი (24), სკულინი (20), ლაკოვიჩი (25), დევისონი (14), გრუმი (3), დრობნიაკი (3), ჩაპინი, სამანიჩი (7), ბრუვერი (11)

**ცსკა:** მაკენტსი (30), ალექსეევი (4), თურქჯანი (17), პადიუსი (8), გირინჩუკი (11), პაშუტინი (13), პოლაკი (2), პეტრენკო (8)

**ბუდუჩნოსტი 72:84 პანათინაიკოსი**

**ბუდუჩნოსტი:** ბაკიჩი, ოკუნსკი (2), რადონიჩი, რაკოჩევიჩი (24), სკეულიჩი (4), დრაგან ვუჭევიჩი (3), რადუნოვიჩი, კუზმანოვიჩი (4), ჩენარიჩი (8), ჩაბარკაპა (15), ჩაკიჩი (12)

**პანათინაიკოსი:** ალვერტისი (14), სანჩესი (5), სიუტისი (2), როჯერსი, ბოდიროგა (29), დ. მიდლტონი (5), ქუთლუაი (4), ალბანო (6), პაპადოპულოსი (7), გიანულისი (12)

**ზადარი 76:82 სკიპერი**

**ზადარი:** კნეჟევიჩი, სკალაბრინი, პოპოვიჩი (10), პერიშიჩი (10), მარცელიჩი (20), რუდიჩი (7), ოდუკი (8), გრგატი (21)

**სკიპერი:** გოლდვაირი (8), ბაზილე (7), ფუჩკა (22), ვეტიმოვი, სავიჩი (26), მენეგინი (3), კოვაჩიჩი (6), პილუტი (10)

**პო ორტეზი 78:74 რეალი**

**პო ორტეზი:** ფოტუ (3), ლუკოვსკი (12), მ. პიეტრუსი (1), ესტელერი (17), გადუ, ფ. პიეტრუსი (20), ლუისი (3), დიავი (4), მილინგი (3), სელერსი (15)

**რეალი:** ა. ანგულო (2), სტრიულესი (6), ჯორჯევიჩი (11), ლ. ანგულო (6), დუშან ვუჭევიჩი (5), ტაბაკი (14), ერეროსი (18), ტარლაჩი (5), იტურბე (2), ხაუმინი (5)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 11 | 10 | 1 | 916:812 | 21 |
| რეალი | 11 | 8 | 3 | 964:867 | 19 |
| ცსკა | 11 | 6 | 5 | 964:938 | 17 |
| პო ორტეზი | 11 | 6 | 5 | 898:870 | 17 |
| კრკა | 11 | 5 | 6 | 968:976 | 16 |
| სკიპერი | 11 | 5 | 6 | 940:924 | 16 |
| ზადარი | 11 | 2 | 9 | 886:1016 | 13 |
| ბუდუჩნოსტი | 11 | 2 | 9 | 847:980 | 13 |

## B ჯგუფი

**კინდერი 87:72 პერისტერი**

**კინდერი:** ჯინობილი (19), აბიო (17), ფროზინი (8), დ. ანდერსენი, რიგოდო (6), სმოდიში (12), ბარლერა (3), იარიჩი (22)

**პერისტერი:** დინკინსი (5), პაპამაკარიოსი (13), პელეკანოსი (10), პანდაზოპულოსი (5), ვოიჩიკი (20), ცარცარისი (13), მ. ანდერსენი (6), მიტროპულოსი

**ბარსელონა 101:63 ლონდონ თაუერზი**

**ბარსელონა:** ი. როდრიგესი (12), ალსამორა (8), დე ლა ფუენტე (5), ეკონომუ (12), ოკულაია (9), დიგბე (6), ნავარო (6), დუენიასი (12), იასიკევიჩუსი (16), რუნციასი (4), კარნიშოვასი (11)

**ლონდონ თაუერზი:** ბეიკერი, ეფპაიმერი (11), ჩუნგი, ტომიჩი, იონგბლადი (2), მაიერსი (33), პიკი (4), ალენი (8), კენტი (5), რობინსი

**ოლიმპია 78:80 ულქერი**

**ოლიმპია:** ველში (12), გოლემაცი (9), ილიევსკი (17), უდრიჰი (17), ზდოვცი (2), აბვოჯობი (6), რადოევიჩი, მუეძინოვიჩი (15), პუკიჩი

**ულქერი:** ლოლისი (15), ფარსი (3), აბი, შტელმახერსი (16), გოლიოვიჩი (4), ერდენაი (9), ელი (7), აჩიკი (6), გონლუმი (10), ილდირიმი (10), გიულერი

**სკაილაინერზი 84:75 ჭალგირისი**

**სკაილაინერზი:** სტანესკუ (8), დიარა, ნიურბერგერი, გორვე (12), როლერი (6), ოსტინი (31), მარასი (14), ნ. ლუტკე ლოხმანჩუკი (13)

**ჟალგირისი:** გინევიჩუსი (6), ხიქნიაკი (14), ვუდბერი (4), მატულისი (2), სალენგა (12), ჰამილტონი, ტ. მასიულისი (14), სლანინა (23), ა. მასიულისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კინდერი | 11 | 9 | 2 | 909:765 | 20 |
| ბარსელონა | 11 | 8 | 3 | 960:834 | 19 |
| სკაილაინერზი | 11 | 8 | 3 | 843:834 | 19 |
| ულქერი | 11 | 7 | 4 | 869:811 | 18 |
| ოლიმპია | 11 | 7 | 4 | 841:752 | 18 |
| ჟალგირისი | 11 | 3 | 8 | 822:871 | 14 |
| პერისტერი | 11 | 2 | 9 | 830:920 | 13 |
| ლონდონი | 11 | 0 | 11 | 706:993 | 11 |

## D ჯგუფი

**ციბონა 102:97 ურალ გრეიტი**

**ციბონა:** კუსი (2), სესარი (25), კრასიჩი (10), პრკაჩინი (27), ბოუმენი (5), მანჩე, მამიჩი (20), ფრიმენი (2), ჯიდიჩი (8), კრუნიჩი (3)

**ურალ გრეიტი:** ბაშმინოვი, პანოვი (24), კარასიოვი (21), ვაიშვილა, მიხაილოვი (13), პეგუშინი (3), ავლეევი (14), დაინეკო (12), ბოუი (10)

**ვილერბანი 89:76 ოსტენდე**

**ვილერბანი:** რადუნოვიჩი (9), სი (5), ვუიჩიჩი (23), ბონატო (7), მრაზეკი (14), პეტროვი (3), პილი (14), ნეესი (2), ფრიბუ (4), სელესტენდი (8)

**ოსტენდე:** მაიორი (2), ვან პაასენი, ბეგინი (8), ჩიზმიჩი (14), გედრაიტისი (9), ბიგსი (14), კოტა (15), პრაშკევიჩუსი (14)

**აეკ 68:70 სკავოლინი**

**აეკ:** ჰოლდენი (22), ზისისი (3), ტაპუტისი (2), ხაძისი (2), კიკილიასი, დიკუდისი (15), ბილბა (10), პასხალისი, ბეტსი, კაკიუზისი (14)

**სკავოლინი:** ბერიჩი (7), ბუკერი (25), ჯონსონი (11), გიგენა, ლ. მიდლტონი (7), პერილე, ტრაინა (10), ტუშეკი (4), მაჯოლი (6)

**პარტიზანი 59:65 ტაუ**

**პარტიზანი:** შჩეპანოვიჩი (20), პეტროვიჩი (6), ოსტოიჩი (1), სტანოევიჩი (13), მატერიჩი, გლინტიჩი, კრსტიჩი (4), ვუიანიჩი (10), ავდალოვიჩი (5), ჩანაკი

**ტაუ:** სკოლა (16), ნოჩიონი (6), ფოროსტი (6), ვიდალი, სკონჩინი (3), ტომაშევიჩი (6), ობერტო (14), კორჩიანი (12), ბირდი (2)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ტაუ | 11 | 7 | 4 | 932:810 | 18 |
| აეკ | 11 | 7 | 4 | 890:826 | 18 |
| სკავოლინი | 11 | 7 | 4 | 870:878 | 18 |
| ურალ გრეიტი | 11 | 6 | 5 | 984:975 | 17 |
| ვილერბანი | 11 | 6 | 5 | 862:866 | 17 |
| პარტიზანი | 11 | 6 | 5 | 899:820 | 17 |
| ციბონა | 11 | 4 | 7 | 852:905 | 15 |
| ოსტენდე | 11 | 1 | 10 | 870:979 | 12 |

# ხალხმა თქვა: ვაა?

## მაიამიმ კიდევ მოიგო და ქება სტეფანიასაც ერგო



REUTERS ფოტოქრონიკა

პორტლენდი — მაიამი. ვლადიმერ სტეფანია რამიდ ვოლესს არ უთმობს

„მაიამი ჰითი" „ლეიკერსის" ძლევის შემდეგ ლოს ანჯელესიდან წყნარი ოკეანის სანაპიროს ჩრდილოეთით აუყვა, იქ „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსს" გადაეყარა და ისიც კალათბურთის ადგილობრივ ქომაგთა თვალწინ, ჩახედულ კლამან-მიკროფონიან ხალხს კი ათქმევინა, „ხვატმა" (ამას ნიშნავს „ჰითი") გაილღვიძა და ახლა ბევრს დასცხებაო. პორტლენდური ზეობა პატ რაილის შეგირდთათვის ზედიზედ მესამე და ბოლო ცხრა მატჩში მეექვსე გამოდგა, ასე რომ, „ჰითმა" თუმც გვიან, მაგრამ ბოლოს და ბოლოს გაახილა თვალი, გაიზმორა და საკბილოს დაუწყო ძებნა.

„სამი ხუთქულიანი წაგების შემდეგ სამს რომ იგებ, ხვდები, რა ცოტა და რა ბევრი რამ სჭირდება გამარჯვებას. ეს ნბა-ა, არავინ დაგითმობს და შენი მიზანია მეტოქის დაჯაბვნა. ჩვენც ვხვდებით, როგორ უნდა ამის კეთება. ყველანი შემართულები ვართ, თანდათან გავუგეთ რაილის სისტემას, ყველამ კარგად გავაცნობიერეთ ჩვენი როლები" — ამბობს „მაიამის" სასტარტო ხუთეულში დაბრუნებული ქენდალ გილი, რომელმაც 17 იანვარს 13 ქულა შეაშველა თავისიანებს, ხოლო ოპონენტი სკოტი პიპენი ექვსს დააჯერა.

გამარჯვებამ დააკმაყოფილა რაილის პატივმოყვარეობა და ათქმევინა, უმნიშვნელოვანესი გამარჯვება იყო, ისეთი, თავს სხვის ტოლ-სწორად რომ გაგრძნობინებსო და იქვე შეგირდები შეაქო, მათ შორის სათადარიგოებიც. „სათადარიგოებმა დიდი ენერგია და შემართება მოგვაშველეს, განსაკუთრებით მეოთხე მეოთხედში". „მაიამის" დამწყები ხუთი მობურთალის თადარიგში, მოგეხსენებათ, ჩვენებური ვლადიმერ სტეფანიაცაა და მწვრთნელის ქება მასაც ერგო. ვოვიამ მცირე ხნით, მაგრამ ჩინებულად ითამაშა, თავი ისახელა საკუთარი კალათის დაცვისას და შეტევაშიც არ მოასვენა სუსტ მეტოქესთან მარცხის პერსპექტივის გააზრებით ნირწამხდარი და ფიქრარეული მასპინძლები. თუ არ დაიზარებთ, მის საამატჩო სტატისტიკას ზემოთ გაეცნობით.

ბრძოლა კი ფიცხელი გამოდგა. „პორტლენდმა" უკეთ დაიწყო და მეორე ტაიმისთვის ათქულიანი უპირატესობა გამოჭედა. მეორე ნახევარში, უფრო კი მეოთხე მეოთხედში, მაიამელებმა დაცვა აამუშავეს. მათმა გამთამაშებელმა როდ სტრიკლენდმა ორი ჩაჭრა და ბევრი პასი გააკეთა და ერთი მონაკვეთის 13:1 მოგებით „მაიამის" შვიდქულიანი ჩამორჩენა ხუთქულიან წინყოფნად უქცია. მეოთხედის მიწურულს თითქოს უფრო „პორტლენდმა" იძალა. მასპინძლები სირენამდე 6,5 წამით ადრე 86:83 დაწინაურდნენ, მაგრამ გამარჯვებით ტკბობა არ ეღირსათ. სტუმრებმა ნაყოფიერად გამოიყენეს დარჩენილი დრო. ედი ჯონსმა სამქულიანით 86:86 გაათანაბრა და მატჩი ოვერტაიმში გადაიყვანა, სადაც რაილის შეგირდებმა მეტოქეებზე ორი ქულით მეტი ჩააგდეს და მოიგეს.

ისე კი, პორტლენდელები ლოსანჯელესელებზე ნაკლებ ალალი გულისანი ყოფილან. მეტოქეს გამარჯვება ცალყბად მიულოცეს და არც მედიასთან შეაქეს.

17 იანვარი

**პორტლენდი 90:92 მაიამი**

ძირითადი დრო 86:86

**პორტლენდი:** სტუდემაიერი (12), ველსი (12 ქულა, 10 მოხსნა), პიპენი (6), ვოლესი (17 ქულა, 12 მოხსნა), დევისი (7); ანდერსონი (19), კემპი (12), პატერსონი (5), ბრანსონი, კერი, დადლი

**მაიამი:** სტრიკლენდი (6 ქულა, 11 პასი), ჯონსი (25), გილი (13), გრანტი (8), მურნინგი (19 ქულა, 12 მოხსნა); ჯეკსონი (13), სტეფანია (14 წუთი, 6 ქულა, 8 მოხსნა, 2 ჩაჭრა, 2 დაფარება), პაუსი (2), ელისი.

**სან ანტონიო 102:98 იუტა**

**სან ანტონიო:** დანკანი (35 ქულა, 10 მოხსნა, 5 დაფარება), ჩ. სმითი (19), დანიელსი (18)

**იუტა:** მელოუნი (30 ქულა, 14 მოხსნა, 6 პასი), კირილენკო (24)

**შარლოტი 88:93 ფილადელფია**

**შარლოტი:** ნეილონი (27), ვესლი (23)

**ფილადელფია:** აივერსონი (33), მაკი (22)

**ატლანტა 91:94 ჩიკაგო**

**ატლანტა:** ტერი (25 ქულა, 10 პასი), აბდურ-რაჰიმი (22 ქულა, 11 მოხსნა)

**ჩიკაგო:** მერსერი (19)

**მემფისი 97:108 დალასი**

**მემფისი:** გასოლი (26 ქულა, 11 მოხსნა), უილიამსი (16)

**დალასი:** ნოვიცკი (32), ნეში (20 ქულა, 10 პასი, 7 მოხსნა).

„იუტა ჯაზმა" სეზონი ისე უხეიროდ დაიწყო, ხალხმა იფიქრა, ახლა კი მოახლოვდა უბერებელი ბებრების — ჯონ სტოქტონის და კარლ მელოუნის აღსასრულიო, მაგრამ ნურას უკაცრავად, 1985 წლის აქეთ ერთად მოთამაშე წყვილმა (!) ძალა მოიკრიბა და თანდათან ფსკერიდან ამოყვინთა, თუმცა...

ძალიან შორსაც ნუ გაფრინდებიო, უთქვამს „სან ანტონიოს" ყოჩაღ ბიჭს, ტიმ დანკანს და კიდევ ერთხელ უჯობნია მელოუნისთვის, რითაც მისთვის უსიტყვოდ უგრძნობინებია, ის დრო კარგა ხანია, წავიდა, თავდამსხმელებში ყოჩაღ რომ იჯექიო.

შარშან აღმოსავლეთის დამყრობი „ფილადელფია" სადღაც ცხრილის შუაწელში გახიდულა, გული კი ზემოთ მიუწევს. ძალაც მოსდევს, რაც ერთხელაც დაადასტურა „შარლოტში" გამართულმა დაძაბულმა მატჩმა. ისე, შარლოტელ „კრაზანებს" ყურადღება გაფანტული ჰქონდათ. ახლა მათ „სკაში" დიდი ბზუილია ატეხილი — „ჰორნეტსი" შარლოტიდან ახალ ორლეანში აპირებს გადაბარგებას. თუმცა, მასპინძელთა ცენტრი ელდენ კემპბელი ამტკიცებს, წაგებაში ამ ბზუილს არავითარი ბრალი არ მიუძღვის და არც ჩვენ ვაპირებთ ამით თავის მართლებასო.

ჩიკაგოელმა „ხარებმა" ატლანტაში იქაური „ქორები" გაპუტეს და დიდი ტვირთი მოიშორეს. „ბულზი" 17 იანვრამდე რჩებოდა ნბა-ს 29 გუნდიდან ერთადერთად, სტუმრად რომ არ მოეგო და ამას „ხარები" ერთობ განიცდიდნენ. ამიტომაც მეტოქესთან ბრძოლაში არაფერს თაკილობდნენ. მასპინძელთა პატარა ლიდერ ჯეისონ ტერის უთქვამს, ასე მეგონა, კორიდის არენაზე ვიყავი და ხარებს ვებრძოდი, თანაც ცხოველს წითელ ნაჭერს კი არ ვუფრიალებდი, ზედ მეცვა წითელიო.

მემფისში გამართული შეხვედრა ორი გუნდის ორმა ევროპელმა ლიდერმა ლამის პირად დუელად აქცია. „დალასის" გერმანელმა მოთამაშემ დირკ ნოვიცკიმ, რომელსაც თავი გაუკრეჭია და გრძელი თმა აღარ უფრიალებს თვალწინ, აჯობა მემფისის ესპანელ ახალბედას პაუ გასოლს (თუმც მთლიანობაში არც ეს გამოდგა ჯაბანი), თან კანადელი სტივ ნეშიც დაიხმარა და „დალასმაც" მასპინძლები დაამწუხრა.

**ირაკლი ფირაშვილი**

# კრაზანები აშალეს, სიყვარული მოშალეს

**2002-03 წლების** სეზონის ცხრილში რომ ჩაიხედავთ, ახალი გუნდი გეცემათ თვალში. ნუ იფიქრებთ, რომ ნბა-მ 30-ე წევრს გაუღო კარი. ახლა ლიგაში ისედაც საკმარისზე მეტი გუნდი თამაშობს და ლიგის მთავრობა ძნელად თუ დაყაბულდება ახალი წევრის მიღებას. უბრალოდ, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ახალი მიგრაცია მზადდება. 1988 წელს დაბადებული და მას აქეთ ჩრდილოეთ კაროლინას შტატის გულისგულ შარლოტში მობინადრე „კრაზანები" 2002 წლის ზაფხულში აიყრებიან და ლუიზიანის შტატში, ქალქ-მარგალიტ ახალ ორლეანში ჩაფრინდებიან.

„კრაზანათა" აყრის დასტურამდე კიდევ ბევრ ქაღალდს უნდა მოეწეროს ხელი. ნბა-ს დანარჩენი 28 გუნდის მფლობელებმა ამ საქმეს კენჭიც უნდა უყარონ, სპეციალურმა კომიტეტმა ახალი დარბაზის ვარგისიანობა უნდა დაადასტუროს, შემდეგ ლიგის პატრიარქმა დევიდ შტერნმაც ხომ უნდა თქვას თავისი სიტყვა. „ყველაფერი მოგვარებულია. დარჩა მხოლოდ მცირე დეტალები და ფორმალობები". — ამბობს ლუიზიანას შტატის გუბერნატორი და ამ საქმის ერთ-ერთი მოთავე მაიკ ფოსტერი.

„ჩვენთვის და ლიგისთვის უკეთესი იქნებოდა, „ჰორნეტსს" არ შეეცვალა ადგილსამყოფელი, მაგრამ რეალობა ასეთია, კლუბს სხვაგან უნდა გადასვლა" — თქვა ნბა-ს დიდჩინოსანმა რას გრანიკმა. მან კლუბში ალბათ მფლობელები იგულისხმა, რომელთაც შარლოტზე ცოტა მოზრდილი ქალაქი, ახალი ორლეანი მოისურვეს, სადაც მათი ბიზნესი უფრო ფართოდ გაშლის ფრთებს, ის კი ჩალად არ ულირთ, რომ ათეულობით ათას შარლოტელს მთავარ გასართობს ართმევენ.

რაც შეეხება ნამდვილ კლუბს, მწვრთნელებს, მოთამაშეებსა და მომსახურე პერსონალს, მათი გული შარლოტში რჩება, სადაც აფასებენ კალათბურთს. „ჰორნეტსს" ლიგაში ყველაზე მხურვალე ქომაგობა ჰყავს, კლუბმა თავისი გულშემატკივრების პატივსაცემად ციფრი ექვსი მუდმივ ნომრად აქცია, — მაყურებელი ჩვენი მეექვსე მოთამაშეაო.

„ჩვენ აქ არავინ გვკითხავს აზრს, ჩვენი საქმეა, რაც შეიძლება ბევრი თამაში მოვიგოთ" — ამბობს „კრაზანათა" მთავარი დამრიგებელი პოლ საილასი, რომელიც მიგრაციის წინააღმდეგია. მწვრთნელს შეგირდებიც უჭერენ მხარს, მაგრამ, როგორც ბანკში მილიონების მოტრიალე ჰალსტუხიანი ძიები ამბობენ, ასეთია რეალობა, ეს სეზონი ბოლოა „შარლოტ ჰორნეტსისთვის".

# რა შვილიშვილი დაგტირის, ირმა ბაბო...

**სანამ** „ლოს ანჯელეს ლეიკერსი" შაკილ ონილს მისტირის და „მაიამი ჰითთან" ამასწინანდელ მარცხს მის არყოფნას უკავშირებს, თავად შაკს მწუხარება მოსძალებია. არ ვგულისხმობთ ზუსტად ერთი კვირის წინანდელ და-კა-დაკას, „ჩიკაგოსთან" შეხვედრაში რომ გაიმართა, არც ონილისგან მეტოქე ბრედ მილერის (თითქმის) გვემას, რაც „ლეიკერსის" ცენტრს სამმატჩიან დისკვალიფიკაციად და 15 ათას დოლარიან ჯარიმად დაუჯდა.

თურმე დაახლოებით იმ დროს, როდესაც შაკი ვეება ტორებს მილერს უშენდა, მის ბებიას, მამის დედას, ირმა ჰარისონს, ნიუ ჯერსიში იმ ქვეყანას წერილი მიჰქონდა. ახლა ონილი ნიუ ჯერსიშია, რათა ძვირფასი ახლობლის დაკრძალვას დაესწროს. და დაახლოებით მაშინ, როდესაც ამ სტრიქონებს წაიკითხავთ, ნბა-ს ყველაზე მძიმეწონოსანი კალათბურთელი ბებიას უკანასკნელ გზაზე გააცილებს.

რამდენი წლისა იყო ქალბატონი ჰარისონი და რა მიზეზით დატოვა ცოდვილი ქვეყანა, ამაზე „ლეიკერსის" პრესსამსახური არაფერს იუწყება. ეს გასაგებიცაა, კლუბს შაკილ ონილის ბებიაზე მეტად თავად ონილი აფიქრებს და ჩემპიონი გუნდის თავკაცობას იმის დარდი აქვს, სამი მატჩის გამოტოვება ცუდად ხომ არ იმოქმედებს შაკის სათამაშო ფორმაზე. ორშაბათს „ლეიკერსი" „დენვერს" ხვდება, ონილის დისკვალიფიკაციაც ამ შეხვედრამდე იწურება.

29 ტრადიციული, საერთაშორისო

# ეს თბილისური ძიუდო არ უნდა იყოს ურიგო



საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების თავკაც შოთა ხაბარელს ძველი შეგირდებისაც ეიმედება და ახლებისაც

**დღეს** დაიწყება და ორ დღეს გასტანს თბილისის ტრადიციული ტურნირი ძიუდოში. შეჯიბრი ოცდამეცხრედ იმართება და ორასამდე ფალავანს მოუყრის თავს. სპორტის სასახლის დამთბარ დარბაზში გაწყობილ ტატამებზე ცხრა ქვეყნის ფალავნები შეღგამენ ფეხს და ერთურთის ბეჭებზე გაკვრას შეეცდებიან.

მასპინძელ ქართველთა გარდა მედლებისთვის იბრძოლებენ ფრანგი, რუსი, ბერძენი, უკრაინელი, ბელარუსი, მოლდოველი, აზერბაიჯანელი, სომეხი და თურქი ძიუდოისტები. საქართველოს გუნდში 28 მოჭიდავე იქნება. ჩვენებურები შვიდ წონით კატეგორიაში ოთხ-ოთხ ძიუდოისტს გაიყვანენ. საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი შოთა ხაბარელი კარგ გუნებაზეა და მინიმუმ ხუთ ოქროს მედალს გეგმავს.

ხაბარელის ოპტიმიზმს ისიც აძლიერებს, რომ მის შეგირდთაგან ისეთი ფალავნები იჭიდავებენ, ნესტორ ხერგიანი, გიორგი რევაზიშვილი, ივერი ჯიქურაული, ალექსი დავითაშვილი, რამაზ ჩოჩიშვილი, ზურაბ ზვიადაური და დავით მარგოშვილი რომ არიან. ხაბარელს ახალგაზრდებისაც ეიმედება და მათგანაც ელის სხვადასხვა სინჯის მედლებს.

ჩვენებურების მთავარი კონკურენტები ალბათ ფრანგები, რუსები და თურქები იქნებიან. ხაბარელის თქმით, ფრანგები სულაც პირველი გუნდით გვეწვივნენ და აქედან უმედლებოდ წასვლას არ აპირებენ. საკმაოდ ძლიერი შემადგენლობით ჩამოვიდნენ ჩვენი მეზობლები რუსები და თურქები.

გუშინ ტურნირის ორგანიზატორი, საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ხელმძღვანელობა მონაწილეთა მიღება-აწონვით იყო დაკავებული. სტუმართა დელეგაციების თავკაცებმა სპორტის სასახლე მოინახულეს და კმაყოფილნი დარჩნენ.

დღეს წინასწარი შეხვედრები გაიმართება, ხვალ კი ფინალური ორთაბრძოლებია. რაღა, შესახსენებელია, რომ კაცების გარდა თბილისში ქალებიც იჭიდავებენ.

**ბაჩო სვანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ავსტრალიის ღია პირველობა მელბურნი

საპრიზო 8,6 მილიონი $



ნორვეგიელმა არაბმა, იუნეს ელ აინაუიმ წაგება ძლიერ განიცადა



რას ზეიმობს ბარბარა რიტნერი? მარტინა ჰინგისთან ერთადერთი გეიმის მოგებას

# აქეთ წახვალ, თავი გაგევსება, იქით წახვალ, ჯიბე

## ათასად წიგნი დაფასდა, ათიათასად ჩოგანი

**მესამე წრე**

**ვაჟები**

ტომას იოჰანსონი (16, შვედეთი) — იუნეს ელ აინაუი (21, მაროკო) 5:7, 6:2, 6:2, 6:4; დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) — ჟერომ გოლმარი (საფრანგეთი) 6:3, 6:1, 6:7 (6:8), 7:5; ადრიან ვონცეა (რუმინეთი) — ტეილორ დენტი (აშშ) 3:6, 6:3, 6:4, 3:6, 6:3; იონას ბიორკმანი (შვედეთი) — გილერმო კანასი (12, არგენტინა) 6:3, 6:2, 6:4; შტეფან კოუბეკი (ავსტრია) — კრისტიან პლესი (დანია) 7:6 (7:4), 7:5, 6:3; ფერნანდო გონსალესი (ჩილე) — ალექს კიმი (აშშ) 6:2, 6:2, 6:3; ირჟი ნოვაკი (26, ჩეხეთი) — ფრანცისკო კლავეტი (ესპანეთი) 6:3, 6:4, 6:1; ტიმ ჰენმანი (6, დიდი ბრიტანეთი) — გრეგ რუზედსკი (28, დიდი ბრიტანეთი) 6:4, 6:3, 1:6, 6:3

**ქალები**

მარტინა ჰინგისი (3, შვეიცარია) — ბარბარა რიტნერი (გერმანია) 6:1, 6:0; ამანდა კოეტცერი (16, სამხრეთ აფრიკა) — ბარბარა შეტი (17, ავსტრია) 6:3, 6:3; ანაბელ მედინა გარიგესი (ესპანეთი) — ნატალი დეში (საფრანგეთი) 6:3, 6:2; ვინუს უილიამსი (2, აშშ) — დანიელა ჰანტუხოვა (32, სლოვაკეთი) 3:6, 6:0, 6:4; მაგდალენა მალეევა (13, ბულგარეთი) — ლიზა რეიმონდი (18, აშშ) 7:5, 6:1; მარტინა სუხა (სლოვაკეთი) — აზა სვენსონი (შვედეთი) 6:0, 6:4; ადრიანა სერა ძანეტი (იტალია) — სილვია ფარინა ელია (11, იტალია) 6:2, 4:6, 6:4; მონიკა სელეში (8, აშშ) — ფრანჩესკა სკიავონე (31, იტალია) 6:4, 6:4

ვინუს უილიამსი ავსტრალიის ღია პირველობის მესამე წრეში თავიდან ხშირად არ ჰგავდა პოტენციურ ჩემპიონს, როგორც მის ხსენებას მას მედია მიეჩვია. ახალგაზრდა და ამბიციური სლოვაკმა დანიელა ჰანტუხოვამ პირველ სეტში კოხტა ზანგს ზედიზედ ორი მოწოდება აართვა, 4:0 დაწინაურდა და საბოლოოდ სეტი 6:3 მოიგო.

ეტყობა, ხშირად ამით განსხვავდებიან პროფესიონალები მოყვარულებისგან — საჭირო მომენტში მობილიზების უნარით. მეორე სეტში შავი ვეფხვა სრულიად ხსვაგვარად ამუშავდა და როგორც კი ჰანტუხოვას მოწოდების ხიბძლავრემ მცირედით იკლო, უილიამსმა ზედიზედ 8 გეიმი მოიგო, ანუ მეორე სეტი მთლიანად და მესამის — საწყისი ნაწილი. ჰანტუხოვას თავგანწირული წინააღმდეგობა არ შეუწყვეტია და მატჩი მხოლოდ 107 წუთის შემდეგ დამთავრდა უილიამსისთვის არცთუ სასახელო ანგარიშით — 3:6, 6:0, 6:4. ამერიკელი სლავებს ჯერ ვერ მოიშორებს, მისი მომდევნო მეტოქე ათას ორმოცდაცხრაში გამოვლილი ბულგარელი მაგდალენა მალეევა იქნება. მალეევას განთესვის ნომერი 13-ია, თარსი და საკმაოდ მაღალი.

„ის მებრძოლია, ქულებს არ არიგებს და იქცევა ადამიანივით, რომელსაც დასაკარგი არაფერი აქვს. ანგარიშის მიუხედავად, ჩვენი დღევანდელი მატჩი თითქმის ისეთივე მარათონი იყო, როგორც პერთში ორი კვირის წინ" — თქვა მონიკა სელეშმა მას შემდეგ, რაც იტალიელი ფრანჩესკა სკიავონე ორ პარტიაში 6:4, 6:4 დაამარცხა. პერთის ტურნირზე მათი შეხვედრა იტალიელის გამარჯვებით დამთავრდა. ამჯერად მატჩი დაკარგულ მოწოდებათა სიმრავლით გამოირჩა. 21 წლის სკიავონე გიჟივით დარბოდა კორტზე, ორჯერ აართვა მოწოდება სელეშს, ეგ იყო, თავის მოწოდებებზე ვერ ივარგა და საბოლოოდ 89 წუთში მიულოცა გამარჯვება მეტოქეს.

სელეშმა თავმდაბლურად განაცხადა, გადამწყვეტ მომენტებში მე ცოტა უკეთ ვითამაშე და ამიტომ გავიმარჯვეო. „ხოლო ჩემი დღევანდელი მოწოდებები კრიტიკას ვერ უძლებს — თქვა სელეშმა — ვარჯიშზე საუცხოოდ ვაწვდიდი, თამაშისას ჩავიჭერი. პარტიების თავ-ბოლოში ყველაზე მეტად მიჭირდა".

კითხვაზე, თუ რა აზრისაა ავსტრალიის ღია პირველობის მოგებაზე, რასაც სელეში ნაჩვევია (4-ჯერ იყო ჩემპიონი), ჩოგბურთელმა უპასუხა, რომ ეს ნორმალური იქნება, ისევე, როგორც მისი გავარდნა რომელიმე ადრეულ ეტაპზე.

ამერიკის სტენფორდის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტი ალექს კიმი მეტად უჩინო ჩოგბურთელია. მისი რეიტინგული ქულები (234) იმდენად ცოტაა, რომ პროფესიული ჩოგბურთის ასოციაციის (ატპ) ეგრეთ წოდებულ „ოფიციალურ წიგნში" არც ირიცხება. კიმის გვარმა მელბურნში უცებ დაიჭუხა, როცა მან ევგენი კაფელნიკოვი გააგდო, მაგრამ ამერიკელი ღრუბლებიდან მიწაზე მალე დაეშვა: კიმს ჩილელმა ფერნანდო გონსალესმა ცალი ხელით 6:2, 6:2, 6:3 მოუგო. ეს გონსალესიც არ არის დიდი სახელის პატრონი, ავსტრალიის ღია პირველობაზე საკვალიფიკაციო ეტაპიდან მოხვდა, მაგრამ ზემოთ წამოჭრილ თემას თუ დავუბრუნდებით, პროფესიონალი სხვაა და მოყვარული — სხვა. კიმიც შეიძლება თვეა, ოფიციალურ პროფესიონალად გაფორმდა, მაგრამ მაინც სტუდენტია, ლექციებზე სიარულს და ხარისხის მიღებას აპირებს, თან ჩოგბურთის თამაშს, ახე კი სად არის 21-ე საუკუნეში? სხვა საქმეა გონსალესი, ვისთვისაც ჩოგბურთი ცხოვრების საქმეა. ჩილელმა 3 წლის წინ საფრანგეთის ღია პირველობის იუნიორთა ტიტული მოიგო, ორლანდოშიც — ატპ-ს ერთი ტურნირი, შარშანდელ მელბურნში და „როლან გაროსზე" მეორე წრეში გააღწია. ამ დღეებში გონსალესი უაღრესი ალმაფრენით თამაშობს. საკვალიფიკაციო გამარჯვებათა შემდეგ ზედიზედ გააგდო სომეხი სარგსიანი, ესპანელი რობრედო და აგერ გუშინ კიმიც. ბუნებრივია, ამდენ წინსვლას ის არ ელოდა.

„ერთი-ორი წრის გავლაც გამახარებდა — ამბობს გონსალესი — უნდა აღვნიშნო, რომ კორტი ძლიერ მიწყობს ხელს. მიყვარს თიხაზე თამაში და საფარი აქაც სტანდარტულ პარდზე ცოტათი ნელია, რაც ძლიერ მეხმარება".

გონსალესის სიტყვები ესიამოვნებოდათ ტურნირის ორგანიზატორებს, რომლებსაც ამ დღეებში გვარიანად მოხვდათ კორტის პარდზე დაგებული კაუჩუკის თხელი საფარის გამო. ენდი როდიკმა თავისი ტრავმა სწორედ ნახსენებ გარემოებას დააბრალა. იგივე თქვა მარკ ფილიპუსისმაც.

„ტურნირზე თამაშობს 128 ვაჟი და 128 ქალი — თქვა პასუხად ტურნირის აღმასრულებელმა დირექტორმა პოლ მაკნამიმ — და მათგან ტერფი მხოლოდ ერთმა დაიზიანა. რა შუაშია ავსტრალიის ღია პირველობა? ამგვარი ამბები პარდის ყველა ტურნირზე ხდება".

მაკნამის, მარატ საფინის, პიტ სამპრასისა და ზოგი სხვა ავტორიტეტის აზრით, ელიტის ტრავმების და უხეირო თამაშის მიზეზია მცირე შუალედი შარშანდელ და ახლანდელ სეზონებს შორის. ვინც „მასტერს კაპზე" ითამაშა, ყველა გამოეთიშა „დიდი სლემის" პირველ ტურნირს.

დაბოლოს, გუნდური ჩათვლა, ცხადია, მხოლოდ სტატისტიკის დონეზე. ამას იმიტომ ვაკეთებთ, რომ მასპინძელთა უაღრესი ჩავარდნა დავასურათოთ და პირიქით, არცთუ საჩოგბურთო ქვეყნებმა წლეულს ერთობ გამოყვეს ფეხი. მესამე წრეში ჩოგბურთელების რაოდენობით ამერიკა ლიდერობს (9 ჩოგბურთელი), მას ესპანეთი მისდევს (5), ხოლო 4-4 ჩოგბურთელი ჰყავდათ გერმანიას, საფრანგეთს, იტალიასა, რაც გასაკვირია, სლოვაკეთს. ავსტრალიას რა? სულ 2 კაცი. ეს იმ დროს, როცა ოზები მსოფლიოს ლიდერობას ესწრაფვიან. სხვა თუ არაფერი, ბოლოს როდის იყო, დევისის თასის ფინალმა მათ გარეშე რომ ჩაიარა?

**დავით ზულუა**

# ამბავ-ხაბარი

## ლეიტონს ბატონები უზრძანდება



**ჰიუიტმა** გადაწყვეტილება მიიღო — დევისის თასის პირველ წრეში არ ითამაშებს. ავსტრალია არგენტინას უნდა შეხვდეს და უკიდურესად მძიმე დღეშია, რადგან არ ჰყავს პატრიკ რაფტერი, ახლა კი მეორე ვარსკვლავიც დაკარგა, არგენტინა კი თავს ვერ მოიწონებს ვარსკვლავებით, მაგრამ საკმაოდ ძლიერ ჩოგბურთელთა ნაკლებობას არ უჩივის.

გადაწყვეტილებას წინ უძღოდა სამედიცინო კონსულტაციები მელბურნის „ალფრედ ჰოსპიტალში", სადაც დადასტურდა, რომ ჰიუიტს ყბაყურა ბატონები შეჰყრია და მისი ორგანიზმი დასვენებას ითხოვს.

„ახალგაზრდა კაცი ნამდვილად საჭიროებს სიწყნარეს და გამოჯანმრთელებას — განაცხადა დოქტორმა ანე მიიხმა, ჰოსპიტალში ინფექციურ დაავადებათა ექსპერტმა — ერთი თვის განმავლობაში, არავითარი ფიზიკური დატვირთვები..."

„ბუნებრივია, გავწბილდი. დევისის თასის მატჩი ჯერ არ გამომიტოვებია და არგენტინასთან ბრძოლას მოუთმენლად ველოდი, მაგრამ თუ ვითამაშებ, 100 პროცენტით უნდა დავიხარჯო, ახლა კი ამის თავი ნამდვილად არა მაქვს" — ამბობს თავად ჰიუიტი.

მართლაც, ესპანელ ალბერტო მარტინთან ჰიუიტმა იმიტომ წააგო, რომ ძალა გამოელია. გეხსომებათ, მან გაიმარჯვა პირველ სეტში, მერე კი ბოლომდე მხოლოდ დაბორიალებდა კორტზე და ღირებულს ვერაფერს აკეთებდა. ჰიუიტი გულწრფელად ლაპარაკობს, რადგან იგი დევისის თასს ყოველთვის განსაკუთრებულ პატივს სცემდა და ვაჟთა ჩოგბურთის მწვერვალს უწოდებდა. პლანეტის ნომერ პირველი ჩოგნის სავარაუდო შემცვლელად მარკ ფილიპუსისს ვარაუდობენ, ავსტრალია — არგენტინა კი დავითობა დღეს დაიწყება ბუენოს აირესში და 10 თებერვლამდე გასტანს.



REUTERS

ეს ვიკინგი ტომას იოჰანსონს ქომაგობს

## გუგა ქირურგებს გადაარჩინეს

**ავსტრალიის** ღია პირველობიდან უსახელოდ წასული გუსტავო კუერტენი სან პაულუში ექიმებს გაესინჯა. შარშანდელი სეზონიდან მოყოლებული, იგი თეძოს და საზარდულს იტკივებს. მელბურნის „მასტერ კაპი" რომ დამთავრდა, კუერტენმა დაუყოვნებლივ დაიწყო მკურნალობა, მაგრამ დრო არ ეყო და წლეულს მელბურნისავე კორტზე ნახევრად ჯანმრთელი გავიდა. გავიდა და გამოვიდა, თან პირველივე წრიდან. ახლა გუგას გადაუწყვეტია, ლეიტონ ჰიუიტს მიბაძოს (იხილეთ ზემო ამბავი) და ითამაშებს ან არა ბრაზილიის ნაკრებში, რომელიც თებერვალში ჩეხეთს დაუპირისპირდება.

„ვნახავთ, როგორ ვიქნები — თქვა ჰიუიტმა გუშინწინ — ფიზიოთერაპიის კურსს გავივლი და ფორმაში ჩადგომა თუ მოვასწარი, ვითამაშებ".

სამედიცინო გამოკვლევის შედეგებს არა უშავს. კუერტენს დაზიანება მხოლოდ მარჯვენა თეძოში აღმოუჩინეს, საზარდული კი ჯანმრთელი გაქვსო. ამიტომ, ექიმთა აზრით, ქირურგიული ჩარევა ზედმეტია, საქმეს ფიზიოთერაპიაც სავსებით უშველის.

კუერტენი აღიარებს, რომ შარშანდელ ფიზიოთერაპიის კურსმა მნიშვნელოვნად გამოაკეთა. „ავსტრალიის ღია პირველობაზე ჩასული თავს ბევრად უკეთ ვგრძნობდი, ვიდრე წინა სეზონის ფინიშზე — ამბობს იგი — უბრალოდ, ღაბრუნება ვიჩქარე, მაგრამ ეს არაფერი. მთავარია, რომ გავიგე რა მჭირს. შარშან, თითქმის მთელი წელი ბოლომდე ვერ გავარკვიე, რა იყო ჩემს თავს, ახლა კი სრული ინფორმაცია მაქვს. ექიმებთან ერთად გადავწყვიტე, ოპერაცია არ გავიკეთო და რეაბილიტაციას ფიზიოთერაპიის კურსით და კუნთების ვარჯიშით ვეცადო".

გაგახსენებთ: გუსტავო კუერტენი „როლან გაროსის" სამგზის ჩემპიონია და 2001 წლის სეზონში თითქმის ბოლომდე მსოფლიოს პირველი ჩოგანი იყო.

ამ მთავრობის იმედზე...

# ისევ ხალხი და ისევ IRB

**საქართველოს** მორაგბეთა ნაკრები 3 თებერვალს ჰოლანდიას თბილისში უმასპინძლებს. ამ დღეს ევროპის ერთა თასის ახალი გათამაშება იწყება. მოგეხსენებათ, ეს ტურნირი მსოფლიოს თასის შესარჩევი შეჯიბრის საკვალიფიკაციო ეტაპიცაა. ისიც მოგეხსენებათ, რომ ამ მატჩის თბილისში გამართვა-არგამართვის საკითხი თევზის ფხასავით გაეჭედა ყელში საქართველოს რაგბის კავშირს, რომელმაც ჰოლანდიელი „ტიტების" სამასპინძლოდ ლარი რომ ლარია, ისიც ვერ მოიძია. ჰოდა, კავშირმაც სპორტის დეპარტამენტს მიაკითხა თავისი წილი თანხის ასალებად. დეპარტამენტმა ფინანსთა სამინისტროს გაუგზავნა წერილი, სამინისტრო ხაზინასთან გადავიდა ალავერდს. ხაზინას ფულის გაცემაზე უარი არ უთქვამს, მაგრამ სამისოდ დრო ითხოვა. დრო კი არ ითმენდა. 3 თებერვლამდე ორიოდ კვირა რჩებოდა. თუ დროულად არ გამოიძებნებოდა საჭირო თანხა, ადვილი მოსალოდნელი იყო, ეს მატჩი ამსტერდამში გამართულიყო. საბედნიეროდ, კავშირს მშველელი მალევე გამოუჩნდა, თუმც ეს გაჭირვების ტალკვესი არც სპორტის დეპარტამენტია, არც რომელიმე სახელმწიფო უწყება და არც ვინმე ქართველი მეცენატი.

ბორჯალოსნებს დახმარების ხელი IRB-მ (რაგბის საერთაშორისო საბჭომ) გაუწოდა. ევროპის ერთა თასზე მონაწილეობისთვის საქართველოს ნაკრებს 14 000 ამერიკული დოლარი ეკუთვნის. რაგბის საერთაშორისო საბჭომაც წინასწარ გადმორიცხა ფული რაგბის კავშირის ანგარიშზე, და ქართველებს მცირე ხნით ამოსუნთქვის საშუალება მისცა. მცირე ხნით იმიტომ, რომ სულ რაღაც ერთ თვეში კავშირს საქართველო — რუსეთის მატჩის ორგანიზება მოუწევს. თუ მაშინაც ვერ გამოძებნა სახსრები, IRB უკვე ველარ დაეხმარება (ბოლოს და ბოლოს, მეწველი ძროხა ხომ არ არის, ყოველ საშინაო მატჩზე ფული გადმორიცხოს). ამგვარ სიტუაციაში რომ აღარ აღმოჩნდნენ, ქართული რაგბის მამებმა აქედანვე დაიჭირეს თადარიგი. ადვილი მოსალოდნელია, საქართველო — ჰოლანდიის დაპირისპირება ადრე შეგულებული „ლოკომოტივის" სტადიონის ნაცვლად „ეროვნულზე" გაიმართოს. ქვეყნის უპირველესი სტადიონი ხომ კოპწია „ლოკომოტივზე" მეტ გულშემატკივარს იტევს. კავშირსაც ქომაგთა დიდი არმიის მისვლის იმედი აქვს. გაყიდული ბილეთებიდან შემოსული თანხით კი ცოტათი მაინც შეავსებს თავის სალაროს. თუმც გადაწყვეტილი ჯერ არაფერია. საბოლოო პასუხი ორშაბათს იქნება ცნობილი, როდესაც კავშირის ხელმძღვანელობა „ეროვნულის" დირექციას შეხვდება და წვრილმან-მსხვილმანს შეათანხმებს.

**ბაჩო სვანიძე**





ფიდეს მსოფლიოს ჩემპიონატი
მოსკოვი. 16-28 იანვარი

ვასილი ივანჩუკი (1) — რუსლან პონომარიოვი (2)



# ივანჩუკი არ იმეორებს

**მესამე** პარტია სიცილიური დაცვით დაიწყო. პირველ პარტიაში ფრანგულად თამაშმა ივანჩუკს ზარალის მეტი არაფერი მოუტანა და მას აღარ დაუწყია ექსპერიმენტები, უბრალოდ, დებიუტი შეცვალა და ეგ იყო. პონომარიოვის თეთრები აწყობილად ამოქმედდნენ. ერთი კუ ფლანგზე განვითარდა და საერთოდ, შავების მეფის ფრთამ მალე დასუსტება იწყო. ეს ამბავი რომ შენიშნა, ივანჩუკმა როქი საერთოდ არ გააკეთა და დაფის მარჯვენა განაპირას მეტად აქტიური ეტლი დააყენა. ასე, 17 სვლაში გაირკვა, რომ შავები საიმედოდ, მაგრამ ოდნავ ვიწროდ იდგნენ და გაცვლების მოთხოვნილება ჰქონდათ. ფიგურათა ნაწილის დალუპვის შემდეგ შავებმა ცოტა ხელი გამოიღეს და ცენტრის დაპყრობას ეცადნენ, თუმცა შედეგი თითქმის თანაბარი პოზიცია იყო და მალე დაფას ლაზიერებიც გაეცალნენ. ივანჩუკის მეფემ თავის პაიკების სქელ გროვაში შერგო თავი და პონომარიოვმა ბევრი იწრიალა, მაგრამ ვერსაიდან მიუდგა. რიგი მართალი სვლების შემდეგ მხარეებმა ისევ გაცვლებს მიჰყვეს ხელი. მიყოლებით დაიხოცნენ მძიმე და მსუბუქი ფიგურები და მალე დაფაზე მრავალპაიკიანი მხედრების ენდშპილი აღმოცენდა გაორებული შავი პაიკებით, თუმცა ივანჩუკის მეფე ისეთ მოხერხებულ ადგილას მოთავსდა, თეთრების გამარჯვებაზე ლაპარაკი ძნელი იყო. პონომარიოვმა მიმართა ბოლო რესურსებს, ივანჩუკი იდგა და ელოდა. ლაზიერის ფრთაზე თეთრი პაიკების აქტივობას შედეგი არ მოჰყოლია და ბოლო ყაიმი 47-ე სვლაზე. დასკვნითი პოზიცია აქვე იხილეთ.

**დავით გულუა**





# იაგუდინმა მომენტი დაიჭირა

**საუნდტრეკი** ფილმიდან „ნილბოსანი" კოხტად მოერგო ალექსეი იაგუდინის სტილს და რუსმა მოციგურავემ თავისუფალ პროგრამაში ევროპის ჩემპიონობა დაისაკუთრა. შარშანდელი ჩემპიონი ევგენი პლუშჩენკო არ სრიალებდა ლოზანაში მიმდინარე კონტინენტის ჩემპიონატზე — საზარდული აწუხებს და სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიადამდე დასვენებას აპირებს. იაგუდინს შანსი მიეცა (ორ წინა ევროპირველობაზე სწორედ პლუშჩენკომ დაამარცხა) და გამოიყენა კიდეც. მან თვისტომ ალექსანდრ აბტსა და ფრანგ ბრაიან ჟუბერს გაუსწრო.

იაგუდინის გამოსვლას ზადი მხოლოდ დებიუტში ჰქონდა, სადაც სამმაგი ნახტომი გაუცუდდა, მაგრამ 6 შემდგომ ილეთს ყველაზე ინტრიგანი მსაჯიც ვერ დაუწუნებდა. ქულები 5,7-5,9 დიაპაზონში მიიღო.

ქართველი ვახტანგ მურვანიძე მე-16 ადგილზე გავიდა.



NHL. რეგულარული ჩემპიონატი

ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS მოსამზადებლობა

რა ჰქონდა გასაყოფი ბოსტონელ ბაირონ დაფოს (მარცხნივ) ოტაველ კოლეგა პატრიკ ლალიმთან?

# ეს მეკარეები რაღამ გააგიჟა?!

## მეც ლორდი ვარ, ბაირონი: მიველ, ვიჩხუბე, გამაძევეს... რომანტიკა

17 იანვარი

**ბოსტონი 5:2 ოტავა 0:0 3:1 2:1**
1:0 ბოინტონი (26), 2:0 მიური (28), 2:1 ფიშერი (39), 3:1 როლსტონი (40), 4:1 შტუმპელი (44), 5:1 გილი (52), 5:2 ჰოსა (10).

ოტაველ მეკარეთა ჩხუბი სეზონის სეირად იქცა. 20 დეკემბერს ლოს ანჯელესთან შეხვედრისას ფინელ იანი ჰურმეს თავისი კოლეგა ფელიქს პოტვინი შემოელახა. ამჯერად კი ხელჩართულ ბრძოლაში „სენატორთა" მეორე გოლკიპერი, პატრიკ ლალიმი ჩაება, თუმც ინიციატივა ახლა უფრო ბოსტონელთა კარის დარაჯმა, ბაირონ დაფომ გამოიჩინა. მას შემდეგ, რაც ჰალ გილმა მეხუთედ დალაშქრა ოტავას კარი და მატჩის ბედიც გადაწყდა, განაწყენებულმა კანადელებმა მუშტები მოიშველიეს. შაიბამ კარის ხაზის გადაკვეთა ძლივს მოასწრო და კრის ნილმა უმალ გილი გამოიწვია საჩხუბრად, რასაც ჯგუფური შეხლა-შემოხლა მოჰყვა. ამასობაში უსაქმოდ მყოფმა დაფომ არ დაიზარა, მოედნის მოპირდაპირე ბოლოში გასრიალდა და ლალიმს შეერკინა. მეკარეთა ორთაბრძოლაში ოტაველმა იმარჯვა. „ლორდ ბაირონად" შერაცხულმა დაფომ მეტოქეს ჩაფხუტი უთავაზა და ლამის თვალი წამოთხარა.

**კაროლინა 1:1 მონრეალი 0:0 1:1 0:0 0:0**
0:1 ოჟიკი (27), 1:1 უესლი (35)

**ფილადელფია 6:3 ატლანტა 0:1 2:2 4:0**
0:1 კოვალჩუკი (20), 0:2 ტრამბლე (21), 1:2 რეკი (26), 2:2 ტერიენი (29), 2:3 ოუღრსი (39), 3:3 უილიამსი (42), 4:3 ლეკლერი (43), 5:3 რენბიმი (59), 6:3 მაკგილისი (60)

ოთხი წაუგებელი მატჩის შემდეგ აუტსაიდერმა ატლანტამ ფილადელფიაზეც დააპირა ხელის აღმართვა, მაგრამ ბოლო მესამედის 32 წამში ჯეისონ უილიამსმა და ჯონ ლეკლერმა მეტოქე ციდან მიწაზე დააბრუნეს. ფილადელფიამ ზედიზედ მეშვიდედ მოიგო.

**ნიუ ჯერსი 6:4 რეინჯერსი 3:1 1:1 2:2**
1:0 ბრილინი (3), 1:1 მალოტრა (5), 2:1 სიკორა (9), 3:1 გარდინერი (17), 4:1 მანდერლუ (25), 4:2 ნედვედი (36), 5:2 ელიაში (42), 5:3 ბარნაბი (46), 6:5 ბრილინი (47), 6:4 მაკარტი (59)

ფლერი ცოლს ეხუტება, ლინდროსი ტრავმის შემდეგ ვერ არის გუნებაზე, მაიკ იორკიც ჩრდილში მოიქცა — და გაირკვა, რომ პირველი სამეულის გარდა რეინჯერსს არავინ ჰყავს.

**კოლორადო 3:2 ფინიქსი 0:1 0:0 2:1 1:0**
0:1 ნაგი (5), 1:1 ტანგუი (48), 2:1 ფლირჩილდი (52), 2:2 ლემკიუ (57), 3:2 ნიემინენი (65)

**ნეშვილი 3:2 ტორონტო 0:0 2:0 0:2 1:0**
1:0 ორზაგი (31), 2:0 ფიცჯერალდი (39), 2:1 სუნდინი (52), 2:2 ტაკერი (54), 3:2 ჯონსონი (61)

**სენტ ლუისი 5:4 ვანკუვერი 0:2 3:0 2:2**
0:1 ლინდენი (2), 0:2 ოლუნდი (11), 1:2 მელანბი (27), 2:2 ტკაჩუკი (37), 3:2 მაკინისი (40), 4:2 დემიტრა (46), 4:3 ოლუნდი (49), 5:3 ტკაჩუკი (52), 5:4 ბერტუცი (59)

**კალგარი 4:6 პიტსბურგი 2:1 0:3 2:2**
1:0 კლარკი (8), 1:1 მოროზოვი (9), 2:1 კონროი (9), 2:2 მოროზოვი (25), 2:3 ლანგი (29), 2:4 მოროზოვი (37), 3:4 იგინლა (45), 4:4 კრაფჩუკი (57), 4:5 პრიდონა (58), 4:6 ლემიე (60)

ტრავმების გამო მარიო ლემიე წლეულს შარშანდელივით ვერ ბრწყინავს, მაგრამ ერთი მატჩის ბედის გადაწყვეტა ძველებურად შეუძლია. ალექსეი მოროზოვმა სამივე გოლი სუპერმარიოს დახმარებით გაიტანა, ხოლო თავად ლემიემ ცარიელ კარში გატანილი შაიბის ხარჯზე უზრუნველყო ნანატრი მოგება.

**ლოს ანჯელესი 4:2 ბუფალო 1:2 0:0 3:0**
0:1 კალინინი (5), 1:1 ჩარტრანდი (6), 1:2 ბრაუნი (10), 2:2 პალფი (47), 3:2 დეფრმარში (59), 4:2 მოლინსკი (60)

იანვარში ჩინებულად მოთამაშე ლოს ანჯელესი (5 მოგება, ერთი ფრე) დასავლეთის საპლეიოფო ოქტეტში ელვისებურად შეიჭრა.

**სან ხოსე 3:2 აილენდერსი 1:0 2:1 0:1**
1:0 რიჩი (17), 2:0 რატჯე (23), 3:0 შტურმი (26), 3:1 პეკა (34), 3:2 ტარნსტრომი (53)



ყველა ვარსკვლავი ლოს ანჯელესი. 2-3 თებერვალი

# მწვრთნელი ხარ თუ თელასი?

## ქუინმა ვარსკვლავები ნათურებივით ჩააქრო

**გუშინ** ჩრდილო-ამერიკის სააგენტოებმა „ოლ სტარში" მონაწილე თავიანთი ნაკრების დანარჩენი ჰოკეისტების სია რომ გამოაქვეყნეს, თვალებს არ დავუჯერე: სტივ აიზერმანის, მაიკ მოდანოს და, რაც ყველაზე საოცარია, მარტინ ბროდოსა და სკოტ სტივენსის გვარები ვერ ამოვიკითხე. ვფიქრობ, ასეთი რეაქცია ექნებოდა უამრავ ქომაგს. ამერიკის ნაკრების თავკაც პეტ ქუინის გადაწყვეტილებამ თურმე თავად სტივენსიც გააოგნა. „ამას ნამდვილად არ ველოდი. მართალია, ჩემს გუნდს მძიმე ჟამი უდგას, მაგრამ, ვფიქრობ, მე ძველებურად ვთამაშობ" — ვეტერანს არც უცდია, ჟურნალისტებისთვის თავისი გულისტკენა დაემალა. მართლაც გაუგებარია, რატომ დარჩა სიის მიღმა კაცი, რომელსაც 1991 წლის შემდეგ ერთი „ოლ სტარიც" არ გამოუტოვებია.

არანაკლებ განცვიფრებული იყო მარტინ ბროდო. 1996 წლის შემდეგ „ეშმაკთა" მეკარე პირველად გამოტოვებს „ოლ სტარის" თამაშს. ბროდოსა და კიდევ ერთი სახელოვანი მეკარის კერტის ჯოზეფის ნაცვლად ქუინმა პატრიკ რუას შემცვლელად ფინიქსელი შონ ბურკი და მონრეალის 25 წლის მეკარე ჟოზე თეოდორი აირჩია, რომელიც მხოლოდ წლეულს გახდა გუნდის ძირითადი გოლკიპერი. ისე, ნიუ ჯერსი წლეულს საკმაოდ უფერულად გამოიყურება და ბევრი „ეშმაკის" მოხვედრა „ოლ სტარზე" ნამდვილად უსამართლობა იქნებოდა. საბოლოოდ შემადგენლობებში ორი ნიუჯერსელი მოხვდა და ერთ-ერთი მათგანი... სტივენსის მუდმივი პარტნიორი ბრაიან რაფალსკი აღმოჩნდა, ვისთვისაც ეს მეორე „ოლ სტარია". გარდა რაფალსკის, სასტარტო ექვსეულში დასახელებული რობ ბლეიკისა და კრის პრონგერისა, ჩრდილოამერიკელთა დაცვას ედ ჟოვანოვსკი (ვანკუვერი), ბრაიან რიჩი (რეინჯერსი) და უეიდ რედენი (ოტავა) შეადგენენ.

წლეულს ამერიკელთა თავდასხმაში ბევრი შედარებით ახალი სახელია. ვგულისხმობ კალგარის გარემარბ ჯერომ იგინლასა და ბოსტონის ფორვარდ ჯო ტორნტონს, რომლებიც სადღეისოდ ბომბარდირთა სიის პირველ და მეორე ადგილებზე არიან. 1997 წლის დრაფტის №1, 22 წლის ტორნტონი უკვე დათვების ლიდერად იქცა. მის გარდა ცენტრფორვარდების ხაზს ერიკ ლინდროსი (რეინჯერსი), ჯო საკიკი (კოლორადო), ჯერემი რენიკი (ფილადელფია) და, რა თქმა უნდა, მარიო ლემიე (პიტსბურგი) შეემატებიან. ისინი სასტარტო სიაში არჩეულ ვენსან დამფუსს შეუერთდებიან. თითოეული მათგანი სახელგანთქმული ოსტატია, რომლებიც წლების განმავლობაში ლიგის ელიტას წარმოადგენენ. აი, გარემარბთა შორის კი რამდენიმე ახალი სახელია, მათ შორის აილენდერსელი მარკ პერიში და ჩიკაგოელი ერიკ დაზე. დანარჩენი სამი სასტარტო ექვსეულში მყოფი ოუენ ნოლანი, ბრენდან შენაჰანი და ასევე ანაჰაიმის ერთადერთი წარმომადგენელი პოლ კარიაა.

მსოფლიოს ანუ ევროპის ნაკრების შემადგენლობა კი უფრო „ნაცნობია". მასში სუპერვარსკვლავთაგან მხოლოდ პაველ ბურე და პეტერ ფორსბერგი არ არიან. ორივეს საპატიო მიზეზი აქვს — ტრავმა.

დომინიკ ჰაშეკის დუბლიორები წლეულს ლიგაში ტრიუმფალურად დაბრუნებული ტამპელი ნიკოლაი ხაბიბულინი და ედმონტონელი ტომი სალო იქნებიან.

დაცვის ხაზში პირველ ექვსეულში შესულ ნიკლას ლიდსტრომისა და სანდის ოზოლინშის გარდა, სერგეი გონჩარი (ვაშინგტონი), ალექსეი ჟიტნიკი (ბუფალო), ტომაშ კაბერლე (ტორონტო) და იაროსლავ მოდრი (ლოს ანჯელესი) იქნებიან.

ცენტრფორვარდთაგან სამი რუსია. სასტარტოში მყოფ სერგეი ფიოდოროვს ალექსეი იაშინი (აილენდერსი) და ჟამნოვი (ჩიკაგო) შეემატნენ. მათ გარდა ნაკრებში მატს სუნდინი (ტორონტო) და პავოლ დემიტრა (სენტ ლუისი) შევიდნენ.

გარემარბების ხაზს ხალხის რჩეულ იარომირ იაგრისა და ტეემუ სელიანესთან ერთად პატრიკ ელიაში (ნიუ ჯერსი), სამი კაპონენი (კაროლინა), იერე ლეჰტინენი (დალასი), მარკუს ნესლუნდი (ვანკუვერი) და ზიგმუნდ პალფი (ლოს ანჯელესი) შეადგენენ.

ყველაზე მეტი მოთამაშით (ოთხი) ნაკრებში დეტროიტია წარდგენილი, თანაც ყველა სასტარტო ექვსეულშია. ჩრდილო-ამერიკის გუნდში შეერთებული შტატების მხოლოდ 4 მოთამაშეა, დანარჩენები კანადელები არიან. მსოფლიოს ნაკრებში კი ყველას ექვსი რუსი სჯარბობს.

**სამველ ლარიბიანი**



# ამანაც გაიხადა

ამგვარი რამ არახალია, ძველია. მსოფლიოში განთქმულ სპორტსმენებს უეცრად გაშიშვლება მოუნდებათ და ფოტოგრაფსაც გამოუძახებენ ხოლმე. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ციგურაობაში, მოახლოებული ოლიმპიადის ერთ-ერთი ფავორიტი, გერმანელი ანი ფრაიზინგერიც ასე მოქცეულა, თუმცა, თავისი განთქმული ციგურებისთვის ხელი მაინც არ გაუშვია.



REUTERS

# ო, მარატა!

მ[illegible]ლბურნში დიდი ჩოგნის ცემა გრძელდება. ანა კურნიკოვამ უკვე [illegible]ო თავისი წილი და ტრიბუნაზე აინაცვლა, საიდანაც მთელი [illegible]ით ქომაგობს თანამემამულე მარატ საფინს, რომელიც [illegible]სობაში ბელგიელ კრისტოფ როშუს ამარცხებს.

# მხოლოდ ბრინჯაო

აი, ფოტო ევროპის ფიგურული ციგურაობის ჩემპიონატიდან: ირინა ლობაჩოვა და ილია ავერბახი ბრინჯაოს მედალს კი დასჯერდნენ, მაგრამ მაინც ფვარიანი ტაში წაჰყვათ ლოზანის ყინულიდან.



REUTERS



REUTERS

# მაშხალები თოვლში

კვლავ მადონა დი კამპილიო, მშვენიერი ალპური კურორტი კვლავ „ფერარის“ გუნდის მასპინძელია. მალე ამ ადგილის ტრადიციული ღონისძიება, მაშხალოსანთა სვლა თხილამურებით, დაიწყება. მიხაელ შუმახერი და ფერარის ტესტ-პილოტი ლუკა ბადოერი მწკრივის სათავეში მოხვედრილან და ხუმრობით ფარიკაობენ.

# ნამდვილი ფეხბურთი

ამ ფართხუნა შარვლებმა და ძველმოდურმა საფეხბურთო კარმა არ დაგაბნიოთ. რამდენი წელიწადია ყანდაჰარში ბურთი არ გაგორებულა და ამდენი ომის, დაბომბვის, თალიბობის შემდეგ ქალაქში ორი გუნდი შეიკრიბა და ნამდვილი ფეხბურთი ითამაშა ოთხმოცდაათი წუთის განმავლობაში.



REUTERS

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია აზალაძე, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში თუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გორგოძიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ხელმძღვანელი მამუკა გუბელაძე
ლია ბეხელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge